# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 17 მარტი 1999 №47 (820) | ფასი 1 ლარი


**2** გუცაევი იარებს იშუშებს

საქართველოს ნაკრებს უკრაინასთან დაკლებული ფეხბურთელები ზალცოვენიოდ ჩამოუვლენ

**5** ვინ გავა ნახევარფინალში?

დღეს ევროპის ოთხ ქალაქში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩებია

UEFA CHAMPIONS LEAGUE

**9** ფინალი, რომელიც ოთხ თვეს გაგრძელდა




**13** კარლოს მოია: დიდი ჩემპიონი პატარა კუნძულიდან



**14** სოკ-ის მუწუკები

# PRO & CONTRA

სამარანჩი კრისტალია, იგი უნდა დარჩეს!

სამარანჩის კანტორა დამპალია, ძმებო!

# პარმის საფანე

უეფას თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩების შედეგები იხილეთ მეთექვსმეტე გვერდზე

UEFA CUP



REUTERS პარმიდან

პარმა — ბორდო 6:0. მასპინძლები ბორდოელებისთვის მიყენებულ პირველ დარტყმას ზეიმობენ

# ცოტა თოვლი და ბევრი გოლი

საქართველოს ჩემპიონატი

**19 ტური**

16 მარტი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| თსუ | 1 |
| სამგურალი | 3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 18 | 15 | 3 | 0 | 61:9 | 48 |
| ტორპედო | 18 | 14 | 2 | 2 | 47:15 | 44 |
| ლოკომოტივი | 18 | 8 | 10 | 0 | 21:7 | 34 |
| კოლხეთი | 18 | 9 | 4 | 5 | 40:29 | 31 |
| ბათუმი | 18 | 7 | 7 | 4 | 24:15 | 28 |
| დილა | 18 | 7 | 5 | 6 | 24:22 | 26 |
| მერანი | 18 | 4 | 9 | 5 | 16:20 | 21 |
| სამგურალი | 19 | 6 | 2 | 11 | 18:36 | 20 |
| არსენალი | 18 | 4 | 8 | 6 | 21:33 | 20 |
| ვიტ ჯორჯია (-3) | 18 | 6 | 4 | 8 | 16:17 | 19 |
| სიონი | 18 | 5 | 4 | 9 | 17:34 | 19 |
| იბერია | 18 | 5 | 4 | 9 | 26:33 | 19 |
| გორდა | 18 | 4 | 7 | 7 | 14:23 | 19 |
| ოდიში | 18 | 5 | 2 | 11 | 12:28 | 17 |
| თსუ | 19 | 3 | 6 | 10 | 15:26 | 15 |
| გურია | 18 | 3 | 3 | 12 | 19:44 | 12 |

*გუშინ აუტსაიდერი თსუ ცხრილის ზემოურ, მაგრამ ახლო მეზობელ „სამგურალთან" თოვლ-ჭყაპიან „შევარდენზე" 1:3 დამარცხდა, რითაც პირველ ჯგუფში დარჩენის შანსი ერთიორად შეიმცირა*



გუშინ „შევარდენზე". თსუ — „სამგურალი": როსტიაშვილმა (№11) და მაზვილაძემ თავი თავს მიუჭახუნეს, ბურთი კი ვოსკანოვს დარჩა



# ვოცნებობ, საფრანგეთს მოვუგო!

## მანამდე კი უარს არც საქართველოს ნაკრების დამარცხებაზე ვიტყვი

### იოჟეფ საბოსთან ინტერვიუ

იხილეთ ხვალინდელ „სარბიელში"

საქართველოს ჩემპიონატი **19 ტური**

# ცოტა თოვლი და ბევრი გოლი

თბილისი
16 მარტი
15 საათი
შევარდენი
200 (ტევადობა 5 000)

**თსუ 1:3 სამგურალი**

0:1 სუხიაშვილი (50), 0:2 შენგელია (56), 1:2 კობიაშვილი (70), 1:3 ჯინჭარაძე (81)
**თსუ:** გაბელია, გ. ილურიძე (გონჩაროვი 60), შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ზამთარაძე, ნინუა, მაღრაძე, დეკანოსიძე, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი (ბუკია 65)
*სათადარიგონი:* მერლანი; ინწიკირველი, ვ. ლუდუშაური, თოლორაია, სვანაძე
**სამგურალი:** ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ფრანგიშვილი, ვოსკანოვი (ჯავახაძე 82), ძაგნიძე, აფციაური (დარსაძე 73), გ. კილასონია (მ. ჯინჭარაძე 72), გიორგობიანი, სუხიაშვილი, გ. შენგელია
*სათადარიგონი:* ხაჩირაშვილი; ზ. ქუთათელაძე, ქობულაძე, ლ. გიორგაძე
**გაფრთხილება:** ზამთარაძე (35), მახვილაძე (47), ილურიძე (57), აფციაური (78)
**მსაჯები:** ს. კახიანი; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. მენთეშაშვილი (სამივე თბილისი); დ. გოგოლაძე (ბორჯომი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

**პაატა კვანტალიანი**

ეს შეხვედრა ორივე გუნდისთვის პრინციპული გახლდათ. თსუ-ც და „სამგურალიც“ წლეულს პირველ ჯგუფში დარჩენას ლამობენ და მათმა დაპირისპირებამ თავიდანვე წარმოშვა გარკვეული ინტრიგა. მეტოქეები გამარჯვების წყურვილით გავიდნენ მოედანზე, თუმცა გუშინ „შევარდენზე“ აშკარად არახელსაყრელი პირობები იყო საიმისოდ, რომ სტუმარსაც და მასპინძელსაც სრულფასოვნად წარმოეჩინა თავი. ისე, უნდა ითქვას, რომ თოვლჭყაპმა მატჩის სანახაობრივ მხარეს ბევრიც არაფერი დააკლო.

საწყისი ოცი წუთი გუნდებმა მოე[illegible] სველ გრუნტთან გაშინაურებას [illegible]მეს. სიტუაციას პირველმა „სამგურალმა“ აუღო ალღო და გეგმაზომიერად დასახლდა მეტოქის ნახევარზე. პირველად მასპინძლებს გიორგობიანმა უჩხვლიტა შორეული დარტყმით — გაბელიამ მხოლოდ მკერდით მოახერხა სველი ბურთის დამორჩილება. 25-ე წუთზე კი მასპინძლები თერთმეტმეტრიანს გადაურჩნენ — სუხიაშვილს საჯარიმოში წაქცევაში ილურიძეც წაეხმარა, მაგრამ ამ ეპიზოდს არბიტრის რეაქცია არ მოჰყოლია. სამ წუთში კი საჯარიმოს სიახლოვეს კილასონია ემზადებოდა ჯარიმის შესასრულებლად. მისმა მოჭრილმა, ლამაზმა დარტყმამ „შევარდენზე“ მყოფი მცირერიცხოვანი მაყურებელი აღელვა, თუმცა ბურთი ძელს მოხვდა და ვერც ვერავინ დაამატა.

ამის შემდეგ წყალტუბოელებმა აქტიურად დაიწყეს ფლანგების გამოყენება და მათი უპირატესობაც თვალშისაცემი გახდა. 32-ე წუთზე კილასონიამ კარგი პასით შენგელია გაბელიას შეატოვა, მაგრამ თავდამსხმელის ზედმეტმა მონდომებამ და სველმა მინდორმა საფრთხე გააუვნებლა. მე-40 წუთზე იმავე კილასონიას და შენგელიას წყალობით სტუდენტები კიდევ ერთხელ გადარჩნენ — ამჯერადაც მეკარის პირისპირ დარჩენილმა ფორვარდმა ბურთი ვერ დაიმორჩილა. ტაიმის ბოლოს კი მასპინძლებს ანგარიშის გახსნის მეტად რეალური შანსი მიეცათ — მათგან ყველაზე აქტიური დეკანოსიძე მეტოქის საჯარიმოში კარგ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ ბურთი როსტიაშვილს გაარტყა და კუთხურზე გადავიდა.

მეორე ნახევარში სტუმრები თეთრი ტრუსებით გამოცხადდნენ მინდორზე (მანამდე ლურჯით ასპარეზობდნენ) და ამან გუნდი საოცრად გარდაქმნა. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, მაგრამ მეორე ტაიმში „სამგურალი“ იმ გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელიც ზედმიწევნითაა თავის თავში დარწმუნებული და წარმატებისკენაც მიზანმიმართულად იკვლევს გზას. წყალტუბოელთა დაცვა მეტოქისთვის პრაქტიკულად გადაულახავი იყო, რისი მთავარი მიზეზიც მშვენივრად მოთამაშე სანდრო ბურნაძე გახლდათ. სტუმრები ნახევარდაცვაშიც დიდ უპირატესობას ფლობდნენ კილასონიას და აფციაურის დუეტის წყალობით. თავდასხმაც დროის გასვლასთან ერთად უფრო და უფრო უჭერდა მარწუხებს სტუდენტთა დაცვას და მალე გოლიც გავიდა — ბურნაძის ჩაწოდებულს მეტოქის საჯარიმოში სუხიაშვილი გამოეხმაურა და წონასწორობადაკარგული გაბელია პირველად დაამწუხრა. ექვს წუთში ბურნაძემ სუხიაშვილი გაიყვანა მარცხენა ფრთაზე, მის ჩაწოდებულ ბურთს კი შენგელიამ მკერდი შეაგება და ანგარიშიც ორამდე გაზარდა. მეორე გოლმა მასპინძლები გამოაფხიზლა და მათ რამდენიმე შეტევაც განახორციელეს. 70-ე წუთზე სტუდენტებმა ზედიზედ მესამედ მოიპოვეს კუთხურის უფლება. როგორც ჩანს, გაიოზ დარსაძეს, წყალტუბოელთა თავკაცს, გულმა უგრძნო, რომ საფრთხე ახლოვდებოდა და შეგირდებს მოუწოდა, საჯარიმოში შეჭრილი კობიაშვილისთვის თვალყური საგანგებოდ ედევნებინათ. არც შემცდარა ალღოიანი მწვრთნელი — ცოტა ხანში სტუდენტთა კაპიტანმა ეფექტურად დაარტყა და ასლანაძემ მხოლოდ თვალიერა გააყოლა ბადეში გახვეულ ბურთს. ეს იყო და ეს. მასპინძლებს თავი აღარ გამოუდვიათ. შეცვლაზე შესული ჯინჭარაძის გოლმა კი მათ თამაშში გარდატეხის შეტანის სურვილი გაუქრო.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

მამუკა აფციაურმა ამგვარად და უფრო ნაყოფიერადაც კარგა ბლომად ისრიალა

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. 20 მარტი. თბილისი. ეროვნული.

# საქართველო — უკრაინა
## კლუბებმა გუნდი დაგვისუსტეს

საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გუშინ ნაშუადღევს საბოლოოდ ჩამოთვალა ის ფეხბურთელები, რომლებსაც ხვალიდან დაწყებული 20 მარტამდე მოამზადებს და ჯერ უკრაინის ნაკრებს, მერე კი სლოვენიისას დაახვედრებს.

მეკარეები: სოსო გრიშიკაშვილი (ალანია, რუსეთი), დავით ჯანელიძე (ლოკომოტივი, თბილისი); მცველები: გიორგი ბალაშვილი (ლოკომოტივი, თბილისი), მამუკა წერეთელი (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე (სკონტო, ლატვია), ვაჟა თარხნიშვილი (შერიფი, მოლდოვა), კახა კალაძე (დინამო, უკრაინა); ნახევარმცველები: გია ჩხაიძე (ალანია, რუსეთი), გიორგი ნემსაძე (რეჯანა, იტალია), ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გიორგი გახოკიძე (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), რატი ალექსიძე (დინამო, თბილისი), დავით ჯანაშია (ტორპედო), გიორგი ქინქლაძე (აიაქსი, ჰოლანდია); თავდამსხმელები: გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი), არჩილ არველაძე (ბრედა, ჰოლანდია), შოთა არველაძე (აიაქსი, ჰოლანდია), მიხეილ ფოცხვერია (შახტიორი, უკრაინა), ზაზა ჯანაშია (ლოკომოტივი, რუსეთი).

დაგვეთანხმებით, ეროვნული გუნდი საკმაოდ სახეცვლილია. ვლადიმერ გუცაევი იძულებული შეიქნა, მხოლოდ ამ ფეხბურთელებს დასჯერებოდა. მიზეზი ერთობ მარტივია — 20 მარტი, ალბათ, მოგეხსენებათ, უეფას ამხანაგური მატჩების გრაფიკში არსად წერია. დაახლოებით ამ დროისთვის ევროპულ ქვეყნებში მორიგი ტურია დანიშნული. სწორედ ჩვენებურთა კლუბების ჭირვეულობის გამო უკრაინასთან ვერ ითამაშებენ გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, აკაკი დევაძე და გიორგი დარასელია. დონეცკის „შახტიორის“ ფორვარდის, მიხეილ ფოცხვერიას ამბავი ჯერაც საკითხავია, თუმცა მწვრთნელს მისი ჩამოსვლის იმედი აქვს.

საქართველოს ეროვნული გუნდი 18 მარტს დაიწყებს ვარჯიშს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე და სასტუმრო „მესაზღვრეში“ დაბინავდება.

**კობა ინასარიძე**



ჰოლანდიაში სტუმრობისას გუცაევი რობსონს გახოკიძის თაობაზე ესაუბრა

# გუცაევი უკრაინული ჭრილობის და ნეკნების მოშუშებას ლამობს

*ევროპის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევი მატჩისთვის საქართველოს ეროვნული გუნდი მხოლოდ ერთი კინკილა თამაშით უნდა მოემზადოს. ისიც იმ დღეს, რომელიც უეფას ამხანაგური შეხვედრებისთვის არ გაუთვალისწინებია. შაბათს, 20 მარტს, საქართველო უკრაინის ნაკრებს მასპინძლობს.*

*საამმატჩოდ ეროვნული გუნდის მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევი იძულებული გახდა, შეთხელებულ შემადგენლობას დასჯერებოდა. მოხდა ის, რისიც მწვრთნელს ყველაზე მეტად ეშინოდა და რაც ადრეც უთქვამს — 20 მარტის თამაშზე შესაძლოა რამდენიმე ლეგიონერი დაგვაკლდესო.*

*გუცაევმა იცოდა, უკრაინასთან მატჩის თარიღი უეფას კალენდარს არ ემთხვეოდა. მას სურდა ჯამარაულის, ყაველაშვილის, დარასელიას, დევაძის მოწვევა, მაგრამ ვერაფერი გააწყო: ეს ფეხბურთელები მათმა კლუბებმა არ გაათავისუფლეს, შიშიც არაფრისა აქვთ — ვერავინ გაამტყუნებს.*

*არადა, მათი საქმეში ერთხელაც გამოცდა გუნდს წაადგებოდა. ნაკრების ახალწვეულებთან ოდნავ მაინც შეთამაშდებოდნენ.*

*ერთი სიტყვით, ვლადიმერ გუცაევს უკრაინასთან მატჩამდე პრობლემები მოუმრავლდა. სანაკრებოც, პირადიც... მწვრთნელმა 20-ში ისინი უნდა გასინჯოს, ვინც სასლოვენიოდ გამოადგება, ვისიც 27-ში და მერეც უნდა ეიმედებოდეს. კაცნაკლულად კი რა გამოვა? აი, კითხვა, რომელიც ყველა ქომაგს აწუხებს...*

*და კიდევ. ეროვნული გუნდის მწვრთნელი მესამე დღეა, საწოლიდან არ ამდგარა. ყოფითმა შემთხვევამ ვლადიმერ გუცაევი პაციენტი გახადა.*

— ნეკნები მაქვს ნატკენი, თავს შეუძლოდ ვგრძნობ, წამოდგომა მიჭირს. აქვე ეზოში, საკუთარ გარაჟთან საკუთარი მანქანა დამეჯახა, დამიგორდა... ეგ არაფერი, 18 მარტამდე ფეხზე აუცილებლად დავდგები, ექიმებიც მაიმედებენ, ნეკნები გატეხილი არ გაქვსო, მეუბნებიან. ამისი მეშინოდა. რადაც უნდა დამიჯდეს, ნაკრებს მაინც ვუხელმძღვანელებ — გვითხრა მწვრთნელმა და, ნაკრების პრობლემებზე საუბარსაც არ დაგზარდებითო, დააყოლა.

**— რაკი ეგრეა, დავიწყოთ. გუნდში ბევრი გყავთ ისეთი ფეხბურთელი, რომლებსაც პირველად მოუწევთ ოფიციალური მატჩისთვის მზადება. არ გეშინიათ?**

— შიში რა მოსატანია. ვინც სადღეისოდ გამოსადეგად ჩავთვალე, იმათ ვუხმე. დარწმუნებული ვარ, თავს არავინ დაზოგავს, ყველა ეცდება, გამიმართლოს, უეჭველია, მათ სურთ ნაკრებში ადგილის დამკვიდრება. ისე, მეორეცაა, ვიცოდით, რომ ოცისთვის ლეგიონერთა თბილისში ჩამოყვანა გაგვიჭირდებოდა, ამიტომაც თავი დავიზღვიეთ და თავდაპირველად 25-კაციანი სია ჩამოვწერეთ.

**— უკრაინელებთან მატჩი მაინცდამაინც ამ დღეს რატომ დანიშნეთ?**

— ეს მათი სურვილი იყო. თუ გსურთ, 20-ში ვითამაშოთო, შემოგვითვალეს. სხვა რა გზა გვქონდა, დავთანხმდით. სულ უთამაშებლობას არ სჯობს? სჯობს კი არა, ძალიანაც კარგია. ის ლეგიონერები რომ ჩამოსულიყვნენ, ამას აღარ მკითხავდით.

**— ადრე ბრძანეთ, 4-4-2 ტაქტიკური სქემა შესაცვლელიაო. ხომ არ გადაგიფიქრებიათ? უკრაინასთან ახლებურ განლაგებას ველოდოთ?**

— სიახლე აუცილებლად იქნება. თუ როგორი, ამას მატჩისას შეიტყობთ. წინასწარ კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. ჩამოვლენ ფეხბურთელები, ვნახავთ ვინ როგორ ფორმაშია და აქედან გამომდინარე, უკეთეს ვარიანტს ავირჩევთ.

**— ალბათ, დაგვეთანხმებით, დაცვა ნაკრებში ყველაზე სუსტი რგოლია. მით უმეტეს, ახლა გაგიჭირდებათ, იძულებული ხართ, გამოუცდელებს ენდოთ.**

— თუ ფეხბურთელებმა ამხანაგურად არ ითამაშეს, აბა, პრაქტიკას საიდან მიიღებენ. უკრაინასთან მატჩი სწორედ ამიტომაა გამოსადეგი. ჩვენ სხვა გზა არ გვაქვს, დღევანდელ კონტინგენტს უნდა დავეყრდნოთ. თუმცა მთლად საგანგაშოც არაფერია, სილაგაძეს, წერეთელს, კალაძეს ყველა კარგად იცნობს, ნაკრებშიც არაერთხელ უყოჩაღიათ.

**— შეყილაძე? არ მოგიწვევიათ თუ ისიც კლუბის ხელმძღვანელობის კაპრიზების მსხვერპლია?**

— გელა ტრავმირებულია. ამას წინათ ბელგიაში გახლდით და იქ ვესაუბრე. გამიჭირდებაო, ალალად მითხრა.

**— რამდენიმე ფეხბურთელი კლუბში საერთოდ ვერ თამაშობს, ეს არ გადარდებთ?**

— რასაკვირველია, მაგრამ გამოძახება თამაშს არ ნიშნავს. ვარჯიშებზე ბიჭებს დავაკვირდები და შემადგენლობასაც შევარჩევ. ნურავინ იფიქრებს, რომ დაუმსახურებლად ითამაშებს.

**— ქეცბაიას არ დაუძახეთ...**

— არ ჩავთვალე საჭიროდ. ჯერ უმისოდაც შეგვიძლია.

**— ღმერთმა დაგიფაროთ და უკრაინასთან რომ წააგოთ, სლოვენიასთან მატჩზე ფსიქოლოგიურად არ იმოქმედებს?**

— არა მგონია. ბიჭებმა იციან, რომ 20-ში მოსამზადებელი თამაშია. ისინი უფრო ლაღად, თავისუფლად იქნებიან. დასაკარგი ხომ არაფერია. თანაც ეცოდინებათ, სასლოვენიო შემადგენლობას ოთხი ფეხბურთელი რომ დაემატება. თუმცა, ძალიან გთხოვთ, წაგებაზე ნუ ვილაპარაკებთ, არ ვაპირებთ და იმიტომ. სიტყვა „წაგება“ არ მიყვარს. იმაზე ვთქვათ, რომ მოვიგებთ. ჩვენ რევანშზე ვფიქრობთ.

**— უკრაინასთან ჩვენი თანაჯგუფელებიც დაგვზვერავენ...**

— ნორვეგიელები და ბერძნები სლოვენიასთან მატჩს მაინც ნახავენ და ახლა რამის დამალვას რა აზრი აქვს? სლოვენიელებისთვის კი ისედაც დამალული ვარიანტი გამოგვდის — უკრაინასთან ხომ ოპტიმალური შემადგენლობა არ გვეყოლება.

**— ბოლოს ის გვითხარით, ჯამარაულის არყოფნაში მის პოზიციაზე რომელი ფეხბურთელი ითამაშებს. ქინქლაძე კარგა ხანია, მინდორზე არ გამოჩენილა. დარასელიაც ვერ ჩამოდის. უგამთამაშებლოდ დარჩით.**

— ამ პრობლემას მოევლება. მეგულება ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც შუაში თამაში შეუძლიათ. თუ ესენი ვერ გაამართლებენ, სლოვენიამდე ხომ კიდევ ერთი კვირაა. ჯამარაული ჩამოვა, დარასელიაც, ამასობაში, ალბათ, ქინქლაძეც აღიდგენს ფორმას.

**— კეთილი. მალე მომჯობინდით.**

**კობა ინასარიძე**

# ვიხილავთ შევჩენკოს თბილისში?

20 მარტს საქართველოს ეროვნული ნაკრები ეროვნულ სტადიონზე ამხანაგურად გაეჯიბრება უკრაინის ნაკრებს.

ამ მატჩიდან ზუსტად კვირის თავზე ორივე გუნდს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ელის, ორივესთვის მეტად სერიოზული და საპასუხისმგებლო.

27 მარტს ქართველები თბილისში სლოვენიას უმასპინძლებენ, უკრაინელები კი პარიზის გარეუბან სენ დენიში „სტად დე ფრანსზე" მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრებს შეეტოქებიან. ოთხი დღის მერე, 31-ში ისინი კიევში ისლანდიელებს დაუხვდებიან.

უკრაინელთა მთავარმა მწვრთნელმა იოჟეფ საბომ ამ მატჩებისთვის უძლიერესი შემადგენლობა დაასახელა. თუმცა თუ ჩვენს უკრაინელ კოლეგებს, კერძოდ გაზეთ „სპორტივნა გაზეტას" ფეხბურთის რედაქტორს, გენადი ჩეხოვსკის ვერწმუნებით, თბილისში ვერ ვიხილავთ ნაკრების საბაზო გუნდის, კიევის „დინამოს" ფეხბურთელებს:

— „დინამოს" დღეს ჩემპიონთა თასის საპასუხო მატჩი აქვს მადრიდის „რეალთან", 21 მარტს კი უკრაინის ჩემპიონატის ტურის თამაშებია დანიშნული. ასე რომ, არა მგონია, ნაკრების კიეველმა ფეხბურთელებმა თბილისში ითამაშონ. ქართველებს, ალბათ, გადახალისებული გუნდით შეგხვდებით.

იოჟეფ საბოს მიერ დასახელებული შემადგენლობა კი ასეთია: მეკარეები — ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო), ვალერი ვორობიოვი (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი); მცველები — ოლეგ ლუჟნი, ალექსანდრ გოლოვკო, ვლადისლავ ვაშჩუკი (ყველა დინამო), ვლადიმირ მიკიტინი, სერგეი პოპოვი, ალექსანდრ კოვალი (ყველა შახტიორი, დონეცკი), ვიქტორ სკრიპნიკი (ვერდერი, გერმანია), სერგეი მიზინი (კარპატი, ლვოვი); ნახევარმცველები — ვასილი კარდაში, ვიტალი კოსოვსკი, ანდრეი გუსინი, ალექსანდრ კირიუხინი (ყველა დინამო), იური კალიტვინცევი (ტრაბზონსფორი, თურქეთი), სერგეი კოვალიოვი (შახტიორი, დონეცკი), ედუარდ ციხმეისტრუკი (ცსკა, კიევი); თავდამსხმელები — ანდრეი შევჩენკო, სერგეი რებროვი, სერგეი კონოვალოვი (ყველა დინამო), სერგეი სკაჩენკო (ტორპედო, მოსკოვი, რუსეთი), სერგეი ნაგორნიაკი (შახტიორი, დონეცკი).

ასე რომ, ივნისიდან იტალიურ „მილანში" წასასვლელად გამზადებული ანდრეი შევჩენკო და კიეველნი ძმანი მისნი თბილისში, შესაძლოა, არ ჩამოვიდნენ.

**გიორგი ვაშაკიძე**

# უეფამ თითი დაგვიქნია

პარასკევს, 19 მარტს, საქართველოში უცხოელები მოზღვავდებიან. ამ დღეს თბილისს მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი როჟე ლემერი და მისი თანაშემწე რომონდ დომენიკი, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი ეროვნული გუნდის მეტოქეების — ნორვეგიისა და საბერძნეთის ნაკრების წარმომადგენლები ეწვევიან. არ არის გამორიცხული, ეროვნულ სტადიონზე სლოვენიელი მზვერავიც გამოჩნდეს. ფრანგები თავიანთ მომავალ მეტოქეს, უკრაინელებს შეავლებენ თვალს, ნორვეგიელები, ბერძნები (და შესაძლოა სლოვენიელებიც) კი ჩვენს ნაკრებზე ჩაინიშნავენ სასურველ ინფორმაციას.

ჩვენთვის კი ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ ამ დღეს, 14 საათზე, თბილისის აეროპორტში უკრაინელთა დელეგაცია ჩამოვა — 20 მარტს ხომ საქართველოსა და უკრაინის გუნდები, როგორც ეროვნული, ისე ახალგაზრდული ითამაშებენ.

ქართულ მიწაზე ფეხს დაადგამენ თუ არა, უკრაინელები მყისვე სასტუმროებში გაეშურებიან: ეროვნული გუნდი „შერატონ•მეტეხი პალასში" დაბინავდება, ხოლო ახალგაზრდული „აჭარაში" დაიდებს ბინას.

თავდაპირველად, 20 მარტს, საქართველოსა და უკრაინის ახალგაზრდული ნაკრებები შეხვდებიან. მატჩი ნავთლუღში, „შევარდენის" სტადიონზე გაიმართება და 16 საათზე დაიწყება. ორივე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციათა შეთანხმების საფუძველზე, ამ შეხვედრას ქართველი ფიფას მსაჯები მოემსახურებიან. მთავარ არბიტრად გამწესებულ სერგო კვარაცხელიას ლევან მიქელაძე და ზურაბ დოლიძე გაუწევენ ასისტენტობას, სათადარიგო მამუკა ელიკაშვილია, კომისრობა კი წარსულში ცნობილ მსაჯ მევლუდ მიმინოშვილის მიანდეს.

ამის მერე გულშემატკივრებს ეროვნულ სტადიონზე მოუწევთ გადანაცვლება. საქართველოსა და უკრაინის პირველი ნაკრებების მატჩი საღამოს 8 საათზეა დანიშნული. ახალგაზრდულებისგან განსხვავებით, ამ შეხვედრას სომეხ არბიტრთა ბრიგადა მოემსახურება: სლავიკ კაზარიანი, კარენ ნალბანდიანი და გევორქ ოგანესიანი. სათადარიგო მსაჯობა ქართველ ლევან მიქელაძეს დაეკისრა, მატჩის კომისრობა კი — სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკოს.

საქართველო — უკრაინის მატჩზე მოსახვედრი მხოლოდ 16 000 ბილეთი გაიყიდება. მატჩს 3 ათასი აბონემენტის მფლობელიც იხილავს, ხოლო ათასი მოსაწვევი დარიგდება.

უეფას კატეგორიულად მოუთხოვია, რამდენი ინდივიდუალური სკამიც გაქვთ, იმდენი მაყურებელი იყოს, თორემ თუ მეტი იქნა, რაც მოგივათ, თქვენს თავს დააბრალეთო. ბილეთების საშუალო ფასი 5-დან 10 ლარამდეა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბილეთების დიდი რაოდენობა უკვე გაყიდულია, სტადიონზე მოხვედრის მსურველთ ვაცნობებთ, იჩქარონ.

— უბილეთოებზე მკაცრ კონტროლს დავაწესებთ. მატჩის დღეს ბილეთები შესაძლოა უკვე აღარც იყოს და ბუნებრივია, არ გაიყიდება — გვითხრეს ფეხბურთის ფედერაციაში.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ინსპექტორის და კომისარის

გუშინდელ „სარბიელში" ეროვნული ჩემპიონატის XIX ტურის ანონსი შემოგთავაზეთ, ამ ტურის მატჩებზე მომსახურე არბიტრთა სრული სიაც გაახლეთ. თუმცა ცნობილი გახდა, რომ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა დღეს ჩასატარებელი შვიდი თამაშიდან სამს დადგენილი მსაჯები შეუცვალა. მაშ, ასე: რუსთავში „ფოლადის" სტადიონზე დღეს გასამართ „გორდა" — „მერანის" შეხვედრაზე მთავარ მსაჯად დანიშნულ ქარელელ გურამ ასკაროღლის სამტრედიელი ლევან მიქელაძის ნაცვლად ელგუჯა სილაგავას ვაჟი, ლაშა გაუწევს ასისტენტობას. ხოლო მიქელაძე ლაშა სილაგავას ნაცვლად გაიგზავნა ბოლნისში, „სიონი" — „დინამოს" მატჩის განსასჯელად. გათამაშების ცხრილში მე-10 ადგილზე მყოფი გუნდისა და ერთპიროვნული ლიდერის დაპირისპირება მიქელაძის გარდა მანამდე მცხეთაში „ვიტ ჯორჯია" — „ლოკომოტივის" თბილისურ დერბიზე მივლენილი ალექსანდრე მეშკოვი და ზურაბ ხუციშვილი მოემსახურებიან. აქ არბიტრი მეშკოვი იქნება. მცხეთურ „არმაზზე" კი თბილისური კლუბების პაექრობას ქუთაისელ მსაჯთა ბრიგადა განსჯის ავთანდილ შალამბერიძის, კობა გაბრიაძისა და გურამ კიკაჩეიშვილის შემადგენლობით.

არ შეცვლილან მხოლოდ ბოლნისში და მცხეთაში თავიდანვე სათადარიგოდ გამწესებული ხუცაძე და ნონიკაშვილი.

ჰო, მართლა, რადგანაც დღეს ბათუმში გათამაშების ცხრილში მეორე ადგილზე მყარად დამკვიდრებული ქუთაისის „ტორპედო" ჩადის, ფედერაციის ჩინოსნებმა ჩათვალეს, ეს შეხვედრა პრინციპულია და ურიგო არ იქნებოდა, მატჩზე სფფ-ის ინსპექტორად მივლენილი შოთა ხინჩაგაშვილისთვის დამხმარე გამოგვეძებნაო. ჰოდა, გამოუძებნეს კიდეც — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნიკა ამირეჯიბი. ხინჩაგაშვილმა და ამირეჯიბმა როლებიც გაცვალეს: მსაჯ-ინსპექტორად გამწესებული ამირეჯიბი მსაჯთა მოქმედებასა და მათი მომსახურების ხარისხზეა პასუხისმგებელი. შოთა ხინჩაგაშვილს კი მატჩის საორგანიზაციო მხარეებზე თვალყურის დევნება დაევალა (სტადიონზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების, პოლიციისა და სახანძროს დანიშნულ დროზე გამოცხადება და ასე შემდეგ).

**გიორგი ვაშაკიძე**

## გიგლა იმნაძე:
# ლანდი თუ გამოჩნდა...



სამ შეხვედრაში მხოლოდ სამი ქულა და ჯგუფიდან გასვლის მცირედი შანსი. აი, ასეთი შედეგითა და განწყობით ხვდება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები განახლებულ სეზონს. არადა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასაწყისში ქართველ 21-წლამდელებს სულ სხვა მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მის შემადგენლობაში ნიჭიერ ფეხბურთელთა მთელმა პლეადამ მოიყარა თავი. 1998 წლის მაისში რუსი თანატოლების ძლევამ და თვით ჩვენი ბიჭების მოედანზე მოქმედებამ ყველას იმედი ჩაგვისახა, რომ შემოდგომაზე ახალგაზრდული ნაკრები სერიოზულ პრეტენზიებს განაცხადებდა ჯგუფში პირველობაზე...

მერე რობერტო ლანდი გამოჩნდა. დღემდე ვერავინ გაარკვია, ვინ იყო იტალიელი, მწვრთნელი თუ კონსულტანტი. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ძველ ფედერაციასა და ლანდის ფინანსური ინტერესი აკავშირებდათ. ახალგაზრდა ფეხბურთელების უცხოეთში გაყიდვა და სარგებლის ნახვა — აი, მათი ალიანსის მთავარი დედააზრი. ყოველივეს კი ახალგაზრდულ ნაკრებში ორხელისუფლებიანობა მოჰყვა, რამაც სავალალო შედეგი განაპირობა.

თავი დავანებოთ წარსულის ქექვას. 20 მარტს 21-წლამდელები უკრაინელებს მასპინძლობენ ამხანაგურ შეხვედრაში, ერთ კვირაში კი შესარჩევი ციკლის მორიგ მატჩში სლოვენიელ თანატოლებს დაუხვდებიან. ნაკრების მთავარი მწვრთნელი გიგლა იმნაძე სერიოზულად ემზადება ამ თამაშებისთვის.

**— როდის შეიკრიბება ახალგაზრდული ნაკრები?**

— 18 მარტს შევიკრიბებით და დიდუბეში, სასტუმრო „მანეჟში" დავბინავდებით. ვარჯიშით კი „დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ვივარჯიშებთ.

**— რას გვეტყვით უკრაინის ნაკრებზე, როგორც სპარინგ-პარტნიორზე სლოვენიასთან მატჩამდე?**

— ეს ამხანაგური შეხვედრა იმის გამო დაინიშნა, რომ ჩვენ უკრაინელების ვალი გვქონდა. შარშან ხომ კიევში გვიმასპინძლეს როგორც პირველ, ასევე ახალგაზრდულ ნაკრებებს. პირადად მე არჩევანის საშუალება რომ მქონოდა, სპარინგ-პარტნიორად უკრაინის 21-წლამდელებს არ ავირჩევდი, რადგან ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგეა და სლოვენიასთან პრინციპული მატჩის წინ სხვა მეტოქეს ვამჯობინებდი.

**— კი, მაგრამ, ძლიერ გუნდთან ორთაბრძოლაში ხომ უფრო უკეთ წარმოჩნდება ჩვენი ნაკრების შესაძლებლობები?**

— შესაძლებლობა როგორც უნდა გამოვლინდეს, არჩევანი მაინც არ მაქვს. მე ეს გუნდი მყავს და ამ გუნდით უნდა ვითამაშო. აქ უფრო ტაქტიკურ მონახაზს მივაქცევდი ყურადღებას, ვიდრე შესაძლებლობების გამოვლენას. ჩვენ რაც ვართ, ეს კარგად ვიცი. დასაფიქრებელი ისაა, მოგვცემენ თუ არა უკრაინელები იმ ტაქტიკური სქემის გამოყენების საშუალებას, რომლითაც სლოვენიელებს დავუპირისპირდებით. მგონია, რომ სპარინგ-პარტნიორი უფრო მეტ ტაქტიკურ ვარიანტს დაამუშავებს ჩვენს წინააღმდეგ, ვიდრე ჩვენ. უკრაინის ახალგაზრდული ნაკრები ამ ეტაპზე გაცილებით ძლიერია და ევროპაშიც ერთ-ერთი საუკეთესოა. უფრო დაბალი დონის გუნდთან აჯობებდა გაჯიბრება. ეს ფსიქოლოგიურადაც წაადგებოდა ჩვენს ბიჭებს, მაგრამ საქმემ ასე მოიტანა და უნდა გამოვიყენოთ. სხვა გზა არა გვაქვს.

**— მიუხედავად აზერბაიჯანელ თანატოლებთან დიდი ანგარიშით გამარჯვებისა, იმ შეხვედრაში ქართველმა 21-წლამდელებმა ვერ დატოვეს კარგი შთაბეჭდილება. შეუთანხმებლად თამაშობდნენ.**

— გეთანხმებით. ნაკრები რომ კარგად შეთამაშდეს, ხშირი შეკრებები და საკონტროლო მატჩებია საჭირო. თანაც ისეთ მეტოქესთან, რომელიც ამის საშუალებას მისცემს.

**— ვერც სტანდარტული მდგომარეობების ოსტატურად შესრულებით დაიკვეხნიან ჩვენი ახალგაზრდები.**

— ეს რთული საკითხია. ფეხბურთელმა ადგილზე, საკუთარ კლუბებში უნდა დახვეწონ სტანდარტულების კარგად შესრულება. თუმცა ჩემს ნაკრებში ამ პრობლემას ვერ ვხედავ. აზერბაიჯანელების წინააღმდეგ ერთი გოლი აუტიდან, ერთი კი კუთხურიდან ჩამოწოდების შემდეგ გავიტანეთ. საჯარიმოები კი იმ შეხვედრაში თითებზე ჩამოსათვლელი გვქონდა.

**— გიორგი ყიფიანი დისკვალიფიცირებულია. გამთამაშებლად, ალბათ, დავით მუჯირს გაამწესებთ, მაგრამ ის ხომ თითქმის ერთი თვეა უგუნდოდაა.**

— ყიფიანი მართლაც ძალიან დაგვაკლდება ამ შეხვედრებში. მუჯირს სათამაშო პრაქტიკა ნამდვილად აკლია, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვით, როგორ ფორმაშია. ვარჯიშებზე დავაკვირდები და ყოველივე გამოჩნდება. ალბათ, მაინც მუჯირზე მოგვიწევს დაყრდნობა.

**— ვიტალი დარასელიას ტრავმა აწუხებდა და კიევის ცსკა-ს შემადგენლობაში რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა გამოტოვა. თქვენ კი გამოიძახეთ...**

— ველაპარაკეთ ცსკა-ს მწვრთნელსა და თავად ფეხბურთელს. ორივემ დადებითი პასუხი გაგვცა. ამჟამად ვიტალი ჩვეულებრივად ვარჯიშობს და გუნდის თამაშებშიც მონაწილეობს, თუმცა არა მთელი 90 წუთის განმავლობაში. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოვიძახეთ დარასელია.

**— რატი ალექსიძე გუცაევმა მიიწვია პირველ ნაკრებში. ესეც შეგიქმნით სირთულეებს.**

— ალექსიძის არყოფნა დიდი დანაკლისია ჩვენი გუნდისთვის, ასევე გვაკლია ალანიელი მამუკა წერეთელი. ისიც ეროვნულ ნაკრებშია მიწვეული.

**— სლოვენიასთან შეხვედრამდე ცხრადღიანი შეკრება გამოგდით. „სტანდარდიდან" ჯაკობიას გამოძახებაზე ბელგიურმა მხარემ ხომ არ იჭირვეულა?**

— ჯაკობია 19 მარტს ჩამოვა. წინა დღეს მის გუნდს თამაში აქვს და ჩვენებურიც იმ თვრამეტ ფეხბურთელს შორისაა, რომლებიც ბელგიის ჩემპიონატის მორიგი ტურისთვის ემზადებიან. „სტანდარდის" ხელმძღვანელობას არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს ჯაკობიას ცხრა დღით გამოშვებაზე.

**— ყველას აინტერესებს, ჩამოვა თუ არა რობერტო ლანდი ამ შეხვედრებისთვის?**

— მე ვიცი, რომ თუ ლანდი თბილისში გამოჩნდა, მას მხოლოდ კონსულტანტის ფუნქცია დაეკისრება. თუმცა ჩამოვა თუ არა იტალიელი, ამის შესახებ არაფერი ვიცი. ამაზე, ალბათ, ფედერაციაში გიპასუხებენ. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არ უთქვამთ, ჩამოდისო.

**— არც ის უთქვამთ, არ ჩამოდისო...**

— გიმეორებთ, თუ ლანდი ჩამოვა, ჩამოვა მხოლოდ კონსულტანტად...

**— სოჭის „ჟემჩუჟინას" წევრ დავით ხმელიძეზე თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია? როგორც ვიცით, მას „ბარსელონას" საფეხბურთო სკოლაში იწვევდნენ.**

— ჩვენ ხმელიძეს შარშან რამდენჯერმე დავუკავშირდით, ჩამოსვლით კი ერთხელ ჩამოვიდა. შემდეგ არ ვიცი, თავი აგვარიდა თუ ტრავმების გამო აღარ შეგვეხმიანა. ახლა სამი გოლკიპერი გვყავს გამოძახებული — ლომაია „მერანიდან", გაბელია თსუ-დან და ჭურაძე „ვიტ ჯორჯიადან". ხმელიძეს დიდი პერსპექტივა აქვს, მაგრამ ამ მეკარეებთან კონკურენციის გაწევა ამ ეტაპზე არ ძალუძს. მის შესახებ ბოლოდროინდელი ინფორმაცია არ გვაქვს.

**— სლოვენიის ახალგაზრული გუნდის თამაში ხომ არ გინახავთ, ვიდეოკასეტის საშუაებით მაინც?**

— სულ ახლახან მივიღე კასეტა, რომელზეც დაფიქსირებულია სლოვენია — ლატვიის შეხვედრა. რამდენჯერმე ვნახავთ ამ ფირს და კარგად შევისწავლით მეტოქის სათამაშო სტილს.

**— ჯგუფში პირველობაზე ხელი ხომ არ ჩაიქნიეთ?**

— შესარჩევი ციკლი ძალიან ცუდად დავიწყეთ. ალბანეთთან პირველსავე შინაურ მატჩში დამარცხება იმას ნიშნავდა, რომ თითქმის ყველა იმედი გადაგვეწურა. მაგრამ ლატვიასა და საბერძნეთში ჩატარებულმა შეხვედრებმა დამარწმუნა ჩვენი გუნდის პოტენციაში. ბერძნებისგან მართლაც დასანანი და დაუმსახურებელი მარცხი ვიწვნიეთ. არადა, დიდი შანსი გვქონდა, ერთ-ერთ უშუალო კონკურენტისთვის ქულა აგვერთმია.

ნორვეგიას რომ ყველა თამაში არ ჰქონდეს მოგებული, კიდევ შეიძლებოდა პირველობაზე ფიქრი... არა, ფიქრი ახლაც შეიძლება. იქნებ ნორვეგიელებმაც დაკარგონ ქულები. ჩვენ კი ყველა შეხვედრის მოგება გვჭირდება. ასე რომ, მცირე შანსი მაინც გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, გულშემატკივრებს კარგი ფეხბურთი უნდა ვუჩვენოთ და ის არ გავიმეოროთ, რაც თბილისში დაგვემართა ალბანეთთან.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ბათუმს შავი უჩე პარტიზანებმა აპოვნინეს

*...მაშინაა ნამხდარი ჩვენი საქმე, ნიგერიიდან წამოსული და საქართველოში თამაშმოწადინებული ფეხბურთელი ეროვნული ჩემპიონატის დონეს რომ დაგვიწუნებს. ის არ მომწონს, ეს არ მომწონს, ეგ ცუდია, ის უარესიო... კი, მაგრამ, იმ ოჯახაშენებულზე თუ ასე იმოქმედა აქაურობამ, რას ჩამოდიოდა?*
*რაღას მორბოდა ნიგერიიდან?*
*„ბათუმის" ფეხბურთელი უჩე უვაკვე ჩვენთან ჩამოსული მეორე ეგზოტიკური ფეხბურთელია. მეორეს კი ვამბობთ, თორემ ოფიციალურ თამაშში მონაწილეობით ნამდვილად პირველია. მისი წინამორბედი ასევე ნიგერიელი ბარი სალამი იყო, ფეხბურთელობას რომ იბრალებდა და ორიოდ თვის შემდეგ ხალხს ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე მომუშავე უნახავს. ყანწს ვერ გააგდებინებდი ხელიდანო, ამბობდნენ. სალამი ახლა რას აკეთებს, უცნობია.*
*აი, მისი თანამემამულე უვაკვეს ფეხბურთელად ჩათვლა კი ნაღდად შეგვიძლია. „ბათუმის" მაისურს რომ მოირგებ, ეტყობა, თამაშისა მართლაც გაგეგება. მოედანზე რა კაცია უჩე, ამას, ალბათ, მალე გავიგებთ.*
*„ლოკომოტივთან" სათასო ნახევარი საათის გარდა უვაკვეს ჯერ არ უთამაშია. ამის მიზეზი, როგორც გვითხრეს, მუხლის ტრავმა ყოფილა.*
*რა კაცია უჩე მოედნის მიღმა? აგერ, ბატონო...*


ბადრი ქეთიაშვილის ფოტო

თეთრი და შავი რამ გაყო, ღვთისშვილები ვართ ყველანი...
უჩე უვაკვე ქართველ ბავშვებს დაუმეგობრდა

**— ერთი ნიგერიელი საქართველოში ადრეც ჩამოსულა. იცნობ?**

— არა, მაგრამ ამის შესახებ მსმენია. მითხრეს, აქ თამაში სურდაო. რამდენადაც გავიგე, თქვენებურთა მოთხოვნები ვერ დაუკმაყოფილებია.

**— შენ დაკმაყოფილებ?**

— დროის სატარებლად არა მცალია. მომავალს უნდა მივხედო. დარწმუნებული ვარ, „ბათუმის" ძირითად შემადგენლობაშიც დავმკვიდრდები.

**— მომავალში რას გულისხმობ?**

— საქართველოში დიდხანს არ გავჩერდები. სხვა, უფრო საფეხბურთო ქვეყანაში მინდა კარიერის გაგრძელება. თქვენგან გაცილებით იოლია ევროპაში მოხვედრა.

**— მაინცდამაინც საქართველოში რატომ ჩამოხვედი?**

— ბედმა ასე ინება. ფეხბურთის თამაშია ჩემი საქმე. ნიგერიის დონე არ მაკმაყოფილებდა და გადავწყვიტე, აქეთ წამოვსულიყავი. ახლა მეტი შანსი მაქვს, რუსეთში, უფრო კი ევროპაში გადავიდე.

**— ადრე სად თამაშობდი?**

— ჯერ ნიგერიის ერთ-ერთ გუნდში, მერე კი კონგოსა და ტუნისში.

**— ნიგერიის ნაკრების ფეხბურთელებს თუ იცნობ?**

— აფრიკის თასზე ბაბაიაროსა და კანუს მხარდამხარ ვთამაშობდი. დრო იყო, ვმეგობრობდით კიდეც.

**— „ბათუმთან" შეგუება არ გაგჭირვებია?**

— კარგი ბიჭები არიან, წუთითაც არ უგრძნობინებიათ, რომ უცხოტომელი ვარ. ბათუმიც ლამაზი ქალაქია და ხალხიც ფეხბურთის მოყვარული. ძალიან მესიამოვნა, თამაშისას რომ მქომაგობდნენ. ტრიბუნიდან მამხნევებდნენ.

**— ქართულად არაფერი გესმის?**

— „გამარჯობა" და რამდენიმე სიტყვა ვისწავლე. ენის უცოდინრობის გამო ძალიან მიჭირს ურთიერთობა. ხშირად მწვრთნელისაც არ მესმის. ამ საქმეში ვანო მახარაძე მეხმარება, ის მითარგმნის ხოლმე.

**— ნიგერიის დონე არ მაკმაყოფილებდაო, თქვი. საქართველოს ჩემპიონატზე რას იტყვი?**

— უარესიო, ვერ ვიტყვი, მაგრამ ნიგერიის ჩემპიონატისაგან, არც ძალიან განსხვავდება. საქართველოში ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ. ქართველებს იმპროვიზაციის დიდი უნარი აქვთ, მოქნილები არიან...

**— ნიგერიელებზე ტექნიკურები?**

— ხომ გითხარი, დიდი სხვაობა არ არის. აი, ნიგერიელ ლეგიონერებთან ქართველების შედარება კი არ შეიძლება. ბაბანგიდა, ოკოჩა, კანუ, ფინიდი, ესენი ხომ მსოფლიოს კლასის ფეხბურთელები არიან.

**— ის არ გითქვამს, ჩვენი ჩემპიონატის ფდონე თუ გაკმაყოფილებს.**

— თუ ნიგერიისა არ მაკმაყოფილებდა, აქაური დამაკმაყოფილებს? გაოცებული ვარ თქვენი სტადიონებით. დანგრეული ტრიბუნები, უვარგისი გაზონი, ცოტა მაყურებელი. ასეთი რამ ნიგერიაში არ არის. ტრიბუნები მუდამ სავსეა, მინდორიც თითქმის იდეალურია.

**— ზოგადად კი თქვი, მაგრამ მაინც, ასე თუ არის საქმე, საქართველოში რატომღა ჩამოდიოდი?**

— პასუხი ერთი მაქვს — საქართველოდან უფრო გამიადვილდება სხვა ქვეყანაში წასვლა.

**— შენი მენეჯერი ვინ არის?**

— არ გეცოდინებათ, უცხოელია.

**— როგორ გგონია, საქართველოში თამაშით ბევრს ისწავლი?**

— რატომაც არა. არც ისეთი ვარ, თქვენებურებზე ბევრად ძლიერად ვგრძნობდე თავს. ერთი, ჩვეულებრივი ნიგერიელი, ფეხბურთელი ბიჭი გახლავართ. რასაც აქ ვისწავლი, სხვაგან გამომადგება.

როგორც შევიტყვეთ, უჩეს საქართველოში ჩამოსვლა „ევრო სპორტის" დამსახურებაც ყოფილა. მაშინ, როცა „ბათუმი" ბელგრადს სტუმრობდა, მათი „პარტიზანთან" თამაში ამ არხმა გადასცა, იმ უცნობ მენეჯერს კი მატჩი უნახავს და რამდენიმე დღეში ბათუმში დაურეკავს, სათქვენოდ ერთი შავი ფეხბურთელი მეგულება, გესტუმრებათ, გასინჯეთ, ეგებ მოგეწონოთო... ეტყობა, უვაკვემ მართლაც დააკმაყოფილა ბათუმელთა მოთხოვნები, თორემ ლამაზი თვალებისთვის გუნდში, არა მგონია, ჩაერიცხოთ.

**კობა ინასარიძე**

# ზაურ ხაპოვიდან უჩე უვაკვემდე

ლეგიონერი ნებისმიერი ქვეყნის ჩემპიონატში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ასე რომ არ იყოს, არც ლეგიონერი იქნებოდა.

დღეს საქართველოს ერთი ლეგიონერი უკვირს, არადა, აქამდე 29 ჰყოლია, ერთდროულად — 15.

მაგრამ სხვა ხიბლი აქვს დღეს ლეგიონერს, თანაც ზანგს. ბლომად ყოფილა საქართველოში უცხოტომელი, მაგრამ შავკაცი არასდროს.

საქართველოს ჰყოლია ლეგიონერი-ჩემპიონი, თასის მფლობელებიც. ეს კი იმის დასტურია, რომ ჩვენში მაღალი კლასის უცხოელ ფეხბურთელებსაც მოსურვებიათ თამაში და კარგადაც გარჯილან.

„დინამოს" მეკარე ზაურ ხაპოვი — პირველი ლეგიონერი საქართველოს ჩემპიონატში, მოგვიანებით რუსთა ნაკრების ერთ-ერთი მეკარე გახდა.

ლიტველ ლეგიონერთა უმრავლესობა 90-იანების დასაწყისში ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდში გამოდიოდა. გურული ლიტველები რომას მაჟეიკისი და რობერტას ფრიდრიკასი კი აგერ აქამდე შერჩნენ ბალტიისპირელთა ნაკრებს.

აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდში უთამაშია ერთ-ერთ ყურბანოვს, საქართველოში გურჯაანის „ალაზანში" ნათამაშევ მუსასაც.

ეს სია, ცხადია, უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, ეროვნული ჩემპიონატის საწყისი წლები ფიფაუეფას იზოლაციით რომ არ ყოფილიყო დადამღული.

ამას წინათ უცხოეთში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთა ნუსხა რომ გაახლეთ, მაშინ ბევრი ვიფიქრეთ, მათ შორის შეგვეყვანა თუ არა ის ქართველი ფეხბურთელები, ვისაც ეროვნულ ჩემპიონატში არ უთამაშიათ. ისინი ან უცხოეთში დაიბადნენ, ანაც ადრე დატოვეს სამშობლო. ჰოდა, ასეთი ფეხბურთელები საქართველოს ჩემპიონატშიც გვიხილავს, მაგრამ ლეგიონერთა შორის არ ჩაგვითვლია. ესენი „სამტრედიაში" მოთამაშე შურლაია და სვინაიძე იყვნენ.

რაც შეეხება ამჟამად ჩვენს ერთადერთ უცხოელს, ნიგერიელ ზანგ უჩე უვაკვეს, ჯერ ეროვნულ ჩემპიონატში ძალა არ მოუსინჯავს, მაგრამ საქართველოს თასის მეოთხედფინალში ნათამაშევი დამატებითი დრო იმის თქმის საბაბს გვაძლევს, რომ უვაკვე საქართველოს ჩემპიონატში ოცდამეათე ლეგიონერი და პირველი ზანგი იქნება.

**ვახტანგ გზირაძე**

**უცხოელები საქართველოს ჩემპიონატში**

| | | | |
|---|---|---|---|
| 91-92 | მუსა ყურბანოვი | აზერბაიჯანი | ალაზანი |
| 91-92 | ნაზიკ ჰასანოვი | აზერბაიჯანი | ალაზანი |
| 90-92 | სერგეი შიროკი | ბელარუსი | ამირანი |
| 1991 | სერგეი გომონოვი | ბელარუსი | ამირანი |
| 1991 | სერგეი პავლიჩუკი | ბელარუსი | მზიური |
| 91-92 | ალექსანდრ რეუტსკი | ბელარუსი | სულორი |
| 91-92 | ვიტალი კირსენკო | ბელარუსი | ოდიში |
| 1990 | რომას მაჟეიკისი | ლიტვა | გურია |
| 1990 | რობერტას ფრიდრიკასი | ლიტვა | გურია |
| 1990 | ვირგინიუს ბალტუშნიკასი | ლიტვა | მზიური |
| 1990 | ვაიდას პეტრაუსკასი | ლიტვა | მზიური |
| 1990 | როლანდას ვაინეიკისი | ლიტვა | ოდიში |
| 1990 | რიჩარდას ზდანჩუსი | ლიტვა | ოდიში |
| 90-91 | ალგიმანტას ბრიაუნისი | ლიტვა | ივერია |
| 1991 | ვადიმ კისილიოვი | რუსეთი | ივერია |
| 1990 | ზაურ ხაპოვი | რუსეთი | იბერია (თბ) |
| 1991 | ბორის სპირინი | რუსეთი | კოლხეთი (ხ) |
| 91-92 | ვიქტორ პიმუშინი | რუსეთი | კოლხეთი (ხ) |
| 91-92 | ალექსანდრ ფედოტოვი | რუსეთი | კოლხეთი (ხ) |
| 91-92 | ევგენი ივანოვი | რუსეთი | სამტრედია |
| 91-92 | ვლადიმირ პეტროვი | რუსეთი | სამტრედია |
| 91-92 | იური სობოლი | რუსეთი | სამტრედია |
| 91-92 | იური სუროვი | რუსეთი | სულორი |
| 92-93 | გრიგორი არაქელიანი | სომხეთი | სამტრედია |
| 92-93 | გენრიხ ბერბერიანი | სომხეთი | გურია |
| 92-93 | ედუარდ ვერონიანი | სომხეთი | გურია |
| 1990 | იგორ შეპტიცკი | უკრაინა | სამტრედია |
| 91-92 | იური დენისიუკი | უკრაინა | ოდიში |
| 91-92 | ვიტალი ჩაიკა | უკრაინა | მზიური |

# თვრამეტში მანეჟში

როგორც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობამ გვაცნობა, 18 მარტს, 13 საათზე, სასტუმრო „მანეჟში" მოეწყობა პრესკონფერენცია, რომელზეც ნაკრების თავკაცობა ყველა დაინტერესებულ ჟურნალისტს ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის გუნდის მზადების შესახებ.

# ფოფხაძემ მეზობლობა არ იცის

რუსეთის ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირაღა დარჩა. უმაღლესი დივიზიონის პირველი ტური 3 აპრილს გაიმართება. მანამდე კი გუნდები მზადებას განაგრძობენ. სამარის „კრილია სოვეტოვმა", რომელშიც ქართველი ლეგიონერი ზურაბ ფოფხაძეც თამაშობს, კვიპროსზე მოაწყო შეკრება და, ცხადია, საკონტროლო მატჩებსაც ატარებს. გასულ უქმეებზე სამარელები აზერბაიჯანის ეროვნულ ნაკრებს შეხვდნენ, რომლებიც რამდენიმე დღეა, კვიპროსზე იმყოფებიან და 26 აპრილისთვის ემზადებიან. ამ დღეს ჩვენი მეზობლები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში პორტუგალიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. თუმცა „კრილია სოვეტოვთან" მატჩმა დაამტკიცა, რომ აზერბაიჯანელები არც ისე კარგ ფორმაში არიან. თამაში 3:0 მოიგეს სამარელებმა, ანგარიში კი სწორედ ჩვენებურმა ზურაბ ფოფხაძემ გახსნა, რომელიც ამპლუით მცველი გახლავთ.

**ვანო ოქროპირიძე**

# გიგიაძე ბატისტუტაა?

ტყუპი დე ბურებისგან განსხვავებით, რომლებიც მართლა ძმურად უდგანან ერთმანეთს გვერდში და „ბარსელონას" საჩემპიონო ამბიციებშიც ლომის წილს იდებენ, ტყუპ გიგიაძეებს ჯერაც ცალ-ცალკე უხდებათ გარჯა. საქმე ისაა, რომ „იბერია" — „ოდიშის" სამტრედიულ მატჩში ტრავმამიღებული ვასო გიგიაძე ჯერჯერობით მეტოქის მაგიერ ტკივილს ებრძვის და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, საკმაოდ წარმატებულადაც — ვასოს თითქმის მოშუშებია მტკივანი მუხლი და თუ დღეს „არსენალთან" არა, სავარაუდოდ, მომდევნო ტურში მაინც დაეხმარება თავის გუნდს.

არადა, ძალიან სჭირდება სამტრედიის „იბერიას" ვასო გიგიაძის გამრჯე ფეხი. შოთა ჩომახიძის „დინამოში" გადაბარგების შემდეგ მან ერთმა მოიგდო „იბერიის" ლიდერის მანტია და იმერული გუნდის გოლების სამოცდაათი პროცენტიც ხომ მის წილად მოდიოდა. როგორც კი ვასო გიგიაძე დაშავდა, მეათე ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ შედეგიან გუნდს ნაყოფიერება ერთბაშად დაუქვეითდა და აგერ 270 წუთია, გოლი არ გაუტანია.

ასე რომ, ვასო გიგიაძის დაბრუნებასთან ერთად ეგებ დაკარგული გოლის ალღოც დაიბრუნონ სამტრედიელებმა. მაგალითი აგერ არ არის, ფლორენციაში?

დაბრუნდა ბატისტუტა და თითქმის მშრალად წაგებული სათასო მატჩი „ფიორენტინამ" სათავისოდ მოატრიალა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# როცა აყვავდა ნუში

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები

### კაიზერსლაუტერნი VS ბაიერნი

(პირველი მატჩი 0:2)

ჯოვანი ელბერი დღეს ვერ ითამაშებს. მიუნხენის „ბაიერნის“ ბრაზილიელი თავდამსხმელი ბუნდესლიგის ბოლო ტურში მძიმედ დაშავდა. ოტმარ ჰიცფელდს უდავოდ ძლიერი მოთამაშე გამოეცალა.

მიუნხენელები მაინც იმედიანად არიან — ალი დაეი, კარსტენ იანკერი, ალექსანდრ ციკლერი, მათ ძალუძთ „კაიზერსლაუტერნის“ დამწუხრება. სტუმართა იმედები კიდევ იმას ეფუძნება, რომ მათ პირველი შეხვედრა მოგებული აქვთ, თან საკმაოდ მისაღები ანგარიშით. ასე, რომ „ბაიერნს“ ერთი, თუნდაც უძლიერესი მოთამაშის არყოფნა ვერაფერს დააკლებს.

ორი კვირის წინ, მიუნხენში, „ოლიმპიურ სტადიონზე“ „ბაიერნმა“ მოიგო, თუმც მაინცდამაინც დიდი უპირატესობა არ ჰქონია — „კაიზერსლაუტერნი“ მასპინძელს მედგრად დაუპირისპირდა. ეგ კი არა, სტუმრები პირველ ტაიმში უფრო ყოჩაღად გამოიყურებოდნენ.

იმ მატჩის შემდეგ ზუსტად 14 დღემ ჩაიარა. დღეს საპასუხო, ბევრისმომცემი თამაშია. ოტო რეჰაგელის „კაიზერსლაუტერნი“ მეორედ ეპაექრება „ბაიერნს“.

— მეტოქის თამაშს მთელი ამ ხნის განმავლობაში ვადევნებდი თვალს და მაინცდამაინც დიდი ცვლილება არ შემიმჩნევია. „ბაიერნი“ კვლავ და კვლავ რჩება ძლიერ გუნდად. მიუხედავად მეტოქის ძლევამოსილებისა, ორბურთიანი დეფიციტისა და ჩვენს კლუბში შექმნილი პატარ-პატარა პრობლემებისა, ვთვლი, რომ „კაიზერსლაუტერნს“ აქვს წარმატების შანსი — ოტო რეჰაგელი დღეს იმ გუნდს უნდა შეებრძოლოს, რომელშიც ამ რამდენიმე ხნის წინ თავად მუშაობდა.

— პირველი მატჩი ჩვენს სასარგებლოდ კი დასრულდა, მაგრამ ნახევარფინალისტი „ბაიერნი“ ჯერ სულაც არაა. კაიზერსლაუტერნში უმძიმესი თამაში გველის, თუმცა არა მგონია, შეხვედრა მასპინძელთათვის ადვილი გამოდგეს. რაც შეეხება იმას, თუ ვინ შეცვლის ჯოვანი ელბერს თავდასხმაში, ეს მატჩის წინ დადგინდება — ოტმარ ჰიცფელდი შეფიქრიანებულია. კლუბის საუკეთესო ბომბარდირის არყოფნას იგი საგონებელში ჩაუგდია.

ორივე მწვრთნელი, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, დაძაბული ბრძოლის მოლოდინშია. დიახ, დღეს კაიზერსლაუტერნში ბრძოლა იქნება და არა თამაში.

მაინც, ვინ შეცვლის ჯოვანი ელბერს? ეს მართლაც ძნელი გამოსაცნობია და ახლა შეიძლება არც თავად ჰიცფელდმა უწყის, ვის გაამწესებს თავდასხმაში. სანამ მწვრთნელი მოიფიქრებდეს, ვის მიანდობს შეტევას, გერმანული პრესა ვარაუდებითაა აჭრელებული. ჟურნალ-გაზეთების უმეტესობა კარსტენ იანკერისა და ჰასან სალიჰამიჯიჩის გვარებს მოიხსენიებს.

თუ „ბაიერნში“ ელბერის არყოფნა აღელვებთ, ოტო რეჰაგელი ორ ლეგიონერს ვერ დაიხმარს — 1998 წლის აფრიკის თასის მფლობელი, ეგვიპტელი ჰანი რამზი დისკვალიფიცირებულია პირველ შეხვედრაში გაძევების გამო, დანიელი მცველი მიხაელ შონბერგი კი დაშავებულია. მასპინძლებს ოლაფ მარშალისა ეიმედებათ — 32 წლის ფეხბურთელი, კარიერის დასაწყისში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებში 4 მატჩის ჩატარება რომ მოუსწრია, მუხლის ტრავმისგან ნელ-ნელა იკურნება.

დღეს მართლაც დაძაბული მატჩია.

...გუშინ ამერიკაში ტრავმის სამკურნალოდ ჩასულმა ჯოვანი ელბერმა კოლორადოს შტატში, ქალაქ ვეილის ერთ-ერთ კლინიკაში ოპერაცია გაიკეთა. 26 წლის ბრაზილიელი თავს კარგად გრძნობს.

**ქოტე ვაიტაძე**

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

**დისკვალიფიკაცია**

ჰანი რამზი (კაიზერსლაუტერნი) — 1 მატჩი

**გაფრთხილება**

კაიზერსლაუტერნი: იანუშ ჰრუტკა
ბაიერნი: მარიო ბასლერი, ბიქსენტე ლიზარაზუ



სარბიელის არქივიდან

„იუვენტუსის“ თავდამსხმელ ფილიპო ინძაგის ამ ბოლო დროს გადამწყვეტი გოლები გააქვს

### დინამო VS რეალი

(პირველი მატჩი 1:1)

თუ მოხდა ის, რასაც ბევრი ფიქრობს, მაშინ კიევის „დინამო“ იქნება პირველი პოსტსაბჭოური კლუბი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გააღწევს. მადრიდში მიღწეული ფრე ამაზე ფიქრის საფუძველს იძლევა. დიდი შანსია, ასეც მოხდეს.

ალბათ, არ უნდა შეხსენება იმას, რომ ესპანეთის ყველაზე ტიტულიანი გუნდი, მადრიდის „რეალი“, დღესდღეობით სასურველ დონეზე ვერ თამაშობს. სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა ცდას არ აკლებს, ტიტული დაიცვან, მაგრამ წლეულს ერთი წლის წინანდელი გამარჯვების გამეორება, ალბათ, ძალიან, ძალიან გაჭირდება. დღესდღეობით მადრიდის „რეალი“ ვერაა საჩემპიონო კლუბი. იმის მტკიცება, გინდა თუ არა, კიევის „დინამო“ ესპანეთის 27-გზის ჩემპიონზე ძლიერიაო, სისულელე იქნება — თუ ამ გუნდებს შორის სათამაშო კლასში რაიმე განსხვავებაა, ალბათ, ძალიან მცირე.

1:1 „სანტიაგო ბერნაბეუზე“. ამ შედეგს თუ გავითვალისწინებთ, კიეველებმა ნახევარფინალში უნდა გააღწიონ, მაგრამ დამარცხებისაც ხომ იმდენივე შანსია, რამდენიც გამარჯვების? ეს ასეა, ამას კი ვერსად გავექცევით. განა იშვიათად მომხდარა, „რეალს“ შინ დამარცხების შემდეგ სტუმრად რომ მოუგია და შემდეგ წრეში გასულა? ასეთი რამ სამეფო კლუბის მრავალწლიან და გამარჯვებებით დახუნძლულ ისტორიას ბევრჯერ ახსოვს. ესპანელები იმედოვნებენ, რომ ჯონ ტოშაკის გუნდი ბებერ მელა ვალერი ლობანოვსკის და მის ამალას დაამარცხებს.

უკრაინის დედაქალაქი, კონკრეტულად კი ოლიმპიური სტადიონი მოუთმენლად ელის საფეხბურთო გაზაფხულის დადგომას. ამინდის მხრივ ვერ იტყვი, გაზაფხულიაო, მაგრამ ეს მასპინძლებს არ ანაღვლებთ. ერთი რამ ახლავე ცხადია — თამაშისთვის ყველაფერი უმაღლეს დონეზე იქნება მზად.

მზად იქნება ყველაფერი, მაგრამ იქნებიან კი მეტოქენი ამ შეხვედრისთვის სათანადოდ მომზადებულნი? აი, რა აღელვებთ უკრაინელ და ესპანელ გულშემატკივრებს.

ნუ დავივიწყებთ სტუმარ-მასპინძლობის კულტურას — სტუმრით დავიწყოთ.

„რეალმა“ ესპანეთის ჩემპიონატში ბოლო ორი შეხვედრა მოიგო და ლიდერთა ამალას დაუბრუნდა. ჯონ ტოშაკს მიძინებული კლუბი, როგორც ჩანს, ბურუსიდან გამოჰყავს, თუმცა რამდენად მოასწრებს „რეალი“ კიეველებთან მატჩისათვის გამოფხიზლებას, დღეს გამოჩნდება.

დაბრუნდა დავორ შუკერი. ცნობისათვის: იგი არსადაც არ წასულა, უბრალოდ, გუნდის მწვრთნელმა მას პრიმერა დივიზიონში, სანტანდერის „რასინგთან“ მატჩის მეორე ნახევარში ადგილი მიანდო და ხორვატმა თავდამსხმელმაც გაიტანა. კარგა ხანია, მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს გოლი არ გაუტანია. თუ ესპანურ პრესას ვენდობით, ჯონ ტოშაკი აპირებს ფერნანდო მორიენტესი შუკერით შეცვალოს.

„რეალს“ დაუბრუნდნენ მანუელ სანჩისი და ფერნანდო იერო. ორივე საბოლოოდ გამოჯანმრთელდა ტრავმებისგან.

„დინამო“? — მცველი იური დმიტრულინი კვლავ დაშავებულია, ნახევარმცველი ვიტალი კოსოვსკი კი მუხლის ტრავმას იმუშებს. სხვა ყველა ჯანმრთელადაა.

...უმეტესობა მაინც ფიქრობს, რომ ნახევარფინალში კიეველები გავლენ.

**ირაკლი ილაშვილი**

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

**გაფრთხილება**

დინამო: ვლადისლავ ვაშჩუკი
რეალი: მანუელ სანჩისი

### ინტერი VS მანჩესტერი

(პირველი მატჩი 0:2)

რონალდო ითამაშებს! ბრაზილიელი ჭაბუკი მართალია მთლიანად არ განკურნებულა ტრავმისგან, მაგრამ ნახევარი რონალდოც რომ დიდი ძალაა, ამას თქმა არ უნდა. მსოფლიოს ჩემპიონ რონალდოს ტრავმა კი აწუხებს, მაგრამ არა იმდენად, თამაშის შესაძლებლობას არ აძლევდეს.

— მწვრთნელმა იცის, რომ მთლიანად არ განვკურნებულვარ, თუმცალა თამაში ძალმიძს. მე გუნდის ხელმძღვანელობა პირველივე წუთიდან მანდობს ადგილს „ინტერის“ ძირითად შემადგენლობაში და არანაირი უფლება არ მაქვს, მათ იმედები გავუცრუო — მხოლოდ ეს განაცხადა რონალდომ მოახლოებული მატჩის წინ.

მილანელები, უფრო სწორად კი მილანში მცხოვრები „ინტერის“ გულშემატკივრები, იმედიანად არიან, მიუხედავად იმისა, რომ საღად აფასებენ დღევანდელ მდგომარეობას. 0:2-ის შემდეგ გამარჯვების მაინც სჯერათ. არის ერთი ფაქტორი, რომლისაც „ინტერის“ ქომაგებს ღრმად სწამთ — 1963 წლიდან „ინტერი“ ჩემპიონთა თასის მატჩებში შინ აგერ უკვე 27 შეხვედრაა, არ დამარცხებულა. იტალიელებს ეიმედებათ, რომ სერია კვლავ გაგრძელდება, ოღონდ გამარჯვებით.

ალექს ფერგიუსონი სულაც არ ღელავს — თუ დიდი ხნით ტრავმირებულ ტედი შერინგემს არ ჩავთვლით, მის კლუბში ყველა ჯანმრთელადაა, მათ შორის დანიელი გიგანტი პეტერ შმაიხელი, რომელიც პრემიერლიგის ბოლო ტურის მატჩში „ნიუკასლ იუნაიტედთან“ შეცვალეს.

— ჩვენ გვინდა ნახევარფინალში გასვლა. ჩვენ გვინდა თასის მოპოვება. ჩვენ მივაღწევთ მიზანს — თქვა დევიდ ბექემმა, მილანელთა არგენტინელ ლეგიონერ დიეგო სიმეონესთან შერიგებულმა ფეხბურთელმა. სხვათა შორის, ბექემმა ჩემპიონთა ლიგაში დებიუტი გოლით აღნიშნა — ეს 1994-95 წლების სეზონში მოხდა „გალათასარაისთან“ მატჩში.

აბობოქრდება „სან სირო“ „შავ-ლურჯების“ დანახვაზე. აღელდებიან ტიფოზები, საყვარელი კლუბის გამოჩენისას. ყურისწამღები ხმაური, იტალიელთა ალყა, გადაჭედილი „სან სირო“, კბილებალესილი „ინტერი“... მანჩესტერელებს მართლაც მძიმე შეხვედრა ელით. აგერ უკვე 42 წელია, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ევროპის ჩემპიონთა თასისთვის იბრძვის. ამ წლების მანძილზე ჯერ არ მომხდარა, ოლდტრეფორდელებს აპენინელი მეტოქე დაემარცხებინოთ. გატყდება ნავსი?

— მოვიდა დრო, იტალიურმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგის გათამაშება სწორედ ინგლისელებთან მარცხის შემდეგ დატოვოს. „მანჩესტერი“ ნახევარფინალშია — დანიის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელ პეტერ შმაიხელს სულაც არ ანაღვლებს „ინტერის“ მრისხანე თავდასხმა. მას თანაკლუბელების იმედი აქვს.

კვლავ წარსდგებიან ერთმანეთს პირისპირ არგენტინელი დიეგო სიმეონე და დევიდ ბექემი. კვლავ იქნება დენთის სუნი ჰაერში. ისევ და ისევ მიაპყრობს ხალხი ყურადღებას ამ ორ ფეხბურთელს. ისინი მანჩესტერში [illegible] შერიგდნენ, მაგრამ...

— რთული შეხვედრაა, ძალიან რთული. კარიერას, ალბათ, მალე დავასრულებ და არ მინდა, ფეხბურთიდან ამ ჯილდოს გარეშე წავიდე. ბევრი გამარჯვება მიზეიმია, ჩემპიონთა თასი კი ჯერ არ აღმიმართავს. მსურს, ეს გრძნობა განვიცადო — ჯუზეპე ბერგომი, „ინტერს“ შებერებული ფეხბურთელი, ბოლომდე იბრძოლებს. მან იცის, რომ ეს თამაში ბევრ რამეს წყვეტს. ბერგომის, თითქმის ოცწლიანი კარიერის მანძილზე მართლაც ბევრი ტიტული და პრიზი მოუგია, რეკორდიც უამრავი დაუმყარებია, მაგრამ ერთი უდავოდ აღსანიშნავია — ჯუზეპე ბერგომის ევროტურნირებზე 120 მატჩი ჩაუტარებია, ეს კი რეკორდია. აქამდე პირველობას 70-იანი წლების ლეგენდარული „ლივერპულის“ მეკარე რეი კლემენსი ინარჩუნებდა 114 მატჩით, დღეს კი პირველი ბერგომია.

— „სან სირო“ უეჭველად გაიჭედება. შეუძლებელია, ასეთმა დიდმა მატჩმა კაცნაკლულ სტადიონზე ჩაიაროს.

**ქოტე ვაიტაძე**

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

**გაფრთხილება**

ინტერი: არონ ვინტერი, ივან სამორანო
მანჩესტერი: დენის ირვინი, როი კინი, პოლ სქოულზი

### ოლიმპიაკოსი VS იუვენტუსი

(პირველი მატჩი 1:2)

— ანჯელო პერუცში შეიძლება ვერ ითამაშოს. იგი საბოლოოდ არ გამოჯანმრთელებულა და ვერ გეტყვით, დაგვეხმარება თუ არა საბერძნეთში. ყველაფერი უშუალოდ შეხვედრამდე გადაწყდება. პერუცი „ოლიმპიაკოსთან“ მატჩის წინ სამედიცინო შემოწმებას გაივლის და თუ მზად იქნება, გავა მინდორზე — „იუვენტუსის“ მწვრთნელმა ანჩელოტიმ ეს ჯერ კიდევ საბერძნეთში გამგზავრებამდე განაცხადა.

ახლა იტალიის ჩემპიონი საბერძნეთშია და ძალიან საპასუხისმგებლო შეხვედრისთვის ემზადება. შინ 2:1 გამარჯვება მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევს. სხვათა შორის, რომ არა პერუცი, ბერძნებს გოლი ეგებ ვერც გაეტანათ — ორი კვირის წინანდელი მატჩის ბოლო წამებზე ტურინელთა კარის დარაჯმა ერთ-ერთი ბერძენი წააქცია და პირეოსელმა ნინიადისმა პენალტი გაიტანა. თუ რა კაცია ნინიადისი, ეს თავის დროზეც დაიწერა.

„იუვენტუსი“ ტრავმებს დაუმწუხრებია — ანჯელო პერუცის გარდა დაშავებულია ურუგვაელი პაოლო მონტერო. ვერ ითამაშებს იუგოსლაველი მცველი ზორან მირკოვიჩი.

ფილიპო ინძაგი! — ორი წლის წინ, „ატალანტაში“ თამაშისას, მან იტალიის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვა, თუმცა ამ ხნის შემდეგაც კი არ დაუკარგავს ბომბარდირული თვისებები. იტალიის ჩემპიონატის ბოლო ორი მატჩი „იუვენტუსმა“ ერთნაირი ანგარიშით 2:1 მოიგო და ორივე შემთხვევაში გამარჯვების გოლი ინძაგიმ გაიტანა. ტურინელთა უპირველესი ფორვარდი კლუბს უბრუნდება.

— გუნდმა კრიზისს თავი დააღწია. მჯერა, ჩვენ შევძლებთ წარმატების მიღწევას. „ოლიმპიაკოსთან“ მარცხს ყველა ტურინელი გამორიცხავს. „იუვენტუსი“ ნამდვილად ღირსია შემდეგ წრეში გასვლისა — ეს სიტყვები ინძაგის ეკუთვნის. მან პირეოსელთა კარი პირველ შეხვედრაში დალაშქრა.

სანამ ტურინელთა მეცხრე ნომერი მომავალზე საუბრობს, საბერძნეთში, განსაკუთრებით კი პირეოსში, საკითხს რეალურად ეკიდებიან.

რა მდგომარეობაა „ოლიმპიაკოსში“?

— კარგი, ოღონდ ეგაა, თავდამსხმელი ილია ივიჩი, ალბათ, ვერ ითამაშებს.

მასპინძლებს გულშემატკივრებისა ეიმედებათ — ბერძენ ქომაგთა თავშეუკავებლობა მთელს დუნიაზეა ცნობილი.

**ირაკლი ილაშვილი**

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

**გაფრთხილება**

ოლიმპიაკოსი: ვასილიოს კარაპიელისი
იუვენტუსი: ზორან მირკოვიჩი, ანჯელო პერუცი, ზინედინ ზიდანი

**არსენალი**

მთავარი მწვრთნელი 49 წლის არსენ ვენგერი 1996 წლის სექტემბრიდან
სტადიონი ჰაიბერი. 38 500 მაყურებელი

**უიმბლდონი**

მთავარი მწვრთნელი 52 წლის ჯო კინარი 1992 წლის იანვრიდან
სტადიონი სელჰარსტ პარკი. 26 309 მაყურებელი

**ჩელსი**

მოთამაშე მწვრთნელი 34 წლის ჯანლუკა ვიალი 1998 წლის თებერვლიდან
სტადიონი — სტემფორდ ბრიჯი. 41 000 მაყურებელი

**ჩარლტონ ატლეტიკი**

მთავარი მწვრთნელი 41 წლის ალან კერბიშლი 1995 წლის ივნისიდან
სტადიონი ველი გრაუნდი. 20000 მაყურებელი

**ვესტ ჰემ იუნაიტედი**

მთავარი მწვრთნელი 52 წლის ჰარი რედნაპი 1994 წლის აგვისტოდან
სტადიონი ეპტონ პარკი. 26 012 მაყურებელი

**ტოტენჰემ ჰოთსფური**

მთავარი მწვრთნელი 64 წლის ჯორჯ გრემი 1998 წლის ოქტომბრიდან
სტადიონი უაით ჰართ ლეინი. 36 200 მაყურებელი

# ლონდონის ჩემპიონატი

**ევროპის** წამყვან ჩემპიონატებში ისეც ხდება, რომ რამდენიმე კლუბი ერთ ქალაქს წარმოადგენს. მაგალითად, იტალიაში ორი დედაქალაქური გუნდია — „რომა“ და „ლაციო“, ასევე მილანში — „მილანი“ და „ინტერი“. ესპანეთში მადრიდს ორი კლუბი ჰყავს — „რეალი“ და „ატლეტიკო“. ასევე ბარსელონასაც — „ბარსელონა“ და „ესპანიოლი“. იგივე მდგომარეობაა გერმანიაშიც. ბუნდესლიგაში მონაწილე კლუბებიდან მაქსიმუმ ორი ეკუთვნის ერთ ქალაქს (ბაიერნი, მიუნხენ 1860).

მოგეხსენებათ, ერთი ქალაქის ორი გუნდის შეხვედრას დერბი ეწოდება და გულშემატკივარში ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს, რადგან ყოველთვის გამორჩეულად საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობს. ამ მხრივ ინგლისელი, განსაკუთრებით ლონდონელი ქომაგები ნაღდად განებივრებულნი არიან — თუ სხვა ქვეყნებში დერბი იშვიათობაა, აქ იგი თითქმის ყოველ ტურში იმართება, ხანდახან ორი, იშვიათად სამიც კი. ამის ერთადერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ პრემიერლიგაში ინგლისის დედაქალაქი არც მეტი, არც ნაკლები 6 გუნდით არის წარმოდგენილი. ესენი არიან ჩემპიონი და ასოციაციის თასის მფლობელი „არსენალი“, თასების თასის ბოლოსწინა გათამაშების გამარჯვებული „ჩელსი“ (ადგილი გასულ სეზონში — IV), 1981 წელს თასთა თასის მეოთხედფინალში თბილისის „დინამოს“ მიერ განადგურებული „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ (VIII), „ტოტენჰემ ჰოთსფური“ (XIV), „უიმბლდონი“ (XV) და „ჩარლტონ ატლეტიკი“ (პრემიერლიგაში შარშან გადავიდა).

ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს მიმდინარე სეზონში ლონდონური კლუბების ურთიერთშეხვედრების და სხვა წვრილმანების გახსენება. ამ თემას ჩვენ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით პრემიერლიგის გათამაშების დასრულების შემდეგ. ახლა კი ვნახოთ, რა მდგომარეობაა დღესდღეობით „ლონდონის ჩემპიონატში“.



სარჩიელის არქივიდან

ლონდონური დაპირისპირებები ყოველთვის დაძაბულია. გამონაკლისი არც „არსენალისა“ და „ჩელსის“ შეხვედრაა — ტონი ადამსი მარსელ დესაის (მარჯვნივ) ეჯაჯგურება

I ტური

**უიმბლდონი 3:1 ტოტენჰემი**

1:0 ერლი (48), 2:0 ეკოკუ (59), 2:1 ფოქსი (74), 3:1 ეკოკუ (80)

III ტური

**არსენალი 0:0 ჩარლტონი**

IV ტური

**ჩელსი 0:0 არსენალი**

**ვესტ ჰემი 3:4 უიმბლდონი**

1:0 ჰართსონი (7), 2:0, 3:0 რაიტი (14, 27), 3:1 გეილი (30), 3:2 იუელი (64), 3:3 გეილი (77), 3:4 ეკოკუ (81)

IX ტური

**ჩელსი 2:1 ჩარლტონი**

1:0 ლებეფი (18პ), 1:1 იუდსი (58), 2:1 პოიეტი (88)

X ტური

**ჩარლტონი 4:2 ვესტ ჰემი**

0:1 რაიტი (17), 1:1 ტილერი (29), 1:2 ბერკოვიჩი (40), 2:2 მილსი (73), 3:2 ჰანტი (87), 4:2 რედფირნი (90პ)

XI ტური

**ტოტენჰემი 2:2 ჩარლტონი**

0:1 ჰანტი (32), 1:1 ნილსენი (50), 2:1 არმსტრონგი (58), 2:2 ჰანტი (75)

XII ტური

**ვესტ ჰემი 1:1 ჩელსი**

1:0 რადოკი (4), 1:1 ბაბაიარო (76)

XIII ტური

**არსენალი 0:0 ტოტენჰემი**

**ჩელსი 3:0 უიმბლდონი**

1:0 ძოლა (32), 2:0 პოიეტი (55), 3:0 პეტრესკუ (70)

XIV ტური

**უიმბლდონი 1:0 არსენალი**

1:0 ეკოკუ (77)

XV ტური

**ვესტ ჰემი 2:1 ტოტენჰემი**

1:0, 2:0 სინკლერი (39, 46), 2:1 არმსტრონგი (72)

XVIII ტური

**ჩელსი 2:0 ტოტენჰემი**

1:0 პოიეტი (80), 2:0 ფლო (90)

XIX ტური

**არსენალი 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 ოვერმარსი (7)

**უიმბლდონი 2:1 ჩარლტონი**

0:1 რედფირნი (29), 1:1 იუელი (33), 2:1 ჰიუზი (51)

XX ტური

**ჩარლტონი 0:1 არსენალი**

0:1 ოვერმარსი (53პ)

XXII ტური

**ტოტენჰემი 0:0 უიმბლდონი**

XXIII ტური

**არსენალი 1:0 ჩელსი**

1:0 ბერხკამპი (32)

**უიმბლდონი 0:0 ვესტ ჰემი**

XXIV ტური

**ვესტ ჰემი 0:4 არსენალი**

0:1 ბერხკამპი (35), 0:2 ოვერმარსი (45), 0:3 ანელკა (83), 0:4 პარლოუ (87)

**ჩარლტონი 2:0 უიმბლდონი**

1:0 პრინგლი (37), 2:0 ბლექველი (69ს.კ.)

XXIX ტური

**ჩელსი 0:1 ვესტ ჰემი**

0:1 კიტსონი (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 29 | 17 | 9 | 3 | 65:30 | 60 |
| არსენალი | 29 | 15 | 11 | 3 | 40:13 | 56 |
| ჩელსი | 28 | 14 | 11 | 3 | 41:23 | 53 |
| ლიდსი | 29 | 14 | 9 | 6 | 45:26 | 51 |
| ასტონ ვილა | 29 | 12 | 8 | 9 | 39:34 | 44 |
| დერბი | 29 | 11 | 11 | 7 | 31:28 | 44 |
| ვესტ ჰემი | 29 | 12 | 7 | 10 | 32:39 | 43 |
| უიმბლდონი | 29 | 10 | 10 | 9 | 33:41 | 40 |
| ლივერპული | 28 | 11 | 6 | 11 | 52:37 | 39 |
| ტოტენჰემი | 29 | 9 | 12 | 8 | 34:34 | 39 |
| ნიუკასლი | 29 | 10 | 8 | 11 | 38:39 | 38 |
| მიდლსბრო | 28 | 8 | 12 | 8 | 37:39 | 36 |
| შეფილდი | 29 | 10 | 5 | 14 | 35:32 | 35 |
| ლესტერი | 28 | 8 | 10 | 10 | 28:37 | 34 |
| ქოვენთრი | 29 | 8 | 7 | 14 | 31:40 | 31 |
| ევერტონი | 29 | 7 | 10 | 12 | 22:32 | 31 |
| ჩარლტონი | 29 | 6 | 10 | 13 | 33:40 | 28 |
| ბლექბერნი | 29 | 6 | 9 | 14 | 29:41 | 27 |
| საუთჰემპტონი | 29 | 7 | 5 | 17 | 27:56 | 26 |
| ნოტინგემი | 29 | 4 | 8 | 17 | 26:57 | 20 |

**მიმდინარე სეზონის ლონდონური ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 8 | 4 | 3 | 1 | 7:1 | 15 |
| უიმბლდონი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:10 | 14 |
| ჩელსი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:4 | 11 |
| ჩარლტონი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:9 | 8 |
| ვესტ ჰემი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:15 | 8 |
| ტოტენჰემი | 6 | 0 | 3 | 3 | 4:8 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ეფან ეკოკუ (უიმბლდონი) | 4 |
| მარკ ოვერმარსი (არსენალი) | 3 |
| გუსტავო პოიეტი (ჩელსი) | 3 |
| ენდი ჰანტი (ჩარლტონი) | 3 |
| იან რაიტი (ვესტ ჰემი) | 3 |

**დარჩენილი მატჩები**

XXX ტური

ჩარლტონი — ტოტენჰემი

XXXI ტური

ჩარლტონი — ჩელსი

XXXII ტური

ვესტ ჰემი — ჩარლტონი

XXXIII ტური

ტოტენჰემი — არსენალი

უიმბლდონი — ჩელსი

XXXIV ტური

არსენალი — უიმბლდონი

XXXV ტური

ტოტენჰემი — ვესტ ჰემი

XXXVII ტური

ტოტენჰემი — ჩელსი

რეკლამა
სარჩიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08




**იუგოსლაველი** ივიცა კრალი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზეც თამაშობდა, ჰოლანდიურმა „ეინდჰოვენმა“ გადაიბირა. 25 წლის მეკარე ბოლო წლებში პორტუგალიურ „პორტუში“ თამაშობდა და ამ გუნდში უამრავი ტიტულიც მოიგო, ახლა კი ნიდერლანდებში გადაბარგება მოუწევს. მეკარის სანაცვლოდ, ჰოლანდიური პრესის ცნობით, „ეინდჰოვენმა“ 3,5 მილიონი დოლარი გადაიხადა.

**შოტლანდიელი ნილ სალივანი შესაძლოა ახალ სეზონს ახალ კლუბში შეხვდეს. იგი დღესდღეობით ლონდონის „უიმბლდონის“ მეკარეა, მაგრამ მისით ძალიანაა დაინტერესებული „ლივერპული“. ინგლისის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის ხელმძღვანელობა „უიმბლდონს“ სალივანის სანაცვლოდ 4,5 მილიონ დოლარსაც სთავაზობს. ლივერპულელთა მწვრთნელს ჟერარ ულიეს კლუბის ახლანდელი გოლკიპერები დევიდ ჯეიმსი და ბრედ ფრიდელი არ აკმაყოფილებს.**

**საფრანგეთის** ნაკრების მწვრთნელი როჟე ლემერი მცველის, ვინსენ კანდელას ტრავმამ დააფიქრა — იტალიური „რომას“ უკანახაზელი ერთ-ერთ ვარჯიშზე დაშავდა და, ალბათ, რამდენიმე კვირა ველარ ითამაშებს. უკვე გადაწყვეტილია, რომ იგი უეფას თასის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრას მადრიდის „ატლეტიკოსთან“ გააცდენს, ისევე, როგორც ნაკრების ევროპის ჩემპიონის შესარჩევ შეხვედრას უკრაინასთან. მსოფლიოს ჩემპიონები უკრაინელებს 27 მარტს მასპინძლობენ. ვინსენ კანდელა საფრანგეთის პირველი გუნდის ძირითადი მოთამაშე იყო ემე ჟაკეს ნაკრებში მოღვაწეობისასაც და როჟე ლემერის დროსაც.

**ესპანეთის 27-გზის ჩემპიონმა მადრიდის „რეალმა“ განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, ლონდონის „არსენალს“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი კლარენს ზეედორფი მიჰყიდოს, თუ ინგლისელები „იუვენტუსიდან“ ედგარ დავიდსის გადაბირებას ვერ მოახერხებენ. ედგარ დავიდსის შეძენის სურვილი ლონდონელებმა რამდენიმე კვირის წინ გამოთქვეს, თუმცა მას შემდეგ არაფერი უთქვამთ. მადრიდელებს კი ზეედორფის გაშვება იმიტომ უნდათ, რომ იგი სამეფო კლუბში დისონანსს ქმნის.**

**ურუგვაის** ფეხბურთის ფედერაციამ ესპანურ ფეხბურთს ორი გრანდი — მადრიდის „რეალი“ და „ბარსელონა“ ერთი სიმბოლური შეხვედრის სათამაშოდ მიიპატიჟა. 14 მაისს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია საუკუნოვან იუბილეს ზეიმობს და ესპანური გიგანტების თამაშით სურს ამ თარიღის აღნიშვნა. თუ მადრიდული და ბარსელონური კლუბების თავკაცები ურუგვაელთა წინადადებას დათანხმდებიან, მათი მრავალწლიანი დაპირისპირებების ისტორიის მანძილზე ეს პირველი შემთხვევა იქნება, როცა ერთმანეთს საზღვარგარეთ შეხვდებიან.

**შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსს“ ერთბაშად ორი კლუბი ეკურკურებოდა გერმანელ იორგ ალბერცის თაობაზე, მაგრამ სქოთური გუნდის თავკაცებმა ორივე უარით გაისტუმრეს. ფეხბურთელის შეძენა ინგლისურ „ტოტენჰემსაც“ უნდოდა და გერმანულ დორტმუნდის „ბორუსიასაც“, მაგრამ მათ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. იორგ ალბერცი, რომელიც შოტლანდიამდე ბუნდესლიგის „ჰამბურგში“ თამაშობდა, გლაზგოს კლუბში მინიმუმ წლით დარჩება. სხვათა შორის, ინგლისელები „გლაზგო რეინჯერსს“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 8 მილიონ დოლარს სთავაზობდნ.ენ.**

**ამერიკელი** თავდამსხმელი ერიკ ვინალდა წლეულს, ალბათ, ველარ ითამაშებს. მეიჯორ სოკერ ლიგის კლუბ „სან ხოსე ქლეშის“ თავდამსხმელმა, რომელიც მექსიკურ „ლეონში“ იყო განათხოვრებული, მუხლის მყესები გაიწყვიტა. ვინალდას ოპერაციას კი გაუკეთებენ, მაგრამ გამოჯანმრთელებას დიდი დრო უნდა. 30 წლის ფეხბურთელი ამერიკის ნაკრების რეკორდსმენია — მას ქვეყნის პირველ გუნდში ჩატარებულ 101 მატჩში ყველაზე მეტი, 31 გოლი გაუტანია.

**ჰოლანდიელი თავდამსხმელის, მიხაელ მოლსის სანაცვლოდ ინგლისის პრემიერლიგის კლუბი „შეფილდ უენსდეი“ მზადაა, 3 მილიონი გირვანქა გადაუხადოს „უტრეხტს“. 27 წლის ფეხბურთელს ინგლისური კლუბის სელექციონერები აგერ უკვე ორი წელია, აკვირდებიან. მოლსმა მიმდინარე სეზონის 23 მატჩში 16 გოლი გაიტანა. მან განაცხადა, თუ „უტრეხტს“ დავტოვებ, მხოლოდ „აიაქსში“ წავალო. თავის დროზე მოლსი „აიაქსის“ ბავშვთა სკოლაში იზრდებოდა, თუმცა მაშინ ამსტერდამულმა კლუბმა მასთან კონტრაქტის გაფორმება არ ინება.**

## საბერძნეთი

23-ე ტური: პრუდეფტიკი — ოლიმპიაკოსი 0:1; პანიონისი — კავალა 1:2; ვერია — პანელეფსინიაკოსი 0:1; ოფი — აპოლონი 0:1; ეთნიკოსი (პირეოსი) — იონიკოსი 1:2; ქსანტი — ეთნიკოსი (ასტირი) 0:1; ირაკლისი — პაოკი 1:0; პანათინაიკოსი — არისი 3:1. პანილიაკოსი — აეკი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 23 | 18 | 2 | 3 | 58:15 | 56 |
| აეკი | 23 | 16 | 4 | 3 | 53:18 | 52 |
| პანათინაიკოსი | 23 | 16 | 2 | 5 | 44:26 | 50 |
| პაოკი | 23 | 13 | 4 | 6 | 29:20 | 43 |
| იონიკოსი | 23 | 11 | 6 | 6 | 44:25 | 39 |
| არისი | 23 | 12 | 3 | 8 | 32:32 | 39 |
| ქსანტი | 23 | 11 | 5 | 7 | 27:21 | 38 |
| ირაკლისი | 23 | 9 | 6 | 8 | 32:23 | 33 |
| ოფი | 23 | 10 | 2 | 11 | 32:30 | 32 |
| ეთნიკოსი (ა) | 23 | 10 | 2 | 11 | 26:35 | 32 |
| კავალა | 23 | 7 | 6 | 10 | 34:46 | 27 |
| პანილიაკოსი | 23 | 7 | 4 | 12 | 27:36 | 25 |
| პანელეფსინ. | 23 | 5 | 10 | 8 | 18:29 | 25 |
| პანიონისი | 23 | 7 | 3 | 13 | 33:36 | 24 |
| აპოლონი | 23 | 5 | 7 | 11 | 25:45 | 22 |
| პრუდეფტიკი | 23 | 5 | 6 | 12 | 18:29 | 21 |
| ვერია | 23 | 3 | 4 | 16 | 12:40 | 13 |
| ეთნიკოსი (პ) | 23 | 0 | 8 | 15 | 13:51 | 8 |

## თურქეთი

24-ე ტური: ბურსა - ანთალია 1:0; ფენერბაჰჩე — ტრაბზონი 1:0; ერზურუმი — საქარია 4:2; ისთანბული — ბეშიქთაში 0:2; ალთაი — გაზიანთეფი 0:0; ადანა — ქარაბუქი 2:0; ქოჯაელი — ანკარაგიუჯიუ 0:1; სამსუნი — დარდანელი 2:1; გენჩლერბირლიგი — გალათასარაი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 24 | 17 | 5 | 2 | 64:24 | 56 |
| ფენერბაჰჩე | 24 | 16 | 4 | 4 | 58:16 | 52 |
| ბეშიქთაში | 24 | 15 | 6 | 3 | 40:21 | 51 |
| ტრაბზონი | 24 | 13 | 5 | 6 | 33:25 | 44 |
| ქოჯაელი | 24 | 12 | 4 | 8 | 30:22 | 40 |
| გენჩლერბირ. | 24 | 9 | 8 | 7 | 37:30 | 35 |
| ანთალია | 24 | 10 | 5 | 9 | 31:30 | 35 |
| გაზიანთეფი | 24 | 9 | 8 | 8 | 32:32 | 35 |
| ისთანბული | 24 | 9 | 7 | 8 | 38:34 | 34 |
| ალთაი | 24 | 8 | 5 | 11 | 36:40 | 29 |
| ანკარაგიუჯიუ | 24 | 8 | 4 | 12 | 30:37 | 28 |
| ბურსა | 24 | 8 | 4 | 12 | 36:49 | 28 |
| სამსუნი | 24 | 8 | 4 | 12 | 27:40 | 28 |
| ადანა | 24 | 8 | 3 | 13 | 25:40 | 27 |
| ერზურუმი | 24 | 6 | 7 | 11 | 25:47 | 25 |
| საქარია | 24 | 6 | 5 | 13 | 31:40 | 23 |
| დარდანელი | 24 | 3 | 8 | 13 | 15:33 | 17 |
| ქარაბუქი | 24 | 3 | 5 | 16 | 18:46 | 14 |

# აბა, ჰე, შენ იცი!

სტივ მაკმანამანი „ლივერპულს" საბოლოოდ გამოეთხოვა — ინგლისელმა ფეხბურთელმა მადრიდის „რეალთან" გააფორმა ოფიციალური დოკუმენტები. „ენფილდ როუდი" დატოვა ბიჭმა, რომელიც ლივერპულში ძალიან უყვარდათ.

სეზონს მაკმანამანი „ლივერპულში" ჩაამთავრებს, მერე კი ესპანეთისკენ გაეშურება. მას მადრიდში ელიან, სტივ მაკმანამანს „რეალი" ელოდება. სამეფო კლუბს იმედი აქვს, რომ ინგლისელი ნახევარმცველი გუნდის ხერხემალს მოაძლიერებს. დღესდღეობით „რეალის" შუახაზი დასნეულებულია...

ინგლისელმა ფეხბურთელმა და „რეალმა" რამდენიმე ხნის წინ გააფორმეს კონტრაქტი, თუმცა რჩებოდა გარკვეული საკითხები, რომელიც იმ დროისთვის მოუგვარებელი გახლდათ. დღეს პრობლემები აღარ არსებობს — მაკმანამანმა იმ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, ყველაზე მისაღებად რომ მიაჩნდა, კლუბმა კი ის ფეხბურთელი გადაიბირა, რომლის შეძენასაც „რეალის" დაუძინებელი მეტოქე „ბარსელონა" ცდილობდა.

ლივერპულელი ახლა მადრიდელი შეიქნა.

მადრიდის ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაციიდან ვიგებთ: „სტივ მაკმანამანი „რეალში" კვირაში 100 ათას დოლარს მიიღებს. ამ გასამრჯელოს წყალობით, იგი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე ფეხბურთელი გახდება".

ეს მართლაც ასეა. მაკმანამანი „რეალში" გატარებულ ერთ კვირაში სწორედ ამდენს მიიღებს, ამან კი ახალი ჭორი წარმოშვა — მაკმანამანმა „ლივერპული" ფულის გამო მიატოვაო.

ჭორი ჯერ მხოლოდ ჭორად რჩება. სიმართლე ალბათ, არც არასდროს გახდება ცნობილი. ფაქტი კი ჯიუტია — სტივ მაკმანამანმა „ლივერპული" დატოვა და „რეალში" გადავიდა.

**ლაშა გოდუაძე**


სარბიელის არქივიდან

სტივ მაკმანამანი

# არ მინდა გერმანიაში

ხორვატმა თავდამსხმელმა დავორ შუკერმა უარით გაისტუმრა დორტმუნდის „ბორუსიას" წარმომადგენლები, რომლებიც ესპანეთს იმ იმედით ეწვივნენ, რომ ფეხბურთელის გადაბირებას შეძლებდნენ.

შუკერმა განაცხადა, „რეალის" დატოვება მსურს, მაგრამ გერმანულ გუნდში თამაში არაო. მსოფლიოს ჩემპიონატზე მან საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვა, ექვსი გოლი გაიტანა, ბრინჯაოს მედალოსანიც გახდა, მაგრამ „რეალის" შემადგენლობაში ადგილი ვერა და ვერ დაიმკვიდრა.

„ბორუსიას" გარდა ხორვატი თავდამსხმელის შეძენა ძალიან უნდა ფრანგულ „მონაკოსაც". არც ინგლისის ჩემპიონი და თასის მფლობელი ლონდონის „არსენალია" მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის მიმართ გულგრილი.

ცნობისთვის: დორტმუნდელები შუკერში 8 მილიონ დოლარს იხდიდნენ.

# ორი მასპინძელი

განა და ნიგერია — აფრიკის ქვეყნების თასის ანუ, ჩვენებურად, აფრიკის ჩემპიონატის მასპინძელთა (და არა მასპინძლის) ვინაობა ცნობილია. „შავი კონტინენტის" პირველობა გაისად, 2000 წელს გაიმართება.

კაფმა ანუ აფრიკის ფეხბურთის ასოციაციათა კონფედერაციამ, მოგეხსენებათ, თებერვალში მასპინძლობის უფლება ჩამოართვა ზიმბაბვეს. ნიგერიისა და განას დასახელება დიდი დარტყმა გახლდათ მაროკოსთვისაც, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ზიმბაბვეს შემცვლელად სწორედ მას დაასახელებდნენ.

აღსანიშნავია, რომ კაფის გადაწყვეტილება ორიგინალურია, რადგან აქამდე აფრიკის თასი ერთდროულად ორ ქვეყანაში არასდროს გამართულა. ამრიგად, გაისად, 23 იანვრიდან 13 თებერვლამდე, ისტორიაში პირველად მისი თამაშები ორ სახელმწიფოში გადაიშლება.

კაფის აღმასკომმა, რომელიც კონაკრიში გაიმართა, განა და ნიგერია იმიტომ არჩია, რომ ამ ქვეყნებში აფრიკის თასის გათამაშება აგერ, უკვე 20 წელიწადია არ გამართულა, მაროკოში კი „სულ ახლახანს", 1982 წელს იყო. გადაწყვეტილების თანახმად მოზიარენი 16-16 შეხვედრას უმასპინძლებენ, ფინალი ნიგერიის დედაქალაქში, ლაგოსში გაიმართება. ჩემპიონატის გახსნის შეხვედრა, ისევე, როგორც კაფის გენერალური ასამბლეა, განაში შედგება.

ზიმბაბვემ, რომელსაც თებერვალში ჩამოართვეს შეჯიბრების მასპინძლობის უფლება, ერთი ხნის წინ კაფს სამთავრობო დელეგაცია მიუვლინა, მაგრამ არც ამ ნაბიჯმა გაჭრა. როგორც კაფ-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ზიმბაბველმა ხელისუფლებმა მათ ახალი ვერაფერი შესთავაზეს.

შეგახსენებთ, რომ ზიმბაბვეს „დასჯის" საბაბი გახლდათ ახალ სტადიონთა მშენებლობის დაბალი ტემპი და მთავრობის მხრივ ფინანსურ გარანტიათა ვერმიცემა.

ახლა, ზიმბაბვეს ეროვნულ გუნდს თავიდან მოუწევს შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე ფიქრი, რადგან, სანამ მასპინძლად ითვლებოდა მასში ადგილი დაზღვეული ჰქონდა, ახლა კი შესარჩევი შეჯიბრების გავლა მოუწევს.

ბუნებრივია, ფინალურ ეტაპზე ზიმბაბველთა ნაცვლად ავტომატურად, ერთბაშად ორი გუნდი, განა და ნიგერია გავა რომელთა გარდა შესარჩევი შეჯიბრებიდან განთავისუფლებული გახლავთ აფრიკის ჩემპიონი ეგვიპტეც.

აფრიკის ჩემპიონატის ფორმატი ასეთი გახლავთ: თავიდან იქნება ჯგუფური შეჯიბრება. შექმნილ ოთხ ჯგუფს განა და ნიგერია თავიანთ სტადიონებზე თანაბრად გადაანაწილებენ, ისევე როგორც შემდეგ ორ საფეხურს, მეოთხედფინალებსა და ნახევარფინალებს. ფინალზე უკვე მოგახსენეთ, რომ ლაგოსში გაიმართა, მესამე ადგილისთვის მატჩი კი განას ხვდა.

კენჭისყრა, რომელიც გუნდებს ხსენებულ ჯგუფებში გაანაწილებს, სექტემბერში, ნიგერიაში მოეწყობა.

რაც შეეხება მიმდინარე შესარჩევ შეჯიბრებას, მისი პირველი და მეხუთე ჯგუფებიდან განა და ნიგერია, ბუნებრივია, გამოეთიშებიან. გუნდების აქამდე მიღწეული შედეგები გაუქმდება. ამ ორი ჯგუფის გამარჯვებულები დაუბრკოლებლად გავლენ ფინალურ ეტაპზე, მეორე ადგილებზე გასულები კი ზიმბაბვესთან ერთად შექმნიან დამატებით შესარჩევ ჯგუფს, რომლის გამარჯვებული ასევე შეუერთდება ფინალისტებს.

განა აფრიკის ჩემპიონატს 1963 და 1978 წლებში მასპინძლობდა, ნიგერია — 1980-ში. სამივე შემთხვევაში კონტინენტის ჩემპიონი მასპინძელი გახდა.

**მარქ გლესონი, როიტერი**

## საერთაშორისო ტურნირი. ამერიკის თასი

### ფინალი

**აშშ 1:2 მექსიკა**

0:1 ფრეიზერი (17 ს.კ.), 1:1 ჰეიდუკი (51), 1:2 აბუნდისი (57)
აშშ: მეოლა (ტორტონი 17), აგუსი, ფრეიზერი, პოუპი (ოლსენი 68), რეჯისი, ლუისი (მატისი 83), არმასი, კიროვსკი, ჰეიდუკი, ჯოუნსი, მაკბრაიტი
მექსიკა: პერესი, სანჩესი, პარდო, კარმონა (სეპედა 46), ბელტრანი, ლარა, გარსია ასპე, გარსია (რამირესი 60), ბლანკო (ერნანდესი 51), პალენსია (ჩავესი 57), აბუნდისი (პელაესი 77)
მსაჯი: რენე პარა (კანადა)

### მატჩი მესამე ადგილისთვის

**გვატემალა 2:1 ბოლივია**

1:0 ხორხე პერესი (18), 2:0 ვალენსია (26), 2:1 მირანდა (49)
გვატემალა: ენგლენტონი, ხ. მოლინა (კ. მოლინა 46), კასერესი, ხორხე პერესი, რაფაელი, როხასი (რუისი 78), ორტეგა, რუანა, ვალენსია (მირანდა 67), როდასი, მაჩონი
ბოლივია: ბარერო, სანდი (ფერა 46), კრისტალდო, ს. კასტილიო (რამოსი 46), ეჩევერი, კოიმბრა, ლიენდო (რეა 86), პენა (რიკარდო როხასი 46), სუარესი, ი. კასტილიო (ვირონა 46)
მსაჯი: ბრაიან ჰოლი (აშშ)


REUTERS-ის ფოტოებიდან

მექსიკის ნაკრებმა „ამერიკის თასი" ზედიზედ მესამედ მოიგო

# ჰარმონიზებული კალენდარი 2005 წლიდან

**მსოფლიოს** ყველა ქვეყანაში საფეხბურთო კალენდარი ერთნაირი იქნება: სეზონი თებერვალში დაიწყება და ნოემბერში დასრულდება — ასეთია ფიფას სურვილი.

ფიფას მოხელეები ფიქრობენ, რომ იდეას ხორცს 2005 წლიდან შეასხამენ. ახალი კალენდარი ევროპასაც მოიცავს, სადაც სკანდინავიასა და ყოფილი საბჭოეთის ზოგ ქვეყნებში ეროვნული პირველობები ისედაც გაზაფხულზე იწყება და შემოდგომაზე მთავრდება, რაც კლიმატური პირობებითაა გაპირობებული.

ახალი ეპოქა შეეხება ყველას, გრანდებს: იტალიას, ესპანეთს, ინგლისს, გერმანიას და მცირე ქვეყნებსაც. ეს, ცხადია, გამოიწვევს მრავალი ტრადიციული შეჯიბრების გადასხვაფერებას, დაირღვევა, ვთქვათ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის იერი, ევროპის ჩემპიონთა თასის სახე და სხვა.

ფიფას, გარდა ამისა, სურს ყველა ქვეყანას თავის ლიგაში 16 გუნდი ჰყავდეს, უფრო სწორად, 2005 წლისთვის დაიტოვონ ამდენი, რათა ჰარმონიზებულ კალენდარში (ბლატერის ტერმინია) ყველაფერმა საათივით იმუშაოს.

ჰარმონიზებული კალენდრის ეპოქაში დეკემბერსა და იანვარში დასვენება გამოცხადდება. ეს იქნება, აგრეთვე, შემდგომი სეზონისთვის მომზადებისა და ამხანაგური შეხვედრების პერიოდი.

„ასეთი სისტემა 44 კვირაში 88 სათამაშო დღეს მოგვცემს. ფეხბურთელები უკეთ მოემზადებიან იმავე მსოფლიო ჩემპიონატებისთვისაც, რადგან დასვენება სულ ოთხი თვის მოლეული ექნებათ და სულაც არ იქნებიან გადაღლილი" — განაცხადა ბლატერმა.

ფიფას პრეზიდენტმა დასძინა, რომ ის კონფედერაციები, რომლებიც ტრადიციულად დეკემბერ-იანვარში ატარებენ თავიანთ შეჯიბრებებს, იძულებულნი გახდებიან, რაღაც შეცვალონ.

„პატარა მსხვერპლის გაღება ყველას მოუწევს" — ბრძანა მან.

ფიფას პრესმდივანმა, რომელსაც ჰკითხეს, თუ როგორ უნდა შეამცირონ ოთხ წელიწადში ინგლისმა და ესპანეთმა ლიგებში გუნდების რაოდენობა 20-დან 18-მდე, უპასუხა:

„ძნელი იქნება, მაგრამ გზა უნდა მონახონ".

## პროექტის კომენტარი

ფიფას პრეზიდენტის, იოზეფ ბლატერის ახალი პროექტი, რომელსაც პირობითად ჰარმონიზებული კალენდარი ეწოდება, ჯერ უთუოდ მოითხოვს დახვეწას, მაგრამ ლოგიკურია და დროსთან სრულიად შეხამებული. მართლაც, თანამედროვე ფეხბურთის გადატვირთული ცხოვრება შესაცვლელია, აუცილებელია მისი ყველა ნიუანსის შეთანხმება და ერთ, დიდ სტრუქტურაში გაერთიანება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი არაა გამორიცხული გაუგებრობები, რამაც თავის მხრივ შეიძლება სახეობის განვითარებასაც შეუშალოს ხელი. ვინაიდან პრეზიდენტის პროექტის ისედაც ნათელ, დადებით თვისებებზე გაჩერება აღარ ღირს, ჩვენი მხრივ შემოგთავაზებთ რამდენიმე მოსაზრებას, თუ შეიძლება ითქვას, დამატებით შტრიხს, რომელთა გათვალისწინება საერთო საქმეს, ალბათ, წაადგება.

ა) ეროვნული ჩემპიონატების თებერვალში დაწყებით, მაგალითად, ნორვეგიას სულ მცირე თვენახევრის განმავლობაში თოვლში თამაში მოუწევს, რადგან ამ ქვეყანაში ავდარი შედარებით დიდხანს იცის;

ბ) ჩემპიონატის ზაფხულზე ჩატარება ერთობ მოუხერხებელი იქნება სამხრეთული ქვეყნებისთვის, სადაც ტემპერატურა 30 გრადუსზე მაღლა ადის.

დასკვნა: შესაქმნელია ფიფას საგანგებო კომისია, რომელიც კლიმატის ჰარმონიზაციის გეგმას შეიმუშავებს;

გ) ევროპის დიდი ქალაქებიდან ხალხი ზაფხულობით სოფლებში და აგარაკებზე მიდის, რაც სტადიონებზე დასწრებას შეამცირებს.

დასკვნა: შესაქმნელია ფიფას საგანგებო კომისია საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში;

დ) ახალი სისტემა 44 კვირის განმავლობაში 88 სათამაშო დღეს გვაძლევს, მაგრამ საათო სარტყელთა არსებობის გამო დღე ერთობ პირობითი მცნებაა, მით უფრო, თუ მთელი პლანეტის ჰარმონიზებულ კალენდარზე გვინდა საუბარი. არადა, ჰარმონიული კალენდრის პირობებში თამაშები ყველა კონტინენტის ყველა ქვეყანაში ერთდროულად უნდა ჩატარდეს, რათა ფეხბურთელები თანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ და საერთაშორისო შეჯიბრების უახლოეს შეხვედრებს თანაბრად დასვენებულნი შეხვდნენ.

დასკვნა: მთელ დედამიწაზე თამაშები უნდა დაინიშნოს ერთსა და იმავე საათზე და ამ დროს ყველგან ერთი და იგივე რიცხვი უნდა იყოს. თუ ასეთი საათი არ არსებობს, შესაქმნელია ფიფას საგანგებო კომისია;

ე) ყველა ქვეყნის ლიგაში 16 გუნდი უნდა იყოს, მაგრამ ზოგან ძლიერი გუნდი მეტია, ზოგან — ნაკლები.

დასკვნა: 2005 წლამდე იმ ქვეყნებიდან, სადაც ძლიერი გუნდი მეტია, ჭარბი რაოდენობა იმ ქვეყნებში უნდა გადანაწილდეს, სადაც მათი ნაკლებობაა.

გარდა ამისა, დასამუშავებელია გულშემატკივართა შინიდან სტადიონზე მისვლის გრაფიკი.

**მიხეილ სურგულაძე**

# უცენზურო სიტყვები და ახალი მწვრთნელი

### ხილიმანია პარიზში

რით ჰგავდნენ ამ სეზონამდე „პარი სენ ჟერმენი“ და მადრიდის „ატლეტიკო“ - ერთმანეთს? თითქმის არაფრით, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ორივე დედაქალაქური მდიდარი კლუბია. მაგრამ აი, დაიწყო წლევანდელი სეზონი და პსჟ-ს მფლობელებს თითქოს „ატლეტიკოს“ უცნაური პრეზიდენტის, ხესუს ხილი ხილის ჩვევა გადაედოთ, რომელსაც ძალიან უყვარს თავისი გუნდისთვის თავკაცთა შეცვლა. პსჟ-მ საფრანგეთის ყველა რეკორდი მოხსნა. წელიწადზე ნაკლებ დროში სამი პრეზიდენტი (დენიზო, ბიეტო, პერპერი), ხუთი მწვრთნელი (რიკარდო-ბატსი, ჟირესი, ჟორჟე-ტროში) და სამი სპორტული დირექტორი (მუტიე, ლე რუა, ლამარში) „შეეცადა“ პარიზელთა საყვარელი გუნდისთვის ეხელმძღვანელა.

და აი, შაბათ საღამოს ფილიპ ბერჟეროს რიგმა მოაღწია. არტურ ჟორჟე — დენის ტროშის დუეტი უმუშევრად დატოვეს და მათი ადგილი ემე ჟაკეს ყოფილ დამხმარეს დაუთმეს. ბერჟერს რვა მატჩი დარჩა, პსჟ II დივიზიონში დაქვეითებისგან რომ გადაარჩინოს.

„წარმატების შემთხვევაში მას მშვენიერი შანსი ექნება მომავალი სეზონისთვის ადგილის შესანარჩუნებლად“ — თქვა პსჟ-ს პრეზიდენტმა პერპერმა. დაპირებები დაპირებებად, მაგრამ ბერჟერო ამ „ავანტიურაში“ ნაღდად არაფერს დაკარგავს. ამ ცვლილებით პრეზიდენტმა გარდაქმნები დაიწყო. მისი მთავარი დამხმარე კლუბის სპორტული დირექტორი ჟან-ლუკ ლამარშია, რომელმაც ჟორჟეს გადაყენებამდე განაცხადა, რომ მომავლის პსჟ-ში პორტუგალიელისთვის ადგილს ვერ ხედავდა. ეს განცხადება აუცილებელი იყო, რადგან ახალგაზრდა ფეხბურთელების ნაწილს (დიუკრო, ლერუა, ლაშუერი) ჟორჟესთან მუშაობას გუნდის დატოვება ერჩივნა.

### დაკარგული სამოთხე

შაბათს თანამდებობიდან ოფიციალურად მოხსნილი ჟორჟე თითქოს ღრუბლებიდან მიწაზე დაეშვა. წინადღით თავის თანამემამულე ჟურნალისტებს მომავალი სეზონისთვის პსჟ-ს გადასხვაფერების მისეული გეგმა გაანდო. მის კონტრაქტს 2001 წელს გასდიოდა ვადა, თუმცა ჯამში ჟორჟემ მხოლოდ ხუთ თვეს და ხუთ დღეს გაძლო — 1998 წლის 8 ოქტომბრიდან 1999 წლის 13 მარტამდე. ეს პერიოდი სამოთხიდან ჯოჯოხეთში „ჩასვლას“ ჰგავს. რატომ?

1. ის მოვიდა, როგორც მხსნელი. 9 ოქტომბერს პირველი პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც პსჟ-ს მფლობელი ტელეარხის „CANAL+“-ის თავკაცი პიერ ლესკიურიც დაესწრო. იქვე იყვნენ გუნდის „ისტორიული პატრონები“ ბერნარ ბროშანი, შარლ ტალარი და ალენ



არტურ ჟორჟე

კეიზაკი. სწორედ ეს სამეული წავიდა ჰოლანდიის ქალაქ არნჰემში ჟორჟეს ჩამოსაყვანად. პორტუგალიელსაც წამით არ უყოყმანია, ისე გაცვალა ჰოლანდიური კლუბი ფრანგულზე. პსჟ-ში ის უკვე მუშაობდა 1991-94 წლებში და მის „სიყვარულად“ დარჩა. ერთადერთი პრობლემა: როგორ შეეწყობა ჟორჟე პრეზიდენტ შარლ ბიეტრის? 1997 წლის 21 იანვარს, პორტუგალია — საფრანგეთის ამხანაგურ მატჩამდე ერთი დღით ადრე, მან ფრანგ ჟურნალისტებს გული გადაუშალა: „პარიზი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, ერთი ადამიანის გადამკიდემ დავტოვე. ბიეტრის ვერასოდეს ვაპატიებ!“ მაშინ შარლ ბიეტრი „CANAL+“-ის სპორტული გადაცემების მთავარი რედაქტორი იყო და საჭირო იყო თუ არა, ხშირად აკრიტიკებდა პსჟ-ს მწვრთნელს. ამჯერად ვითარება შეცვლილიყო. მოინდომებდა კი პორტუგალიელი სამაგიეროს გადახდას, თავიდან ძნელი სათქმელი იყო, ყოველშემთხვევაში, იგი საკუთარ ძალებში დარწმუნებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა: „ბევრი რამეა გასაკეთებელი, ვფიქრობ, ამ საქმეს თავს იოლად მოვაბამ“.

2. პირველი შეცდომები. ჟორჟე ცნობილი იყო თავისი სიმკაცრით და შეუვალობით. ახლა კი იგი უფრო დამყოლი გამხდარა, ბევრს საუბრობს ფეხბურთელებთან, მაგრამ ფსიქოლოგიურად შლის მათ, როცა აცხადებს: „კარგი გუნდი არ მყავს“(?). მას სურს შემადგენლობის გაძლიერება, არ ათამაშებს ზოგიერთ ფეხბურთელს (ლასპალი, ლოკო). თავდაპირველი შედეგები მის სასარგებლოდ მეტყველებს — ფრე ლიონსა და ნანტში და გამარჯვება „პარკ დე პრენსზე“ „ოსერთან“, რასაც ქომაგთა „გმადლობთ, არტურ“ მოჰყვა. თუმცა კულისებში სიტუაცია დაძაბულია — ბიეტრისთან მისი ურთიერთობა მწვავდება, უცენზურო სიტყვების ნაკადი ზურგს უკან... ეს მაშინვე მინდორზეც აისახა: მარცხი ბასტიაში, ქულების გაყოფა „ტულუზთან“ და „სტრასბურთან“ შინ და კვლავ წაგება ლორიანში 0:2. ყველაზე სასაცილო (თუ სატირალი) კი ის იყო, რომ „ლორიანის“ ორივე გოლი ჟორჟეს მიერ ათვალწუნებულმა პატრის ლოკომ გაიტანა! ასე მუშაობა აღარ შემიძლიაო და 21 დეკემბერს შარლ ბიეტრიმ გაცლა ამჯობინა, იქნებ გუნდს რამე ეშველოსო.

3. გავძლიერდიო, იფიქრა ჟორჟემ, მაგრამ არაო — პერპერმა და სპორტულ დირექტორად „ლანსიდან“ ჟან-ლუკ ლამარში გადაიყვანა. „ყველამ უნდა იცოდეს თავისი ადგილი. ჟორჟეს მარტო მინდორი ეხება“ — თქვა ლანსელმა და პორტუგალიელს ბრაზილიელი ვალდოსა და კრუზის ნაცვლად ფრანგები, როდრიგესი, გრაველენი და მადარი შეუძინა. ვარჯიშებზე მის გადაწყვეტილებებს ფეხბურთელები აპროტესტებენ. საფრანგეთის და ლიგის თასიდან პსჟ გამოვარდა. ლანსში ჩემპიონატის წაგებულ მატჩში გადამწყვეტი გოლი ჟორჟეს გაგდებულ ლასპალს გააქვს. მარკო სიმონე იტალიაში წასვლის ნებართვას ლამარშს სთხოვს. ჩემპიონატის 18 მატჩში მხოლოდ 19 ქულა (4 მ, 7 ფ, 7 წ) და უძლიერესთა რიგების დატოვების საშიშროება. მოადგილე ტროშთან დაძაბული ურთიერთობა. ჟორჟეს ყურადღებას აღარავინ აქცევს, ყველა გაურბის, თითქოს ის კეთროვანი იყოს. მისი გუნდიდან „გაპანღურება“ წუთი-წუთზე იყო მოსალოდნელი, იგი კი ვერაფერს ხვდებოდა...

### ჟაკეს მეგობარი

ფილიპ ბერჟერო 45 წლის ბასკია, რომელიც ახალგაზრდობისას საფრანგეთის რამდენიმე გუნდის, მათ შორის „ბორდოს“, მეკარე იყო. მას არასოდეს უხელმძღვანელია პროფესიული კლუბისათვის, მაგრამ ამ საქმეში გარკვეული გამოცდილება ნამდვილად აქვს, რადგან 4 წლის განმავლობაში ემე ჟაკეს თანაშემწე იყო საფრანგეთის ნაკრებში, მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლის მოპოვების მერე კი ცოტა ხნით ალენ ჟირესს ეხმარებოდა პსჟ-ს მეკარეთა ვარჯიშში.

რა ფუნქციები ჰქონდა ბერჟეროს „ლურჯების“ შემადგენლობაში? იგი ეგრეთ წოდებული მზვერავი იყო. შაბათს ინგლისში, კვირას იტალიაში, ორშაბათს ესპანეთში. ბასკი ფრანგი ლეგიონერების თამაშებს ესწრებოდა და შთაბეჭდილებებს მათი სპორტული ფორმის შესახებ ჟაკეს უზიარებდა. ერთი სიტყვით, მან საკმაოდ დიდი როლი ითამაშა საფრანგეთის ნაკრების საბოლოო შემადგენლობის ჩამოყალიბებაში.

„ფეხბურთს კარგად ვიცნობ. პსჟ-ში შეიძლება გამიმართლოს და შეიძლება არა. თუმცა გარკვეული იდეებით მოვედი და ვეცდები, კლუბი I დივიზიონიდან გავარდნას გადავარჩინო“ — დასახული მიზნის მიღწევა იოლი საქმე არაა, მაგრამ ბერჟეროს ეტყობა, რომ თუ გუნდი გვერდში ამოუდგა, დანაპირების ასრულება არ გაუჭირდება.

**გაიოზ თალაკვაძე**

## ავსტრია

22-ე ტური. ზალცბურგი — შტურმი 3:1, რაპიდი — ლუსტენაუ 2:1, რიდი — ლინცერი 1:2, შტაირი — აუსტრია 1:3, გრაცერი — ტიროლი 0:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 22 | 15 | 2 | 5 | 43:17 | 47 |
| რაპიდი | 22 | 14 | 5 | 3 | 35:15 | 47 |
| გრაცერი | 22 | 12 | 5 | 5 | 26:15 | 41 |
| ლინცერი | 22 | 12 | 4 | 6 | 36:25 | 40 |
| აუსტრია | 22 | 9 | 5 | 8 | 27:27 | 32 |
| ზალცბურგი | 22 | 8 | 6 | 8 | 31:30 | 30 |
| ტიროლი | 22 | 7 | 6 | 9 | 24:30 | 27 |
| რიდი | 22 | 5 | 5 | 12 | 19:27 | 20 |
| ლუსტენაუ | 22 | 2 | 8 | 12 | 16:40 | 14 |
| შტაირი | 22 | 1 | 4 | 17 | 17:48 | 4 |

## სლოვენია

მე-19 ტური: მარიბორი — ოლიმპია 3:1; აიდოვშინა — ცელიე 0:0; დომზალე — ბელტინჩი 3:0; ტრიგლავი — ველენიე 0:1; კოროტანი — კოპერი 3:0; მურა — ნოვა გორიცა 0:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 19 | 11 | 6 | 2 | 45:22 | 39 |
| ნოვა გორიცა | 19 | 11 | 3 | 5 | 37:24 | 36 |
| მურა | 19 | 9 | 5 | 5 | 36:17 | 32 |
| ველენიე | 19 | 8 | 5 | 6 | 21:15 | 29 |
| კოროტანი | 18 | 8 | 4 | 6 | 28:25 | 28 |
| ოლიმპია | 19 | 8 | 4 | 7 | 30:28 | 28 |
| აიდოვშინა | 19 | 7 | 5 | 7 | 24:21 | 26 |
| ბელტინჩი | 19 | 6 | 3 | 10 | 23:36 | 21 |
| დომზალე | 19 | 5 | 5 | 9 | 20:35 | 20 |
| ცელიე | 18 | 4 | 7 | 7 | 14:22 | 19 |
| კოპერი | 19 | 4 | 5 | 10 | 18:36 | 17 |
| ტრიგლავი | 19 | 3 | 6 | 10 | 15:30 | 15 |

## უკრაინა

მე-17 ტური: ზირკა — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 1:0; ნივა — მეტალურგი (დონეცკი) 3:2; მეტალისტი — ტავრია 1:0; კარპატი — მიკოლაიევი 5:1; ვორსკლა — ცსკა 1:0; დინამო — მეტალურგი (მარიუპოლი) 2:0; დნეპრი — პრიკარპატიე 0:0; შახტიორი — კრივბასი 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 12 | 3 | 1 | 47:12 | 39 |
| შახტიორი | 17 | 12 | 1 | 4 | 50:16 | 37 |
| კარპატი | 17 | 9 | 5 | 3 | 31:18 | 32 |
| კრივბასი | 17 | 8 | 7 | 2 | 20:9 | 31 |
| მეტალისტი | 17 | 8 | 1 | 8 | 18:21 | 25 |
| მეტალურგი (მ) | 17 | 7 | 4 | 6 | 22:17 | 25 |
| მეტალურგი (დ) | 17 | 6 | 4 | 7 | 20:27 | 22 |
| ვორსკლა | 17 | 6 | 4 | 7 | 18:22 | 22 |
| ცსკა | 16 | 5 | 7 | 4 | 19:18 | 22 |
| მეტალურგი (ზ) | 17 | 6 | 3 | 8 | 24:31 | 21 |
| ტავრია | 17 | 5 | 4 | 8 | 17:21 | 19 |
| ზირკა | 17 | 5 | 4 | 8 | 14:20 | 19 |
| ნივა | 17 | 5 | 4 | 8 | 14:22 | 19 |
| დნეპრი | 17 | 5 | 2 | 10 | 14:29 | 17 |
| პრიკარპატიე | 17 | 3 | 5 | 9 | 14:33 | 14 |
| მიკოლაიევი | 17 | 2 | 4 | 11 | 11:34 | 10 |

## პოლონეთი

მე-18 ტური: სტომილი — ბელხატოვი 0:2; ზაგლებიე — ვისლა 0:3; ვიძევი — ამიცა 3:0; რაძიონკოვი — კატოვიცე 1:1; ლეხი — ლეგია 0:0; პოლონია — რუხი 3:0; ოდრა — ლკს 2:1; პოგონი — გურნიკი 0:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 18 | 15 | 1 | 2 | 42:14 | 46 |
| ლეხი | 18 | 12 | 1 | 5 | 37:17 | 37 |
| ვიძევი | 18 | 11 | 1 | 6 | 33:21 | 34 |
| ლეგია | 18 | 9 | 6 | 3 | 22:14 | 33 |
| გურნიკი | 18 | 8 | 6 | 4 | 24:17 | 30 |
| პოლონია | 18 | 8 | 5 | 5 | 30:22 | 29 |
| ამიცა | 18 | 7 | 2 | 9 | 25:29 | 23 |
| ბელხატოვი | 18 | 7 | 2 | 9 | 19:28 | 23 |
| რაძიონკოვი | 18 | 6 | 5 | 7 | 25:20 | 23 |
| ზაგლებიე | 18 | 5 | 5 | 8 | 26:31 | 20 |
| პოგონი | 18 | 5 | 4 | 9 | 22:33 | 19 |
| რუხი | 18 | 5 | 4 | 9 | 14:29 | 19 |
| ლკს | 18 | 4 | 6 | 8 | 18:27 | 18 |
| სტომილი | 18 | 5 | 2 | 11 | 16:26 | 17 |
| კატოვიცე | 18 | 5 | 2 | 11 | 17:32 | 17 |
| ოდრა | 18 | 3 | 6 | 9 | 19:29 | 15 |

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალი.** საპასუხო მატჩები

17 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი — იუვენტუსი | (3,1-1,25) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| დინამო — რეალი | (1,3-2,8) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ინტერი — მანჩესტერი | (2,5-1,35) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კაიზერსლაუტერნი — ბაიერნი | (5,0-1,1) | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**თასების თასის მეოთხედფინალი.** საპასუხო მატჩები

18 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვალერენგა — ჩელსი | (15,0-1,01) | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ლაციო — პანიონიოსი | (—-50-0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| მალიორკა — ვარტექსი | (1,1-5,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| მაკაბი — ლოკომოტივი | (5,0-1,1) | 2,1 | 2,9 | 3,2 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 მარტი | | | |
| ბრედა — ვალვაიკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| სიტარდი — უტრეხტი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| კამბური — ფეიენოორდი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 18 მარტი | | | |
| როდა — ტილბურგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**ჰოკეი. NHL**

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 მარტი | | | |
| ტორონტო — ბოსტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ვაშინგტონი — დალასი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ტამპა ბეი — პიტსბურგი | 4,4 | 4,4 | 1,25 |
| დეტროიტი — ფინიქსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ჩიკაგო — კალგარი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ედმონტონი — ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ანაჰაიმი — ოტავა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| სან ხოსე — ფლორიდა | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 18 მარტი | | | |
| მონრეალი — ნეშვილი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| სტ. ლუისი — ფინიქსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| კოლორადო — კაროლინა | 1,35 | 4,4 | 3,6 |
| ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

**კალათბურთი. NBA**

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 მარტი | | | |
| ბოსტონი — კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| ფილადელფია — ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| ნიუ ჯერსი — დალასი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| ორლანდო — ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| შარლოტი — ფინიქსი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| ატლანტა — მაიამი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| დეტროიტი — ტორონტო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| დენვერი — ჰიუსტონი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| გოლდენ სტეიტი — სან ანტონიო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 18 მარტი | | | |
| ვაშინგტონი — იუტა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| ნიუ იორკი — ორლანდო | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| კლივლენდი — ლეიკერსი | 2,0 | 12,0 | 1,35 |
| ჩიკაგო — ნიუ ჯერსი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| მილუოკი — ბოსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| ვანკუვერი — მინესოტა | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| საკრამენტო — პორტლენდი | 2,3 | 12,0 | 1,4 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



თასების მფლობელთა თასი

II გათამაშება 1961-62 წლები

ატლეტიკო

მადრიდი, ესპანეთი

Cup Winners' Cup

სოლომონ ქულიაშვილი

სრული ისტორია

# ფინალი, რომელიც ოთხ თვეს გაგრძელდა

## პეპე ვილიალონგას გუნდის ტრიუმფი

1961-62 წლებიდან თასების თასის გათამაშებას უკვე უეფა მართავდა და შეჯიბრსაც ოფიციალური სტატუსი მიენიჭა. ტურნირზე უეფამ ასეთი კანონები დააწესა: გამარჯვებულ გუნდს გარდამავალ თასთან ერთად ოქროს მედლებს გადასცემდნენ. ფინალში დამარცხებულის ხვედრი ვერცხლის მედლები გახლდათ. თასის ასლი მოგებულს სამუდამოდ გადაეცემოდა, ხოლო ორიგინალი წლის განმავლობაში უნდა დაბრუნებოდა უეფას.

თუ თექვსმეტზე მეტი მონაწილე მოგროვდებოდა, მაშინ საკვალიფიკაციო წრე ინიშნებოდა. თასის მფლობელი მომდევნო გათამაშებაში ავტომატურად მონაწილეობდა და წინასწარი წრისაგან თავისუფალი იყო. საკვალიფიკაციო რაუნდი 15 აგვისტოსა და 15 ოქტომბერს შორის იმართებოდა, მერვედფინალი — 16 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე, მეოთხედფინალები 16 დეკემბრიდან 20 მარტამდე, ნახევარფინალები — 21 მარტიდან 6 მაისამდე, ფინალი კი — მაისში ან ივნისში.

ეს თარიღები იმისათვის დაგვჭირდა, რომ ნათლად გამოჩენილიყო მაშინდელი და დღევანდელი ევროპის საფეხბურთო ცხოვრების სხვაობა. რაკი ვადები მკაცრად არ იყო განსაზღვრული, ზოგჯერ უცნაურობებიც ხდებოდა. ასე მაგალითად, 1962-ში ფინალური მატჩი ფრედ დამთავრდა. გადათამაშება კი, არც მეტი, არც ნაკლები, ოთხი თვის შემდეგ მოხერხდა. თამაში 5 სექტემბერს გაიმართა. იმავე დღეს ჩატარდა მომდევნო ტურნირის კვალიფიკაციის ოთხი შეხვედრა, აქედან ორის შედეგი ფინალის დაწყებამდე იყო ცნობილი...

სხვა საკითხია ქვეყნებისათვის პრიორიტეტების მინიჭების სისტემა. მაშინ არ არსებობდა არანაირი უეფას ოფიციალური კოეფიციენტთა ცხრილი თუ რეიტინგი. ამიტომ განაწილებაც თავისებური იყო. ასე მაგალითად, ალბათ, საინტერესოა, რატომ იწყებდნენ პირველივე წრეში თამაშს, ვთქვათ, ინგლისის, ესპანეთისა და პორტუგალიის წარმომადგენლები და რატომ ტოვებდნენ ამ რაუნდს იმავე დანიის, საბერძნეთისა და ლუქსემბურგის გუნდები. ლოგიკა ძნელი საპოვნია, მაგრამ ასე იყო.

მეორე გათამაშებიდან საფუძველი ჩაეყარა თასთა თასის დაუწერელ კანონს, რომლის მიხედვითაც, ზედიზედ ორჯერ ეს პრიზი არავის მოუგია (მაშინ, როცა ჩემპიონთა და უეფას თასებზე მსგავსი ხშირად მომხდარა). პირველი გამარჯვებული „ფიორენტინა" კვლავ ფინალში გავიდა, მაგრამ ესპანურ „ატლეტიკოსთან" დამარცხდა. ასეთი შემთხვევა თასის ისტორიაში კიდევ რვაჯერ განმეორდა და თუ წლეულს „ჩელსიმ" არ გაიმარჯვა, თასების თასი ამ გასაკვირი თავისებურების ტურნირად შემორჩება მეხსიერებას.

1961-62 წლების გათამაშების განხილვისას მიმომხილველები ხშირად ახსენებენ საკვალიფიკაციო წრის შეხვედრებს შვეიცარიის „შო დე ფონსა" და პორტუგალიის „ლეიშოეშს" შორის. ასეთი კონტრასტული ორი რაუნდი ევროთასების ისტორიაში იშვიათად ყოფილა. შინ შვეიცარიელებმა მოწინააღმდეგეს ყველაფერში აჯობეს და 6:2 მოიგეს, მაგრამ საპასუხო მატჩში ოსვალდო სილვას (2), მანუელ ოლივეირასა (2) და მარიო ვენტურას გოლებით „ლეიშოეშმა" 5:0 გაიმარჯვა და მერვედფინალში გავიდა.

ყველაზე დაძაბული კი „ფიორენტინასა" და „უიპეშტ დოჟას" ნახევარფინალი გამოდგა. იტალიელებმა შვედი ჰამრინის შესანიშნავი თამაშის წყალობით მოიგეს. არადა, უნგრელებს მაშინ ჩინებული გუნდი ჰყავდათ. იანოშ გიოროჩი, კალმან შოვარი, ერნე შოიმიში და 18 წლის ნიჭიერი შემტევი ფერენც ბენე, ეს ფეხბურთელები გუნდში საუკეთესონი იყვნენ. ამ გათამაშებაში მათ ყველაზე მეტი - 24 ბურთი გაიტანეს, ხოლო გიოროჩი 7 გოლით ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელი გახდა.

ორივე ფინალისტი გადამწყვეტ შეხვედრამდე ისე მივიდა, გადათამაშება არ დასჭირვებიათ. აი, ფინალი კი დამღლელი და ოთხთვიანი გამოდგა. 1962 წლის 10 მაისს გლაზგოს „ჰემპდენ პარკის" სტადიონი სანახევროდ ცარიელი იყო, თამაში — დუნე და უინტერესო.

სარბიელის არქივიდან



თასების თასის მოგების შემდეგ პეპე ვილიალონგა (მარცხნივ) „ატლეტიკოს" ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩეულ ადამიანად იქცა

პირველ ნახევარში მოწინააღმდეგეებმა თითო გოლი გაცვალეს და სეირიც ამით დამთავრდა. 20 დღეში ჩილეში მსოფლიოს ჩემპიონატი იწყებოდა და ამბობენ, ნაკრების მწვრთნელებმა ფეხბურთელები გააფრთხილეს, მალე საჩემპიონატო შეკრებებს ვიწყებთ და ფეხებს გაუფრთხილდითო. რამდენად მართალია ეს ამბავი, ძნელი სათქმელია. ის კი ფაქტია, რომ ჩილეში ორივე ნაკრები ჩაფლავდა.

ესპანელთა თავკაცმა ელინიო ერერამ თავისი ნაკრები „რეალისა" და „ბარსელონას" ბაზაზე ააწყო, „ატლეტიკოდან" კი სამნი - ენრიკე კოლარი, ხოაკინ პეირო და ფელისიანო რივილია მიიწვია. ერერას დაცვითმა ვარიანტმა არ გაამართლა. ესპანელებმა ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს და სამშობლოში ნაადრევად გაემგზავრნენ.

ენრიკო ალბერტოზი, სერჯიო კასტელეტი და ენცო რობოტი — „ფიორენტინას" ეს სამი მოთამაშე იახლეს იტალიელებმა ჩილეში და ისინიც ჯგუფში ჩარჩნენ. ქომაგებს კი მასპინძლებთან ნათამაშები სკანდალური მატჩის მეტი მოსაგონარი არაფერი დაუტოვეს.

მსოფლიოს ჩემპიონატის ბრალი იყო, თუ რაღაც სხვის, ფაქტია, რომ გაზაფხულზე დასამთავრებელი თასთა თასის ტურნირი შემოდგომამდე ვერ ჩამთავრდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოილაპარაკეს და ფინალის გადათამაშება 5 სექტემბერს დანიშნეს შტუტგარტში.

ამ დღეს ესპანელები უკეთეს მდგომარეობაში შეხვდნენ. „ატლეტიკოს" მწვრთნელი ხოსე ვილიალონგა (მეტსახელად პეპე) არც მალავდა, რომ თავისი გუნდის სათამაშო ფორმით კმაყოფილი იყო. ფლორენციელებს ჰამრინისა და იტალიის იმწლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლის მილანის იმედი ჰქონდათ.

შეხვედრამ პროგნოზები გაამართლა. „ატლეტიკომ" მოწინააღმდეგეს შანსი არ დაუტოვა. მადრიდელებმა მოწინააღმდეგეს აჯობეს სისწრაფეშიც, ტექნიკაშიც და გუნდურ თამაშშიც. იტალიელები იძულებულნი იყვნენ, მხოლოდ დაცვაზე ეფიქრათ. ჰამრინამდე და მილანამდე ბურთი ვერ აღწევდა. ფლორენციელებს განსაკუთრებით „ატლეტიკოს" ფლანგური იერიშების შეჩერება უჭირდათ. უკვე მე-8 წუთზე დაუდეგარმა მე-7 ნომერმა ჯონსმა გახსნა ანგარიში. 19 წუთში ხორხე მენდოსას ლამაზი თავური მეკარე ალბერტოზიმ ვერ დაიჭირა. მეორე ნახევარში „ფიორენტინა" გამოცოცხლდა და დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში მადრიდელების საჯარიმოს არ მოსცილებია. მაგრამ ამის იქით საქმე აღარ წასულა. 59-ზე პეირომ მესამეც შეაგდო და ბოლო ნახევარი საათი ფორმალობად აქცია.

სარბიელის არქივიდან



მადრიდის ატლეტიკო ფიორენტინასთან მეორე ფინალის წინ. დგანან: მადინაბეიტია, გრიფა, რამირო, ხლარია, კალიეხა და რივილია.
სხედან: ჯონსი, ადელარდო, ხორხე მენდოსა, პეირო და კოლარი.

მაშინდელი მიმომხილველები განსაკუთრებით „ატლეტიკოს" წინა ხაზის სიძლიერეს აღნიშნავდნენ. ხოაკინ პეირომ და ხორხე მენდოსამ საერთო ჯამში 6-6 ბურთი გაიტანეს და გათამაშების საუკეთესო შემტევს, გიოროჩს, მხოლოდ თითო გოლით ჩამორჩნენ. ხორხე მენდოსამ შემდეგ კიდევ ორჯერ ითამაშა თასთა თასის ფინალში, მაგრამ ორჯერვე დამარცხდა. 1963 წელს „ტოტენჰემთან", 1969-ში უკვე „ბარსელონას" შემადგენლობაში ბრატისლავის „სლოვანთან". თასების თასის გათამაშებებში ხორხე მენდოსამ 16 ბურთი გაიტანა, რაც ტურნირის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

1962 წლის შემოდგომაზე კი „ატლეტიკოს" ქომაგები იმითაც კმაყოფილნი იყვნენ, რომ მათმა გუნდმა, ბოლოს და ბოლოს, ევროთასი მოიგო და ცოტათი მაინც გაანათა ის ჩრდილი, რომელშიც ისინი მეზობელმა და მტერმა მადრიდის „რეალმა" მოაქცია.

საერთოდ, ამ პერიოდისათვის ესპანური საკლუბო ფეხბურთი აშკარა ევროლიდერი გახლდათ. თავად განსაჯეთ, 1962 წლისათვის, როცა ევროთასების ისტორია ოდენ შვიდ წელიწადს ითვლიდა, ესპანელებს ცხრა თასი ჰქონდათ მოგებული. მაშინ, როცა, იტალიელებსა და პორტუგალიელებს ორ-ორი. ინგლისელებს, ფრანგებსა და გერმანელებს კი არცერთი.



მოია საყვარელ გარემოში: მეგობრებთან, ფელიქს მანტიასა და ალექს კორეტხასთან (მარცხნივ) ერთად და სათამაშო კომპიუტერებთან

რეგულარული ჩემპიონატი

# იუინგი მუხრუჭი ყოფილა

15 მარტი

**ჩიკაგო 85:89 კლივლენდი**

(ძირითადი დრო 80:80)

**ჩიკაგო: ბრაუნი (7), ჰარპერი (10), ბერი (11), კუკოჩი (22 ქულა, 12 მოხსნა), სიმპკინსი (14 ქულა, 10 მოხსნა); ბრაიანტი (11), კარი (4), ბენჯამინი (2), ლენგი (2), დევიდი (2), ვენინგტონი**

**კლივლენდი: ნაითი (9 ქულა, 16 პასი, 8 მოხსნა), პერსონი (21), ფერი (2), ჰენდერსონი (22), კემპი (17 ქულა, 11 მოხსნა); ნიუმანი (9), დეკლერკი (6), ბოიკინსი (2), ბლაუნტი (1), ანდერსონი, სურა**

სანამ „ჩიკაგო ბულზი" უძლეველი გუნდი და ლიგის ჰეგემონი გახლდათ, მასთან გამკლავება ყველას უჭირდა. კლივლენდს კი, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში სუსტი გუნდი არ ყოფილა, 1994 წლის 19 დეკემბრის შემდეგ საერთოდ არ მოეგო ჩიკაგოში. მართალია, ჯორდანისეული ჩიკაგო მოგონებადღა იქცა, მაგრამ ამ მატჩმა მაინც საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია „ხარების" ქალაქში. „იუნაიტედ სენთერს" ზღვა ხალხი მოაწყდა, დარბაზმა კი მხოლოდ მატჩზე დასწრების 22456 მსურველი დაიტია და ამათაც მშვენიერი დაძაბული მატჩი იხილეს და... თავიანთი ჯილას წაგებით განაწყენებულები წავიდნენ.

„კარგი მატჩი იყო, ჩვენც კარგად ვითამაშეთ და მოვიგებდით კიდეც, შეტევაში ცოტა უკეთ რომ წაგვსვლოდა საქმე" — თქვა მატჩის შემდეგ ჩიკაგოს ნირწამხდარმა თავკაცმა ტიმ ფლოიდმა, რომელიც „ხარებს" ამ სეზონის დაწყებამდე ჩაუდგა სათავეში და ჩემპიონ, მაგრამ დაჩანაკებულ გუნდს 21 თამაშიდან 15 წააგებინა. ჩიკაგო მართლაც მოიკოჭლებდა თავდასხმაში. რონ ჰარპერმა, რომელიც წინა სამ სეზონში გაჩემპიონებული „ბულზის" ძირითადი ხუთეულის წევრი იყო და ახლა მის ერთ-ერთ ლიდერად იქცა, მეტოქე ერთობ გააწამა დაცვაში და 8 პასი, 6 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 4 დაფარება მიითვალა, მაგრამ ნათამაშევ 37 წუთში 12 სროლიდან მხოლოდ 3 ჩააგდო. იგივე ითქმის ტონი კუკოჩზეც. მან, მართალია, 22 ქულა მიითვალა, მაგრამ 24 სროლიდან 16 ააცილა.

თვითონ მატჩი ერთობ დაძაბული იყო. მეტოქენი ერთმანეთს ფეხდაფეხ მისდევდნენ. ძირითადი დროის დამთავრებამდე 1 წუთით და 45 წამით ადრე ჩიკაგოელმა დიკ სიმპკინსმა, ვინც წინა წლებში უიმედო სათადარიგო იყო, ახლა კი სასტარტო ხუთეულის შეუცვლელი წევრია, ჩატენა და 80:80 გახადა. დარჩენილ დროში ვერც ერთმა გუნდმა ვერ იხეირა და მეტოქეები ოვერტაიმში ბრძოლისთვის გაემზადნენ, მაგრამ... ჯერ სტუმართა ლიდერმა შონ კემპმა ჩააგდო, შემდეგ ბრევინ ნაითმა ერთი საჯარიმო გამოიყენა, ამას სედრიკ ჰენდერსონმა სამიანი მიაყოლა, 86:80 გახადა და ფაქტობრივად, გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. მასპინძელი გუნდი ბევრს ეცადა, მაგრამ ოვერტაიმის ბოლო წუთზელა მოახერხა ქულების გაკეთება და კლივლენდთან



REUTERS მილუოკიდან

მილუოკი — ნიუ იორკი. ტიმ ტომასმა (№5) და ერვინ ჯონსონმა (№40) ლამის ჩაწიხლეს ნიუიორკელი ლატრელ სპრიუელი

მატჩის შემდეგ, სადაც მან 36 ქულა დააგროვა, მარჯვენა კოჭის ტრავმა აწუხებს და თავისიანებს ვერაფრით შეეშველა. მისი ახალი გუნდი კი თითქმის მთელი თამაში აგებდა და ლატრელ სპრიუელის თავგამოდების შედეგად წააგო კიდეც. „ვიცოდით, რომ პატრიკ იუინგის გარეშე სისწრაფეს მოუმატებდნენ, მაგრამ დაცვაში შეცდომები დავუშვით და საჯარიმოებმა სულ დაგვღუპა" — ამბობდა მატჩის შემდეგ მილუოკის მთავარი მწვრთნელი ჯორჯ კარლი, ვისაც ამ დღეებში თავისი ყოფილი გუნდის — სიეტლის გენერალური მენეჯერის ლანძღვის გამო 25 ათასი დოლარით შეუმსუბუქეს ჯიბე. მართლაც, იუინგის გარეშე ნიუიორკელებმა სწრაფ გათამაშებას მიჰყვეს ხელი და მეტოქე საჯარიმოებით აავსეს და ეს გვარიანადაც გამოიყენეს — 35-დან 29 ჩააგდეს.

**მინესოტა 83:90 იუტა**

**მინესოტა: სმიტი (26 ქულა, 17 მოხსნა), ბრენდონი (21)**

**იუტა: მელოუნი (17 ქულა, 13 მოხსნა), 7 პასი)**

სტივენ მარბერის ნაცვლად მილუოკიდან გადმობარგებულმა ტერელ ბრენდონმა ახალ გუნდში პირველი შინაური მატჩი ჩაატარა და არც თუ ურიგოდ გაისარჯა. ის კი არა, სტუმართა გამოცდილ, ბებერ გამთამაშებელ ჯონ სტოქტონსაც მოერია და მან მხოლოდ 8 ქულის გაკეთებაღა შეძლო. სამაგიეროდ, კარლ მელოუნმა მასპინძლებს ლიდერი — კევინ გარნეტი დაუჩაგრა და თავისიანთა მხარდაჭერით იუტას ისე მოაგებინა, მინესოტელებს ერთხელაც არ ელირსათ დაწინაურება.

**ორლანდო 74:73 ფილადელფია**

**ორლანდო: ანდერსონი (15)**

**ფილადელფია: გეიგერი (18)**

ფილადელფიელთა ლიდერმა და ლიგის სნაიპერთა შორის დღესდღეობით უპირველესმა ალენ აივერსონმა 21 სროლიდან მხოლოდ ხუთი ჩააგდო და საბოლოოდ 14 ქულასღა დასჯერდა. მისი გუნდი კი ბოლო წამებამდე იბრძოდა, მაგრამ იმ მატჩში ულიდეროდ დარჩენილ მეტოქესთან მაინც წააგო.

**ტორონტო 89:82 შარლოტი**

**ტორონტო: კრისტი (18)**

**შარლოტი: ჯონსი (13)**

შარლოტელთაგან ედი ჯონსის გარდა კიდევ სამმა კალათბურთელმა შეძლო 13 ქულის გაკეთება, მათ შორის მასთან ერთად ლეიკერსიდან მოსულმა ელდენ კემპბელმა. თუმც ჯონსმა იმდენი იფაფხურა, 28-ე წუთზე მეექვსე პერსონალური მიიღო და მის გარეშე დარჩენილმა შარლოტმა უსუსურ კანადურ გუნდთან დათმო შეხვედრა.

**გოლდენ სტ. 105:111 საკრამენტო**

**კოულზი (23), მილზი (21)**

**საკრამენტო: ვებერი (20)**

გოლდენ სტეიტი მთელი მატჩის განმავლობაში მშვენივრად ირჯებოდა და ბოლო მეოთხედის დასაწყისში ხუთი ქულით იგებდა კიდეც, მაგრამ საქმეები კრის ვებერმა აურია.

**დენვერი 110:84 ვანკუვერი**

**დენვერი: მაკდაიესი (21)**

**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (15)**

| ადმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | მ | წ | % |
| მაიამი | 16 | 5 | 76,2 |
| ორლანდო | 16 | 7 | 69,6 |
| ნიუ იორკი | 13 | 9 | 59,1 |
| ფილადელფია | 12 | 9 | 57,1 |
| ვაშინგტონი | 9 | 12 | 42,9 |
| ბოსტონი | 7 | 12 | 36,8 |
| ნიუ ჯერსი | 3 | 17 | 15,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 15 | 5 | 75,0 |
| მილუოკი | 12 | 8 | 60,0 |
| დეტროიტი | 12 | 9 | 57,1 |
| ატლანტა | 12 | 9 | 57,1 |
| კლივლენდი | 9 | 10 | 47,4 |
| ტორონტო | 7 | 12 | 36,8 |
| შარლოტი | 6 | 14 | 30,0 |
| ჩიკაგო | 6 | 15 | 28,6 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 18 | 4 | 81,8 |
| სან ანტონიო | 13 | 8 | 61,9 |
| მინესოტა | 13 | 9 | 59,1 |
| ჰიუსტონი | 13 | 9 | 59,1 |
| დალასი | 8 | 15 | 34,8 |
| დენვერი | 6 | 16 | 27,3 |
| ვანკუვერი | 4 | 18 | 18,2 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 17 | 4 | 81,0 |
| ლეიკერსი | 16 | 7 | 69,6 |
| სიეტლი | 11 | 9 | 55,0 |
| ფინიქსი | 11 | 10 | 52,4 |
| საკრამენტო | 11 | 12 | 47,8 |
| გოლდენ სტეიტი | 9 | 13 | 40,9 |
| კლიპერსი | 1 | 19 | 0,50 |

# ნიუ ჯერსიმ მწვრთნელი გააგდო



ჯონ კალიპარი

ორშაბათს „ნიუ ჯერსი ნეთსმა" დაითხოვა მთავარი მწვრთნელი ჯონ კალიპარი და თან სამი თანაშემწე — ჯონი დევისი, კენი გეტისონი და ჯეკ ჰეილიც მიაყოლა. გუნდის მფლობელებმა ფინ ვენთვორსმა და ლუის კაცმა არ აპატიეს კალიპარის წლევანდელი ჩავარდნა — ნეთსმა ოციდან მხოლოდ სამი თამაში მოიგო.

კალიპარი ორი წლის წინათ მივიდა ნიუ ჯერსიში. ამ ხნის მანძილზე მან 72 მატჩი მოიგო. 112 — წააგო. ნეთსის მწვრთნელად დროებით დონ კეისი დანიშნეს. ეს კაცი კალიპარის მთავარ თანაშემწედ მუშაობდა, ხოლო 1988-89 წლების სეზონში „ლოს ანჯელეს კლიპერსის" მთავარი მწვრთნელი იყო.

# კარლი ბევრს ლაყბობსო

მილუოკი „ბაქსის" ...

EURO BASKET 99

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი

**ჯგუფური ტურნირი**

21, 22 და 23 ივნისი

| A ტულუზი | B კლერ.-ფერანი | C ანტიბი | D დიჟონი |
|---|---|---|---|
| იუგოსლავია | რუსეთი | იტალია | საბერძნეთი |
| საფრანგეთი | ესპანეთი | თურქეთი | ლიტვა |
| ისრაელი | სლოვენია | ხორვატია | გერმანია |
| მაკედონია | უნგრეთი | ბოსნია | ჩეხეთი |

| 21 ივნისი | 22 ივნისი | 23 ივნისი |
|---|---|---|
| A მაკედონია-საფრანგეთი | A იუგოსლავია-მაკედონია | A მაკედონია-ისრაელი |
| A ისრაელი-იუგოსლავია | A საფრანგეთი-ისრაელი | A იუგოსლავია-საფრანგეთი |
| B უნგრეთი-ესპანეთი | B რუსეთი-უნგრეთი | B უნგრეთი-სლოვენია |
| B სლოვენია-რუსეთი | B ესპანეთი-სლოვენია | B რუსეთი-ესპანეთი |
| C ბოსნია-თურქეთი | C იტალია-ბოსნია | C ბოსნია-ხორვატია |
| C ხორვატია-იტალია | C თურქეთი-ხორვატია | C იტალია-თურქეთი |
| D ჩეხეთი-ლიტვა | D საბერძნეთი-ჩეხეთი | D ჩეხეთი-გერმანია |
| D გერმანია-საბერძნეთი | D ლიტვა-გერმანია | D საბერძნეთი-ლიტვა |

| A | B | C | D |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | 1 | 1 |
| 2 | 2 | 2 | 2 |
| 3 | 3 | 3 | 3 |
| 4 | 4 | 4 | 4 |

**მერვედფინალები**

26, 27 და 28 ივნისი

| პო | ლე მანი |
|---|---|
| E 1 | F 1 |
| E 2 | F 2 |
| E 3 | F 3 |
| E 4 | F 4 |
| E 5 | F 5 |
| E 6 | F 6 |

ამ ეტაპზე გასული ყოველი გუნდი გამართავს სამ მატჩს

პარიზი

**მეოთხედფინალები**


... მიიღეთ

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


## სლოვენია

მე-19 ტური: მარიბორი — ოლიმპია 3:1; აიდოვშინა — ცელიე 0:0; დომზალე — ბელტინჩი 3:0; ტრიგლავი — ველენიე 0:1; კოროტანი — კოპერი 3:0; მურა — ნოვა გორიცა 0:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 19 | 11 | 6 | 2 | 45:22 | 39 |
| ნოვა გორიცა | 19 | 11 | 3 | 5 | 37:24 | 36 |
| მურა | 19 | 9 | 5 | 5 | 36:17 | 32 |
| ველენიე | 19 | 8 | 5 | 6 | 21:15 | 29 |
| კოროტანი | 18 | 8 | 4 | 6 | 28:25 | 28 |
| ოლიმპია | 19 | 8 | 4 | 7 | 30:28 | 28 |
| აიდოვშინა | 19 | 7 | 5 | 7 | 24:21 | 26 |
| ბელტინჩი | 19 | 6 | 3 | 10 | 23:36 | 21 |
| დომზალე | 19 | 5 | 5 | 9 | 20:35 | 20 |
| ცელიე | 18 | 4 | 7 | 7 | 14:22 | 19 |
| კოპერი | 19 | 4 | 5 | 10 | 18:36 | 17 |
| ტრიგლავი | 19 | 3 | 6 | 10 | 15:30 | 15 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტალურგი (დ) | 17 | 6 | 4 | 7 | 20:27 | 22 |
| ვორსკლა | 17 | 6 | 4 | 7 | 18:22 | 22 |
| ცსკა | 16 | 5 | 7 | 4 | 19:18 | 22 |
| მეტალურგი (ზ) | 17 | 6 | 3 | 8 | 24:31 | 21 |
| ტავრია | 17 | 5 | 4 | 8 | 17:21 | 19 |
| ზირკა | 17 | 5 | 4 | 8 | 14:20 | 19 |
| ნივა | 17 | 5 | 4 | 8 | 14:22 | 19 |
| დნეპრი | 17 | 5 | 2 | 10 | 14:29 | 17 |
| პრიკარპატიე | 17 | 3 | 5 | 9 | 14:33 | 14 |
| მიკოლაიევი | 17 | 2 | 4 | 11 | 11:34 | 10 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელხატოვი | 18 | 7 | 2 | 9 | 19:28 | 23 |
| რაძიონკოვი | 18 | 6 | 5 | 7 | 25:20 | 23 |
| ზაგლებიე | 18 | 5 | 5 | 8 | 26:31 | 20 |
| პოგონი | 18 | 5 | 4 | 9 | 22:33 | 19 |
| რუხი | 18 | 5 | 4 | 9 | 14:29 | 19 |
| ლკს | 18 | 4 | 6 | 8 | 18:27 | 18 |
| სტომილი | 18 | 5 | 2 | 11 | 16:26 | 17 |
| კატოვიცე | 18 | 5 | 2 | 11 | 17:32 | 17 |
| ოდრა | 18 | 3 | 6 | 9 | 19:29 | 15 |


სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს

უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი

☎ 99 67 67, 98 30 20



ქართული რაგბის თავკაცობა (მარცხნიდან მარჯვნივ:) საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი გურამ მოდებაძე, რაგბის კავშირის პრესცენტრის უფროსი გია კუბლაშვილი, რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე და რაგბის კავშირის გენერალური მდივანი გია ჭუმბურიძე

# რაგბის კავშირში იციან, რომ საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა

## ოღონდ ამ პრინციპს მოედანზე მეტად პრესასთან ურთიერთობისას უფრო მისდევენ

რა მოხდა ფიჯიზე? რატომ დავმარცხდით ტონგასთან ასე საშინლად? რა უთანხმოებანია ნაკრების მწვრთნელსა და კონსულტანტს შორის და როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება? როგორ ემზადებიან ბორჯღალოსნები ტონგელთა დასახვედრად?

აი, მოკლედ ის საკითხები, რომლებიც უნდა გარკვეულიყო რაგბის კავშირისა და ნაკრების ხელმძღვანელთა მიერ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. უნდა გარკვეულიყოო, იმიტომ ვამბობთ, რომ ფაქტობრივად არაფერი გარკვეულა. ამის მაგივრად კავშირისა და ნაკრების ხელმძღვანელობამ საუკეთესო თავდაცვა თავდასხმააო პრინციპით იმოქმედა და ბორჯღალოსანთა ოკეანის კიდეზე მოგზაურობის შესახებ პრესის ფურცლებზე დაწერილის განსჯა-უარყოფას მოჰყვა. ყველაფერზე თანმიმდევრულად მოგითხრობთ და მტყუან-მართალიც მერე გამოჩნდება.

დავიწყოთ იმით, რომ ნაკრების მწვრთნელსა და კონსულტანტს შორის თურმე არავითარი უთანხმოება არ არსებობს, პირიქითო — ასეთი მოსაზრება გამოთქვა რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ და მას მწვრთნელი გურამ მოდებაძეც დაეთანხმა. ის კი არა, ამისთანა ცოდნა-გამოცდილების კაცი რომ გვეხმარება, მადლობის მეტი არაფერი გვეთქმისო. ფრანგს უთქვამს, თუ გსურთ, დაგეხმარებით ბიჭების გაწვრთნაში, თუ არა, თქვენც კარგად იყავით და მეცო, კავშირის ხელმძღვანელობაც კლოდ სორელის საქართველოს ნაკრების კონსულტანტად ხილვის დიდი მოხარული ყოფილა, მაგრამ სურდა ეს თავად ნაკრების მწვრთნელს? თავდაპირველად იქნებ არც იყო წინააღმდეგი, მაგრამ ვეჭვობთ, ახლა ასე იყოს, თუმც ამაზე ხმამაღლა არ ამბობს და გასულ კვირას ათი კაცის თანდასწრებით ნათქვამნაამბობს უარყოფს. „კლოდ სორელი ძალიან საჭირო კაცია. ახლა პალიკო ჯიმშელაძემ გადაწყვიტა, რაგბისთვის თავი დაენებებინა და საზღვარგარეთ წასულიყო სამუშაოდ. რა უნდა მექნა, დახმარებისთვის კლოდს მივმართე და მანაც ჯიმშელაძეს კლუბი მოუძებნა საფრანგეთში" — ეს გურამ მოდებაძის სიტყვებია. ეტყობა, ძია ბურძგლას კონსულტანტისა და აგენტის მოვალეობები ერთმანეთში აერია. რაკი არავითარი უთანხმოება არ არსებობს, ბუნებრივია, არც ამ პრობლემის მოგვარება დამდგარა დღის წესრიგში. ერთადერთი, რაც გაირკვა, არის ის, რომ კლოდ სორელი ქართველ მორაგბეთა ნაკრებისთვის ერთობ საჭირო პიროვნებაა. ასე რომ, ტონგელთა წინააღმდეგ ბორჯღალოსნების წარმატება-წარუმატებლობა ამ კაცმა უნდა განაპირობოს.

იყოს ასე, რახან სურთ, მაგრამ მერე თავში საცემი არ გაუხდეთ. ზურგს უკან ჩურჩულსა და კინკლაობას სიკეთე არავისთვის მოუტანია და არა მგონია, ჩვენ მოგვიტანოს.

რაც შეეხება ფიჯის ამბებს, ფიჯის სასტუმრო „მუკამბას" პერსონალის ნამოქმედარით აღშფოთებულ რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას უკვე გაუმზადებია საპროტესტო წერილი, რომლის ადრესატი რაგბის საერთაშორისო საბჭოა. შეგახსენებთ, ბიუჯეტში გვარიანი გარღვევის გამო ფიჯელებმა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი გურამ მოდებაძე გირაოში დაიტოვეს და ნაკრებსაც უმწვრთნელოდ მოუხდა ტონგაში გამგზავრება. მოდებაძემ ისიც კი უარყო, რომ კლოდ სორელს პლასტიკურ ბარათზე იმ რაოდენობის თანხა ჰქონდა, მისი გათავისუფლებისთვის რომ იკმარებდა. ბიუჯეტში გარღვევა კი ხარჯების არასწორი დაანგარიშებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი ჩინოსნის წყალობით მოხდა, რომელთაც არ იცოდნენ, თუ ამერიკაში სატრანზიტო ვიზა იყო საჭიროო. ტონგასთან მატჩს მწვრთნელმა არანაირი კომენტარი არ გაუკეთა, შეხვედრა არ მინახავს და არც მორაგბეთ უთქვამთ, რა ტაქტიკით და როგორ ითამაშესო. არადა, ცოტა ხნის წინ ამ საკითხთან დაკავშირებითაც სხვა მოსაზრება ჰქონდა მწვრთნელს.

სხვა საკითხთაგან, რომლებზეც გუშინ იყო საუბარი, უმთავრესი ბორჯღალოსანთა განმეორებითი მატჩისთვის მზადება გახლდათ. როგორც აღინიშნა, ნაკრები მომავალი კვირიდან შეუდგება ვარჯიშს. გუნდის ძირითადი ბირთვი იგივეა, 6 მარტს რომ იყო, მაგრამ შესაძლებელია, რამდენიმე ცვლილება. კერძოდ, მოსალოდნელია იურინისა და რაფავას ნაკრებში დაბრუნება. რამდენად მოხერხდება ეს, კლოდ სორელზეა დამოკიდებული. გურამ მოდებაძის თქმით ხომ სწორედ ჩვენი ფრანგი კონსულტანტი იყო ამ მობურთალთა ნაკრებს მიღმა დატოვების ინიციატორი, თუმცა...

რაც შეეხებათ ტონგელებს, უცნობია, თუ როდის ეწვევიან თბილისს პოლინეზიელები. იქაური რაგბის კავშირი ქართველებს ამ საკითხის თაობაზე ჯერჯერობით არ შეხმიანებია.

**პაატა თოთაძე**

> საქართველოს რაგბის კავშირი და ვეტერან მორაგბეთა კავშირი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თბილისის „დინამოს" ყოფილი მორაგბე
> **თემურ ძამაშვილი**
> და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



# ჩვენი დროის გმირი

## ედი ირვინის გვიან

*ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ირლანდიელი ედი ირვინის „დაუგეგმავ", სენსაციურ გამარჯვებას, ცხადია, გამოხმაურებაც საკადრისი მოჰყვა. ექვსწლიან კარიერაში პირველი დიდი პრიზის მოგებამ „ფერარის" პილოტი ამ ბოლო დღეთა გმირად აქცია.*




ედი ირვინი

33 წლის ირლანდიელის ტრიუმფი მისი აქამომდელი 82 რბოლის შემდეგ აშკარად დაგვიანებული კია, მაგრამ მართლაც სჯობს გვიან... ფორმულის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში სტარტზე გასული 509 მრბოლიდან ირვინი 88-ეა, ვისაც ერთი დიდი პრიზი მაინც მოუგია. ისე, 82 შანსიდან მხოლოდ ერთის გამოყენება, აბა, რა სუფრაზე მოსატანია. ექსტრა-პილოტები ხომ ლამის ყოველ მესამე-მეოთხე რბოლას იგებენ. ლეგენდარული არგენტინელის, ხუან მანუელ ფანხიოს შედეგი კი სულაც მიუწვდომელი ჩანს — 24 დიდი პრიზი 51 რბოლაში.

**ყველა დროის 10 საუკეთესო მაჩვენებელი**
(მოგებათა რაოდენობა, რბოლები, გამარჯვებათა პროცენტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა) | 24 | 51 | 47,0 |
| 2 | ალბერტო ასკარი (იტალია) | 13 | 32 | 40,6 |
| 3 | ჯიმ კლარკი (დიდი ბრიტანეთი) | 25 | 72 | 34,7 |
| 4 | მიხაელ შუმახერი (გერმანია) | 33 | 119 | 27,7 |
| 5 | ჯეკი სტიუარტი (დიდი ბრიტანეთი) | 27 | 99 | 27,3 |
| 6 | ალენ პროსტი (საფრანგეთი) | 51 | 199 | 25,6 |
| 7 | აირტონ სენა (ბრაზილია) | 41 | 161 | 25,5 |
| 8 | სტირლინგ მოსი (დიდი ბრიტანეთი) | 16 | 66 | 24,2 |
| 9 | ჟაკ ვილნევი (კანადა) | 11 | 50 | 22,0 |
| 10 | დეიმონ ჰილი (დიდი ბრიტანეთი) | 22 | 101 | 21,8 |

ახლა კვლავ ირვინს მივუბრუნდეთ. მელბურნის „ალბერტ პარკზე" გამარჯვებით მან თავის ადრინდელ მონაგარს 10 ქულა წაამატა, ჯამში 109 გაუხდა და ელიტარულ 100-ქულიანთა კლუბშიც შედგა ფეხი. სადღეისოდ სულ 49 მრბოლია, ვისაც ეს მოუხერხებია. ირლანდიელი ერთბაშად ხუთ კონკურენტს გადაახტა და 44-ე ადგილზე შეჩერდა. ცხადია, დროებით, რადგან წინ მრავალი რბოლა ელის და ამ შედეგით არ დაკმაყოფილდება. უმაღლესი მაჩვენებელი კი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს, ფრანგ ალენ პროსტს აქვს — 798,5 ქულა, რომლის გაუმჯობესება, შესაძლოა, ვერც შეძლონ.

**საუკეთესო რეიტინგოსანთა ათეული**
(ქულები, რბოლები, საშუალო შედეგიანობა)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 ფანხიო | 277,5 | 51 | 5,4 |
| 2 შუმახერი | 526 | 119 | 4,4 |
| 3 ასკარი | 139 | 32 | 4,3 |
| 4 პროსტი | 798,5 | 199 | 4,0 |
| 5 ნინო ფარინა (იტალია) | 128 | 33 | 3,9 |
| 6 სენა | 614 | 161 | 3,8 |
| 7 კლარკი | 274 | 72 | 3,8 |
| 8 ჟაკ ვილნევი | 180 | 50 | 3,6 |
| 9 სტიუარტი | 360 | 99 | 3,6 |
| 10 ჰილი | 353 | 101 | 3,5 |

ავსტრალიის დიდი პრიზი სახელოვანი „ფერარის" 120-ე გამარჯვებაა. ამ შედეგით იტალიელთა ეროვნული სიამაყე ყველა სხვა გუნდს უსწრებს — ჟახლოეს მდევარ „მაკლარენს" 4 გამარჯვებით ნაკლები აქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ „სისხლისფერ ბედაურებს" ავსტრალიის ტრასებზე 1987 წლის შემდეგ არ უმარჯვიათ, საერთოდ კი, პირველობის გახსნის ეტაპზე უკანასკნელად 9 წლის წინ მიაღწიეს წარმატებას. ასე რომ, წლევანდელი სასტარტო „დოპინგი" ალბათ ჩინებულ სამსახურს გაუწევს შუმახერ-ირვინის დუეტს ჩემპიონატის რვათვიან მარათონულ დისტანციაზე.

**ირაკლი ნიკოლაძე**




„ფერარი" და ედი ირვინი — ფორმულა 1-ის ლიდერები



# საქართველოდან მხოლოდ უზბეკეთი მოჩანს

**ტაშკენტში** იწყება ტრადიციული „პრეზიდენტის თასის" გათამაშება თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. სხვა დროს ამ ტურნირისთვის ყურადღება ეგებ არც მიგვექცია, მაგრამ შეჯიბრს დანატრებული ჩვენი მოჭიდავეებისთვის ესეც კი ღვთის წყალობაა. თავად განსაჯეთ: „ბერძენ-რომაელებს" შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ანუ სექტემბრის შემდეგ არსად უასპარეზიათ, ამიტომაც ნაკრების მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ სრული გუნდი წაიყვანა — მალხაზ ნიშნიანიძე (54), ჯამბულ ფუტკარაძე (58), ბადრი ანთაძე (63), გიორგი ჯინჭველაშვილი (69), ხვიჩა ბიჩინაშვილი, ტარიელ მელელაშვილი (76), ემზარ მახარაძე, მუხრან ვახტანგაძე (85), გენადი ჩხაიძე (97), თამაზ გოგელია (მძიმე).

როგორც ხედავთ, მწვრთნელი მაინც „ძველ გვარდიას" დაეყრდნო, თუმც არც „ახალი სისხლის" საჭიროება დაივიწყნია.

თავის კოლეგასთან შედარებით გაცილებით რთულად აქვს საქმე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელს ზაზა თურმანიძეს. რაკილა გუნდს უფულობის გამო მოსამზადებელი ეტაპი მთლიანად ჩაუვარდა, ამიტომ ოთარ თუშიშვილმა (58) წონის დაკლება ვერ შეძლო. მწვრთნელებმა აღარ გარისკეს — ახლაც რომ დიეტაზე დაესვათ, შეიძლება წონის დაკლება ევროპის ჩემპიონატის წინაც დასჭირვებოდა. ამიტომ მწვრთნელებმა არჩიეს, დაესვენებინათ. ტრავმირებულნი არიან დავით პოღოსიანი (63) და ემზარ ბედინეიშვილი (69), ხოლო ლექსო მოდებაძე (მძიმე) სიცხიანია. ამიტომაც თურმანიძეს სამი ფალავანი — რევაზ მინდორაშვილი (76), ელდარ კურტანიძე (97) და თამაზ გეგეშიძე (85) შერჩა და ამათ წაიყვანს.

ორივე მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატზე წასაყვან გუნდს ამ ტურნირების შედეგთა გათვალისწინებით დააკომპლექტებს, რადგან სხვა ჰორიზონტზე არც ჩანს.

**ირაკლი თავაძე**

# რემატჩის მოლოდინი



ლუისისგან ჰოლიფილდის ცემას ყველა აღიარებს

**მსოფლიო** კრივის მამები ნიუ იორკში შეყრილან და კეთილი და შემრიგებლური ლაპარაკით ცდილობენ, ჩირქი მოწმინდონ შაბათ ღამის სამარცხვინო ამბავს. ყოველი მათგანი ერთგვარად მაინც აღიარებს, რომ ლუის-ჰოლიფილდის შერკინებაში დამთვლელთა საქციელი არცთუ მოსაწონი იყო და ლენოქ ლუისმა დამსახურებული ჩემპიონობა დაკარგა.

სამი უდიდესი გაერთიანების — ფედერაციის (იბფ) საბჭოსა (ვბკ) და ასოციაციის (ფბა) პრეზიდენტები სათათბიროდ დასხდნენ და საჯაროდ გამოაცხადეს — რემატჩი, ანუ ხელმეორე შეხვედრა აუცილებლად უნდა გაიმართოს ექვსი თვის შემდეგ.

ლუისის გაწბილებულმა მენეჯერმა ფრენკ მელოუნიმ კი სააჯო არზა შეადგინა ნიუ იორკის საოლქო პროკურორის და ამავე ოლქის ათლეტთა საქმეების კომისიის სახელზე, ვფიქრობ, ეს საქმე სასამართლოს იმსახურებსო.

ხმის დამთვლელ სამ მსაჯულთაგან ერთ-ერთმა, ბრიტანელმა ლარი ოკონელმა, რომელმაც ფრე, 115-115 დააფიქსირა საბოლოო შედეგად, აღიარა, ალბათ, შევცდიო. თუმცა, იქვე დაურთო, იმ წუთს მართალი და პატიოსანი ვიყავიო.

ამ ოკონელმა, რომელიც 23 წელიწადია საკრივო სამყაროში ტრიალებს, შეხვედრის შედეგის ჩაწყობა შორს დაიჭირა, საყაიმო შედეგის გამოცხადება მსაჯებს არ გვიყვარს, იმიტომ, რომ წამსვე ჩაწყობაზე ეჭვობენო.

ჰოლიფილდის ამერიკელი ქომაგებიც კი დარცხვენილნი არიან — ლუისმა ორჯერ მეტი დაჰკრა მოწინააღმდეგეს და თანაც მთელი ბრძოლა მისი კარნახით მიმდინარეობდა. თვით ნიუ იორკის გუბერნატორმა რუდოლფ ჯულიანიმაც კი გამოთქვა თავისი მაღალი აზრი, ესე ყოველი უმსგავსობა იყოო. ოდინდელმა ჩემპიონმა, ლუისის მიერ ოდესღაც ნაგვემმა ბრიტმა ჯენტლმენმა ფრენკ ბრუნომ პირში მიახალა რეპორტიორებს, ამგვარ უსამართლო გადაწყვეტილებას პირადად არასოდეს შევსწრებივარო.

ენამწარე ინგლისურმა მედიამ მთლად ყბად აიღო დარტყმათა დამთვლელი მსაჯები. „გარდიანმა“ დაწერა: „დამთვლელთა ორპირობამ ლუისი გაძარცვა“. იმავ „გარდიანში“ გამომზეურებულია ლუისის ბანაკის აზრი იმის თაობაზე, რომ მსაჯთა გადაწყვეტილების ფესვები ჩაკარგულია ამერიკული საკრივო იატაკქვეშეთის ბნელ უფსკრულში, სადაც ჩასასვლელი გზა ერთადერთმა კაცმა, დონ კინგმა იცისო.

ამგვარი ლაპარაკების მიუხედავად, მთავარი მაინც რემატჩის თარიღის ოფიციალურად გამოცხადების საკითხია. მცოდნე ხალხის აზრით, რემატჩი იმწამსვე გამოცხადდება, როგორც კი მხარეები ფინანსურ საკითხთა გამო მორიგდებიან. თუმცა, 36 წლის ჰოლიფილდს შეუძლია გამოაცხადოს, დავბერდი და რინგს ვეთხოვებიო. მაშინ, მისი ტიტულები ვაკანტურად გამოცხადდება და ლუისს სხვა გზით მოუწევს უვადო ჩემპიონობისთვის ბრძოლა. მაგრამ ლუისის პრომოუტერი პანოს ელიადესი ჯიუტად იმეორებს:

„მსოფლიოს სჭირდება ეს ბრძოლა. ხალხმა უნდა ნახოს, რა და როგორ. ყველამ უნდა დაინახოს, რომ სპორტში უწმინდურობა ტრიალებს“.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

## დიდ უსამართლობათა ნუსხა

**რახან ჰოლიფილდ-ლუისის შერკინება ხმაურით დასრულდა და კრივის ერთ-ერთ უდიდეს უსამართლობად გამოცხადდა, აქვე შემოგთავაზებთ რამდენიმე ასევე დიდ უსამართლობას, ადრე რომ მომხდარა კრივში.**

### 1927 წელი. ჯეკ დემპსი — ჯინ ტანი

პრეტენდენტმა დემპსიმ ძირს დასცა ჩემპიონი ტანი. ეს მოხდა მეშვიდე რაუნდში. რეფერიმ მანამდე არ დაიწყო თვლა, სანამ დემპსი თავისი კუთხისკენ არ მიაბრძანა. ამან გვარიანი დრო დაიჭირა და როცა რეფერიმ თვლა დაიწყო, ტანი უკვე წამოდგა კიდეც. ჩემპიონმა ქულებით მოიგო ეს ორთაბრძოლა.

### 1951 წელი. რენდოლფ ტარპინი — შუგარ რეი რობინსონი

რეფერიმ მეათე რაუნდის დასრულებამდე რვა წამით ადრე შეწყვიტა ბრძოლა და მიზეზად ტარპინის მძიმედ გვემა მოიდო. მაგრამ რობინსონს თვალ-წარბი დახეთქილი ჰქონდა და ტარპინს შეეძლო, ნოკაუტში ჩაეგდო იგი.

### 1963 წელი. ჰენრი კუპერი — კასიუს კლეი

ბრიტანელმა კუპერმა მეოთხე რაუნდის მიწურულს ძირს დასცა კლეი (შემდგომში მუჰამედ ალი). კლეი რომ აზრზე მოსულიყო, მისმა ბანაკმა მოიგონა, ხელთათმანი გახეთქილი აქვსო და მეხუთე რაუნდის დაწყებამდე რამდენიმე წუთი მოიგო. ამის შემდეგ კლეიმ მეხუთე რაუნდშივე დააგდო კუპერი.

### 1965 წელი. მუჰამედ ალი — სონი ლისტონი

ალიმ პირველსავე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო ლისტონი, მაგრამ საყოველთაო აზრით, ამ დარტყმას არაფერი ჰქონდა სანოკაუტო და ლისტონი იმიტომ წაიქცა, რომ იატაკქვეშა ბოსების რისხვა აეცილებინა თავიდან.

### 1976 წელი. მუჰამედ ალი — კენ ნორტონი

ალი ჩემპიონი იყო, ნორტონი პრეტენდენტი. თანაბარი ბრძოლის გასრულების შემდეგ მსაჯებმა ჩემპიონს მიანიჭეს გამარჯვება, თუმცა, საერთო აზრით, ნორტონმა აჯობა მოწინააღმდეგეს.

### 1990 წელი. ჯეიმს „მასტერ“ დაგლასი — მაიკ ტაისონი

მერვე რაუნდში ტაისონმა ძირს დასცა დაგლასი. რეფერიმ თვლა დააყოვნა. დაგლასი ცხრა დათვლაში წამოდგა, თუმცა, სინამდვილეში, ქაუნთი უკვე ცამეტი იყო. მეათეში „ბასტერმა“ თავად დააგდო ტაისონი და ჩემპიონობა წაართვა.

### 1997 წელი. ლენოქს ლუისი — ოლივერ მაკკოლი

მეოთხე რაუნდის მიწურულს მანამდე დეპრესიით ტანჯული მაკკოლი რინგზე სირბილს და ქვითინს მოჰყვა, თუმცაღა ბევრი არაფერი დაუთმია წინა რაუნდებში. რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა და გამარჯვებულად ლუისი გამოაცხადა.



გიორგი კანდელაკი



პაატა გვასალია

ბაჩრი ქოთიაშვილის ფოტოები

# ბათუმში დიდი ჩხუბი ატყდება

## კანდელაკი ნაწყენია, ლუისი დამიჩაგრესო

ქართველ მოკრივეთა ამქარმა გუშინ გუდა-ნაბადი აიკრა და ბათუმს მიაშურა. ზღვისპირა ქალაქის რინგი ოთხი დღის მანძილზე საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ქვეყნის უპირველეს შეჯიბრში მონაწილეობა ყველა უძლიერესმა მოკრივემ ისურვა, ამიტომაც, ცხადია, ბათუმის რინგზე ფიცხელი ბრძოლები გაჩაღდება.

ამასწინათ „სარბიელში“ **პაატა გვასალიას** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. ერთ დროს რუსეთში გადახვეწილმა და ახლახან უკან დაბრუნებულმა ფოთელმა მოკრივემ თქვა: „მომენატრა სამშობლოში კრივი, საქართველოს ჩემპიონატში აუცილებლად გამოვალ და ჩემს ძალასა და უნარს ქართველ ბიჭებთან გამოვცდი.“ პაატამ სიტყვა შეასრულა, ბათუმს ეწვია და 63,5 კგ-ში იასპარეზებს, გვასალის გუშინ აჭარაში გამგზავრებისას შევეხმიანეთ და ისიც საუბარზე არ დაგვზარდა:

— დიდი ხანია, ქართველი მაყურებლის წინაშე არ მიჩხუბია და მართალი გითხრათ, ვღელავ კიდეც. საუკეთესო ფორმისგან ჯერ შორს ვარ, თუმცა, ვფიქრობ, გამარჯვება არ უნდა გამიჭირდეს. რუსეთში კი მქონდა წარმატებები, მაგრამ ჩემი სიტყვა აქაც უნდა ვთქვა, წლეულს საერთაშორისო სარბიელზეც ვცდი ძალას და უპირველესად ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად ვიბრძოლებ. საქართველოს ჩემპიონატში ასპარეზობა კი, მაშინ, როცა მოკლებულნი ვართ სხვადასხვა ტურნირებში გამოსვლას, საუკეთესო საშუალებაა ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის მზადებისას.

ბათუმში ვარიანელი მსოფლიოს ჩემპიონი, აწ უკვე პროფესიონალი **გიორგი კანდელაკიც** ჩავა. გიორგი, რომელიც ახლახან დაბრუნდა ინგლისიდან, სადაც თავის პროფესიულ კარიერაში მეექვსე გამარჯვება იზეიმა, ვარიანში განაგრძობს ვარჯიშს და თან საკრივო დარბაზის მშენებლობასაც დასტრიალებს. კანდელაკი თვის ბოლოს კვლავ ლონდონში გაემგზავრება, მანამდე კი, როგორც ზემოთ გითხარით, წარსულს გაიხსენებს და საქართველოს ჩემპიონატს დაესწრება, ცხადია, არა როგორც მონაწილე.

გიორგის ჰოლიფილდ — ლუისის ბრძოლაზეც დავეკითხეთ, მით უფრო, ინგლისში სწორედ ლენოქს ლუისის კოლეჯში ვარჯიშობს და ამას წინათ ისიც გვითხრა, ლუისის ქომაგი ვარო.

— ასეთ უნამუსობას არ შევსწრებივარ — გვითხრა გირგიმ ლუისი მსაჯებმა დაჩაგრეს, ვინც ეს ბრძოლა ნახა, ყველა დამეთანხმება, რომ ინგლისელის უპირატესობა აშკარა იყო — მან ჰოლიფილდი გალახა, მაგრამ აქედან რა? არც ის გამიკვირდებოდა, შეხვედრის ბოლოს სულაც ლუისი რომ გამოეცხადებინათ დამარცხებულად.

**— ახლა საკრივო სამყარო რემატჩზე საუბრობს, შენი აზრით, შეძლებს ლუისი ამერიკელის გალახვას?**

— ეჭვიც არ მეპარება, ლუისი brწყინვალე ფორმაშია და რემატჩისთვისაც კარგად მოემზადება. ვფიქრობ, იგი დღესდღეობით მსოფლიოში უძლიერესი მოკრივეა.

**— საქართველოს ჩემპიონატზე რაღა გინდა?**

— მე პროფესიონალებში გადავედი, თორემ ქართული კრივიდან კი არ წავსულვარ. ეს პირველობაც საინტერესო უნდა იყოს, მასში ხომ ყველა ძლიერი ქართველი მოკრივე იჩხუბებს.

**სოსო ქოტორეიშვილი**

მხატვრული ტანვარჯიში

# რომ მოვიგოთ, მერე რა ვქნათ?

**უფულობაშემოჩვეულ ჩვენს სპორტსმენებს უცხოეთში ასპარეზობა ძნელად ასახდენ ოცნებად ჰქცევიათ. ამ მხრივ გამონაკლისი არც მხატვრული ტანმოვარჯიშეები არიან, საერთაშორისო ტურნირები თუ საწვრთნელი შეკრებები მათთვისაც მიუწვდომელი ფუფუნება გამხდარა. აი, ახლაც, საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი ინგა თავდიშვილი საბერძნეთში საერთაშორისო ტურნირზეა მიწვეული, სადაც, ტრადიციულად, ყოველთვის უძლიერესი შემადგენლობა იყრის თავს. ამ ასპარეზობისადმი ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრად ითვლება. აქედან კი სიდნეის ოლიმპიადის საგზურიც ახლოა.**

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ისევ ბერძნულ ტურნირს მივუბრუნდეთ. მასპინძელთაგან მიწვევის დასტური უკვე მოვიდა, ისინი დაბინავებისა და კვების ხარჯებს თავად გაიღებენ. ასე რომ, სამკაციან ქართულ დელეგაციას (თავად სპორტსმენი, მისი მწვრთნელი და საერთაშორისო კატეგორიის ჩვენებური მსაჯი) მხოლოდ სამგზავრო სახსრების მოძიებაღა დარჩენია. მაგრამ ესეც პრობლემაა და კარსმომდგარ ტურნირზე ასპარეზობა ჯერაც სათუოა.

თუმცა სჯობს, თავად მწვრთნელს, ნანა ლონდარიძეს და მის შეგირდს მოვუსმინოთ.

— შეჯიბრი 23 მარტს იწყება და ერთ კვირას გასტანს. გასამგზავრებელ თანხას რუსთავის მერია დაგვპირდა. მე და ინგა იქაურები ვართ და ქალაქის თავკაცობა ხშირად გვეხმარება. ახლაც მათი იმედი გვაქვს. თუ ამ ორ დღეში სახსრები გამოგვიჩნდა, საბერძნეთში გამგზავრებას წინ არაფერი დაუდგება.

**— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. თუ ყველაფერი მოგვარდა, ბერძნულ სარბიელზე რომელ ადგილს გეგმავთ?**

— ამ შეჯიბრში ყველა ქვეყანა პირველი ნომრით იასპარეზებს. როგორც ყოველთვის, ფავორიტებად რუსეთი, ბელარუსი და უკრაინა ითვლებიან. მათთან ჭიდილი ძალიან ძნელია, მით უმეტეს, ასეთი მომზადებით. ჩვენი მიზანი პირველ რვა საუკეთესოს შორის მოხვედრაა. ეს ჩვენთვის დიდი წარმატება იქნება. თანაც იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურსაც გავინაღდებთ. ვფიქრობთ, მეშვიდე, მერვე ადგილი უნდა მოვიპოვოთ.

**— წელან მოსამზადებელი პერიოდი ახსენეთ. უკმაყოფილო უნდა იყოთ.**

— უკმაყოფილონი მხოლოდ პირობებით ვართ. აბა, როგორ გინდა გაძლო ისეთ დარბაზში, სადაც ორპირი ქარი ქრის. წლეულს ზამთარმაც შეგვიწყო ხელი, შარშანდელივით სუსხიანი არ იყო — მაშინ ხელთათმანებით და ქუდით გავდიოდით ხალიჩაზე. ახლა კი 4-5 საათს ვვარჯიშობთ. ფიზიკურ მომზადებასაც დიდი ყურადღება დავუთმეთ და კონდიციებიც გავიუმჯობესეთ.

**— თქვენი ფედერაცია უკეთესი პირობების შექმნას, ან თუნდაც უცხოეთში საწვრთნელი შეკრების მოწყობას ვერაფრით გიხერხებთ?**

— რა გითხრათ. როგორც ყველა ფედერაციას, მასაც ძალიან უჭირს. უცხოური შეკრება ჩვენთვის უცხო ხილია. ჩვენს მდგომარეობას რომ ხედავენ, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს ვეცოდებით და მათგან წინადადებებიც გვაქვს. ბელარუსებმა და რუსებმა სულაც მათ დედაქალაქებში უფასოდ ვარჯიში და დაბინავება შემოგვთავაზეს. ამისგან თავს იმიტომ ვიკავებთ, რომ იქ გასამგზავრებელი თუ კვებისთვის საჭირო თანხები არ გვაქვს.

ამას თავი დავანებოთ, მეტი რა შეღავათი გინდათ — ტურნირების ორგანიზატორნი მხოლოდ მგზავრობის ხარჯების დაფარვას გვთხოვენ. მაგრამ ამ ფულის შოვნაც გვიჭირს. ღმერთმა ქნას, ინგამ მსოფლიოს ჩემპიონატის ლიცენზია მოიპოვოს, მაგრამ აქედანვე ვფიქრობ, როგორ უნდა მოვიძიოთ იაპონიაში გასამგზავრებელი თანხა...

**მამუკა ტუღუში**

# კარლოს მოია კუნძულელი მორცხვი ბიჭი

ორშაბათიდან ჩოგბურთის სამყაროს ახალი მეფე ჰყავს — 22 წლის ესპანელი კარლოს მოია. ჩოგბურთელმა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ მოთიხნარე თანამემამულეებისგან მხოლოდ გრძელი თმები, განუყრელი ბენდენა და უსაშველოდ გალიფე შორტები გამოარჩევდა, პირველი ადგილი ბოლო ათწლეულის საუკეთესო მოთამაშეს, პიტ სამპრასს ჩამოართვა



სარბიელის არქივიდან



სარბიელის არქივიდან

კარლოს მოიას სრულყოფილ ჩოგბურთელს ნამდვილად ვერ უწოდებ — ბოლო ხანებში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, ბადესთან თამაშში იგი ისევ მოიკოჭლებს, ორხელა ბექჰენდი შეტევითი ფუნქციის ნაცვლად ძირითადად ბურთის უკან დაბრუნებას ემსახურება და ბალახზე, ყველაზე სწრაფ საფარზე გამარჯვება თითზე ჩამოთვლება.

თუმცა ამ სისუსტეებს ესპანელს კაცთა ჩოგბურთის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღი — ფორჰენდი უნაზღაურებს. მნიშვნელობა არა აქვს, მიღებაზე იქნება, ბადის სიახლოვეს თუ უკანა ხაზზე, ტუჩების მოკუმვის, მარცხენა ხელის თითების გაშლისა და ჯანიანი მოქნევის შემდეგ მოიას მეტოქეები, როგორც წესი, ტყვიასავით დარტყმულ ბურთს თვალს თუ გააყოლებენ-ხოლმე, ამას დაუმატეთ 1,9-მეტრიანი კაცის ხეირიანი მოწოდება, ასეთი სიმაღლისათვის არაჩვეულებრივი სისწრაფე, ნამდვილი მებრძოლის ხასიათი და წარმატებებსაც ლოგიკური ახსნა მოეძებნება.

ყველაფერი კი 1997-ის იანვარში დაიწყო: ყველასათვის უცნობმა ესპანელმა ავსტრალიის ღია პირველობაზე ბორის ბეკერსა და მაიკლ ჩანგს აჯობა და ფინალში პიტ სამპრასთან დამარცხდა. წლის ბოლომდე მას ანგარიშზე კიდევ 5 ფინალი ჰქონდა, კლასიფიკაციაში კი მეშვიდე ადგილზე დამკვიდრდა.

1998-ში ალმასვლა გაგრძელდა — როლან გაროსის ფინალში თანამემამულე ალექს კორეტხას დამარცხების შემდეგ მოია უკვე საუკეთესო ხუთეულშია. ამას მორიგი გმირობები მოჰყვა: ამერიკის ღია პირველობაზე მაიკლ ჩანგთან და ჟან-მაიკლ გემბილთან ზედიზედ ორი ხუთსეტიანი შეხვედრა, რომლებიც კარლოსმა მატჩპოინტების გადარჩენის შემდეგ მოიგო. იგი პირველი ესპანელი გახდა, ვინც „ფლაშინგ მედოუზზე“ ნახევარფინალს უწია.

თუმცა, უდიდესი ნიჭის მიუხედავად, მოიას სუპერვარსკვლავად ქცევა გარდაუვალი თუ წინასწარ განსაზღვრული სულაც არ ყოფილა. ესპანეთის აღმოსავლეთ სანაპიროსთან მდებარე კუნძული მალიორკას მკვიდრს ცხოვრებისა და კარიერის მიმართ თავიდან მეტად ზერელე, მარტივი დამოკიდებულება ჰქონდა — ძნელია, სხვა რაიმეს ელოდე ბიჭისგან, რომელიც სანაპიროდან ორმოცდაათ მეტრში ცხოვრობდა.

იუნიორობის დროს მოია არც ყველაზე წარმატებული ყოფილა და არც ყველაზე მიზანსწრაფული — არავის გაუკვირდებოდა, თავისი უფროსი ძმის, 30 წლის ანდრესისა და 31 წლის ბეგონიას მსგავსად, კარლოსიც მოყვარულ ჩოგბურთელად რომ ქცეულიყო.

„როცა თამაში დავიწყე, არც კი ველოდი, რომ ასეთი კარგი ჩოგბურთელი გავხდებოდი. არ მაინტერესებდა არც ფული და არც პოპულარობა, მთავარი ის იყო, რომ ჩოგბურთი მომწონდა. შეიძლება ითქვას, რომ ძალიან გამიმართლა. რაც თავს გადამხდა, ზღაპარს უფრო ჰგავს“.

მოიას მამა, ანდრესი, პატარა სამშენებლო ფირმის მფლობელია. დედა, პილარი, დიასახლისი. უქმეებზე ოჯახი „გრან პლაიას“ საჩოგბურთო კლუბში დადიოდა, რომელიც იმავე ქუჩაზეა, სადაც მათი დიდი ბინაა ზღვისპირა პარმა დე მალიორკაში.

კარლოსმა კლუბში სიარული სამი წლისამ დაიწყო, როდესაც „ჩოგნები ჯერაც მასზე დიდები იყო“. ხუთი წლისამ კი უკვე კედელთან თამაშს გაუგო გემო: „კედელთან თამაში ძალიან მიუყვარდა, შემეძლო, დღეში ხუთი-ექვსი საათიც კი გამეტარებინა ასე. მერე კი უკვე ყველას ვთავაზობდი გაჯიბრებას — დიდს, პატარას, ბებერს, ახალგაზრდას, კაცს, ქალს, ყველას“.

კარლოსი მალე ქალაქის საუკეთესო ჩოგბურთელი გახდა, 15 წლისა — ესპანეთის ხმელთაშუაზღვისპირა კუნძულების ჩემპიონი, თუმცა იუნიორთა ეროვნულ ჩემპიონატზე თავი ბევრით არაფრით გამოურჩევია. ასე რომ, როდესაც ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციამ მოია ბარსელონაში სავარჯიშოდ მიიწვია, მისი იმედისმომცემი თანატოლების უმეტესობა იქ უკვე ორი წლის მანძილზე იმყოფებოდა.

მაშინაც კი კარლოსმა მიწვევაზე კინაღამ უარი განაცხადა: „მშობლებს კარგა ხანი ვეთათბირებოდი, რადგან მალიორკას დატოვება არ მინდოდა. მათ დამარწმუნეს, რომ შანსის ხელიდან გაშვება არ ღირდა, თუნდაც ამ წამოწყებიდან არაფერი გამოსულიყო“.

ასე გადაბარგდა 17 წლის მალიორკელი სპორტსმენების საცხოვრებელში, რომელიც 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადისთვის აიგო. აქ დაიწყო მან მუშაობა მწვრთნელ ხოსე პერლასთან და დაუმეგობრდა მომავალ პროფესიონალებს, გალო ბლანკოს, ხაკობო დიასსა და ფერნანდო ვისენტეს. „ისინი ჩემი განსაკუთრებული მეგობრები არიან. ჩვენ ნულიდან დავიწყეთ და ყველანი საუკეთესო ასეულში მოვხვდით. როდესაც ერთმანეთს ვხვდებით, ძალიან ბედნიერები ვართ და ვიხსენებთ იმ დროს, როდესაც არაფერს წარმოვადგენდით“.

პირველი თვეების მანძილზე მოიას ძალიან ენატრებოდა სახლი, მშობლები, ნათესავები და მოუთმენლად ელოდა მალიორკული დელიკატესების ყუთებს შინიდან, რომლებსაც მერე მეგობრებს უნაწილებდა. თავიდან არანაკლებ ეშინოდა სხვა იუნიორებისაც, რომელთა უმეტესობა უფრო პატარებიც იყვნენ და უკეთესადაც თამაშობდნენ: „შინ თავს გამორჩეულ პიროვნებად ვგრძნობდი, რადგან ყველას ვჯობდი, ბარსელონაში კი ყველაფერი პირიქით იყო. თუმცა სტიმულისთვის ეს ძალიან გამომადგა. ვცდილობდი, უკეთესი გავმხდარიყავი“.

მალე მოია ესპანური ჩოგბურთის „სტახანოველებს“ სერხი ბრუგერას, ფელიქს მანტიას, კორეტხასა და ალბერტ კოსტასაც შეხვდა, რომლებიც მას წყნარ და ინტროვერტ ბიჭად იხსენებენ.

კოსტა მაშინ ბლანკოს ახლო მეგობარი იყო და როდესაც ერთმანეთს რესტორანში დაუთქვეს შეხვედრა, მას მოიაც მოჰყვა: „კარლოსი მომესალმა და მაშინვე გაჩუმდა. იგი მარტო ჭამდა, ამაში კი ბადალი მართლა არ ჰყავდა. მიირთვა სენდვიჩი, ხმა არ ამოუღია, მერე კრუასანი, ყველი, დესერტი და ისევ ხმის ამოუღებლად: ასეთმა მორცხვმა რომ წარმატებას მიაღწიოს, ორმაგად ძნელია“.

პირველი შეხვედრის კიდევ უფრო მხიარულ ამბავს იხსენებს კორეტხა, რომელსაც ფედერაციამ მოია ახალგაზრდა სპარინგ-პარტნიორად გამოუყო: „ცოტა ხნის თამაშის შემდეგ კარლოსს ვეუბნები, ო კეი, ახლა ბადესთან გამოდი-მეთქი. იგი კი მპასუხობს, „არა, გმადლობთ, არა“. საშინლად გამიკვირდა. მალე ისევ გამოვიწვიე ბადესთან. მან შეწუხებული სახე მიიღო და ისევ იუარა, არა, მეშინიაო. მერე მე და მისი მწვრთნელი კარგა ხანს ვარწმუნებდით, რომ ასე სჯობდა და ძლივს გამოვიტყუეთ წინ, სადაც, სხვათა შორის, არცთუ ცუდად გამოიყურებოდა“.

ის, თუ რამხელა პროგრესი განიცადა მოიამ მომდევნო ორი წლის მანძილზე, მისი მებრძოლი ხასიათის, ნოსტალგიისა და სიმორცხვის ძლევის დამსახურებაა. ესპანურ სატელიტებზე ცოტაოდენი ქულების დაგროვების შემდეგ 1995-ის სექტემბერში მან ბუდაპეშტში, ჩელენჯერში იმარჯვა, ორი თვის შემდეგ კი ბუენოს აირესში ფინალში მანტია გაანადგურა 6:0, 6:3 და საუკეთესო ასეულში 63-ე ადგილზე მოკალათდა.

„კორტზე კარლოსი სულ სხვა პიროვნებაა, რომელსაც არავის და არაფრის არ ეშინია — აღნიშნავს კორეტხა — იგი თამაშით ამბობს სათქმელს და იოტისოდენადაც არ ღელავს. შეიძლება ამით აიხსნება მისი სწრაფი ალმასვლა“.

მაღალ და სიმპათიურ ყმაწვილს მალე ჩოგბურთის მშვენიერი სქესის მოყვარულებმაც მიაქციეს ყურადღება და მოია მოულოდნელად სექს-სიმბოლოდაც იქცა. ამას ორმა კორტსგარეთა თავგადასავალმაც შეუწყო ხელი: კარლოსი ჯერ ჯეი ლენოს შოუზე გამოცხადდა სტუმრად, ოღონდ გრძელი თმების ნაცვლად არმიული ვარცხნილობით. იმიჯის ცვლასთან ამას კავშირი არ ჰქონდა — მან, უბრალოდ, ესპანეთის სამხედრო სამსახურში გაიარა შეკრება.

„ჩემთვის არმიაში ყოფნა არც ისე მძიმე იყო, რადგან ეს მხოლოდ ერთ კვირას გრძელდებოდა. სხვებს იქ ცხრა თვე უხდებოდათ დარჩენა და ზოგს შურდა კიდეც, თუმცა უმეტესობა გაგებით მოეკიდა ჩემს მდგომარეობას. საკმაოდ კარგად მეპყრობოდნენ, ცოტა მავარჯიშეს და მარშირება მასწავლეს. სხვა რამეებისთვის დრო არ მქონდა“.

იმავე წლის ბოლოს საათების ფირმა „ტაგ ოიერის“ სარეკლამო სურათზე მოია ადამის ტანსაცმელში გამოჩნდა. თუმცა ის სასწრაფოდ უმატებს, რომ კონცეფცია შემოქმედებითი იყო და „სურათზე მაინც არაფერი ჩანდა“. მიუხედავად ამისა, გადაღებაზე კარლოსი მაინც ოფლში იწურებოდა — ფოტოგრაფ ჰერბ რიტსის დიაცი ასისტენტი აღმოჩნდა, რომელიც სულ ადგილზე იმყოფებოდა.

ყოველდღიურ ცხოვრებაში მოიას კაზანოვასი არაფერი სცხია — თავისი გელფრენდი, რუმინელი ჩოგბურთელი რალუკა სანდუ მან 1996-ში გერმანიაში გაიცნო. სანდუ კარლოსთან ერთად მოგზაურობდა 1997 წლის შემოდგომაზე, თუმცა უფრო ხშირად მათ ტელეფონებით უხდებათ ურთიერთობა.

ასე რომ, უმეტესად ტურნირებზე მოიას სანდუ კი არა, პატარაობის მეგობარი, ხუან ბოში დაყვება. ჩოგბურთიდან თავისუფალ დროს ისინი სასტუმროში ატარებენ, კომპიუტერზე ბრძოლაში. მოიას საყვარელი თამაში ფეხბურთია, რომელშიც მხარეებს კლუბის ყოველმხრივ თავკაცობა ევალებათ — სტადიონის აშენებიდან და შემადგენლობის შერჩევიდან ტრანსფერების წარმოებით დამთავრებული.

ამ გატაცების შესახებ ყველას კარგად მოეხსენება. როგორც კორეტხა ამბობს, „კარლოსი დაავადებულია კომპიუტერზე თამაშით“. თუმცა კორტზე ყოფნისას ესპანელს ბავშვური გატაცებებისა არაფერი ეტყობა — კონცენტრირებული იერითა და გამანადგურებელი დარტყმებით იგი საქმიანად უსწორდება მეტოქეებს და თითოეული აცილების შემდეგ იმედგაცრუებას ძალიან ემოციურად, თვალების დახუჭვითა და ხელების გაშლით გამოხატავს.

თავის კარიერაში მოია სამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოგებას გამოჰყოფს — პარიზის სადარბაზო პირველობაზე პატარაობის კერპ ბორის ბეკერთან, ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში მაიკლ ჩანგთან და შარშანდელი როლან გაროსის მეოთხედფინალში მარსელო რიოსთან.

„ყურადღებას არავინ მაქცევდა — იხსენებს მოია — ყველა ამბობდა, რომ იმდენად კარგი ჩოგბურთელები არ დამემარცხებინა, რომ ფავორიტი ვყოფილიყავი. სიმართლე გითხრათ, ამას მეც ვეთანხმებოდი. მაგრამ წინა წრეში მარსელომ ალბერტ კოსტას რომ მოუგო, იგი წინასწარ ტურნირის გამარჯვებულად შერაცხეს და ეს სწორი არ იყო“.

რიოსის დამარცხების შემდეგ მოია გრძნობდა, რომ როლან გაროსის ტიტული მას ეკუთვნოდა და ამაში მომდევნო ორ მატჩში ვერც მანტიამ და კორეტხამ შეუშალეს ხელი — მალიორკელმა თავისი ამიგოები უწყალოდ ჩამოიშორა გზიდან: „ამაში გარკვეულწილად ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში მარცხმა შემიწყო ხელი. მაშინ იქ გაღწევითაც ბედნიერი ვიყავი, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, რომ წაგება მაინც წაგებაა და მიღწეულით არასოდეს უნდა დაკმაყოფილდე“.

სწორედ ამიტომ 22 წლის ესპანელი ამჟამად მსოფლიოს პირველი ჩოგანია და კიდევ მეტსაც უმიზნებს: „ამ წუთში მეშინია, რომ გამოვიღვიძებ და ყველაფერი ეს სიზმარი აღმოჩნდება. იცით, ადრე და ახლაც ხშირად მესიზმრება, როგორ ვიგებ როლან გაროსს, ამერიკის ღია პირველობას, უიმბლდონს, ვხდები პირველი ჩოგანი. ამ სიზმრების ნაწილი უკვე ამიხდა, ასე რომ, ვინ იცის“...

**ჟურნალ „ტენისიან“ თარგმნა ავთანდილ სვანიძემ**



სარბიელის არქივიდან

მოია საყვარელ გარემოში: მეგობრებთან, ფელიქს მანტიასა და ალექს კორეტხასთან (მარცხნივ) ერთად და სათამაშო კომპიუტერებთან

### მუწუკი №1
### ვინ გაჰყვება სიბანძეს

სვაზილენდელი დევიდ სიბანძის ამბავი გეხსომებათ. ის და მისი სამი თანა-სოკ-ელი კოლეგა — ფინელი პირიო ჰაგმანი, ლიბიელი ბაშირ მოჰამედ ატარაბულსი და კენიელი ჩარლზ მუკორა, როგორც სოლტლეიკ 2002-ის სამექრთამეო საქმეში ყველაზე უტიფრად და დაუფარავად ნახეირებნი, სოკ-ის კეთილშობილ სხეულს ყველაზე ადრე ჩამოაშორეს. ჰოდა, ამჟამინდელი საგანგებო თავშეყრის უმთავრესი „მუწუკიც“ სწორედ ესაა: თუ ვინ და როგორ უნდა გაჰყვეს სიბანძის გზას. შესაფერისი კანდიდატურა, იცოცხლეთ, ბევრია. ჩვენი საქმე რომ იყოს, ეგებ სოკ-ის მთლიანად „გასიბანძებაც“ მოგვეთხოვა, მაგრამ კბილში უეჭველად ჩიჩიაგაჩხერილი კაცი ლოზანურ კანტორაში მხოლოდ ხუთია — ეკვადორელი აგუსტინ აროიო, კონგოელი ჟან-კლოდ განგა, სუდანელი ზეინ ელ აბდინ აბდელ გადირი, მალიელი ლამინე კეიტა და ჩილელი სერხიო სანტანდერი. ხოლო იმათი რიცხვი, ვის კბილებსაც იქ მხოლოდ ხვალ და ზეგ გასინჯავენ, 14-ს შეადგენს. ეგ ხალხი სამხრეთ კორეელი კიმ უნ იონგი, რუსი ვიტალი სმირნოვი, სპილოსძვლის სანაპიროელი ლუის გირანდუ-დიაიე, ნიგერიელი ჰენრი ოლუფემი ადეფოპე, ავსტრალიელი ფილ კოულზი, გვატემალელი ვილი კალტშმიტი, ჰინდუ აშვინი კუმარი, ტოგოელი ანანი მატია, მავრიტანელი რამპაულ რუჰე, ბარბადოსელი ოსტინ სილი, სამოელი სეიულ ჰოლ უოლვორკი და ალჟირელი მოჰამედ სერგუინი არიან. ამ კეთილ ხალხზე ჩვენ, რასაკვირველია, შეგვეძლო, უფრო ვრცლადაც გველაპარაკა — მოსარიდებელი არაფერი გვაქვს, მაგრამ ჯერ ერთი და — მაგათ კბილებში ჩიჩქნა ვერაფერი შვილი საქმეა, მეორეცაა და, თუკი ეს საქმე მაინც აუცილებელი გაგვიხდა, როგორმე მერეც მოვახერხებთ. საერთოდ კი, ამასა და ამაზე უარესებზეც ორშაბათ-სამშაბათს ჯერ სოკ-ის აღმასრულებელი საბჭო თათბირობდა, ხოლო დღეს და ხვალ საბოლოო პასუხების გაცემა უკვე ყველა მუცლისქარიანს ერთობლივად მოეთხოვება. ჩვენც პარასკევამდე მოვითმინოთ — სიბანძის გზას გაყოლილთა ვინაობასაც უკლებლივ გავიგებთ.

მანამდე კი

### მუწუკი №2
### მაინძლობა

განსაკუთრებული სიმწვავით ამ დღეებში „სამაინძლო“ პროცედურის საკითხი უნდა დამდგარიყო. ესე იგი საკითხი იმისა, თუ როგორ უნდა შეირჩეს ამა თუ იმ ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის ვინაობა. ბაბუა სამარანჩი და მისისტები აქამომდელი პროცედურის შეცვლასა და ხსენებული კერძის სრულიად სოკ-ის მენიუდან აღმასრულებელი საბჭოს მენიუში გადატანას აპირებდნენ. მაგრამ 78 წლის ხუან ანტონიოს კოვზი აკანკალებული ხელიდან შიგ ოლიმპიურ სიმყრალეში ჩაუვარდა — სოკ-ელებმა, მაგის უფლებას, სანამ პირში სული გვიდგას და მუცელში ქარი, არავის მივცემთო — აი, ეგრე განაცხადეს. კაცმა რომ თქვას, მათი რეაქცია გასაგებიცაა. აბა, რომელი ჭკუათმყოფელი შეელევა მასპინძლობის მოსურნე ქალაქში სხვის ანგარიშზე ბაირამობასა და ჰარი-ჰარალოს! ჰოდა, სოკელებმაც აიღეს და არ შეელიენ.

თუმცა, ამის მერე შემოთავაზებული კომპრომისული ვარიანტის (რომლის თანახმადაც, შემრჩევი კომიტეტი ზუსტად წლის ყრის დღეს უნდა შეირჩეს და კონკურენტ ქალაქთა რაოდენობაც ორამდე უნდა იქნას დაყვანილი) წინააღმდეგ გალაშქრება უკვე ველარ გაბედეს და თუკი, ხვალ-ზეგ მათ შტაბ-ბინას ზევსის მეხი არ დაეცა, ეტყობა, სწორედ მაგაზედ შეთანხმდებიან.

### მუწუკი №3
### ბაბუ

ხუან ანტონიო სამარანჩი შპს სოკ-ს 1980 წლიდან მეთაურობს. როგორც ხალხი ამბობს, იგი ამას მსუყედ და ბარაქიანად აკეთებს. სხვა რომ არა იყოს რა, მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში დიდძალი ფინანსების მიზედვა სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებულიო, დასძენენ მისი კეთილისმსურველები. მაგრამ საქმეში, უჯრებში თუ ჩემოდნებში უკეთესად ჩახედულ ადამიანებს ყოველივე ამასთან დაკავშირებით ეჭვის მსუქანი ჩრჩილები ღრღნიან. მათი აზრით, თუკი სიბანძის გზას ვინმე უნდა გაჰყვეს, ეგ პირველ რიგში, თავად პაპა ხუანიტოა. საზეიმო გაცილების, უვადო პენსიისა და სხვა რამე-რუმის ხარჯებს ეგ ადამიანები თავიანთ პლასტიკურ ბარათებზე იღებენ.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, თავად სამარანჩი ამ საკითხის კენჭისყრაზე დაყენებას აპირებს. კენჭისყრის შედეგები კი, ვაგლახ, რომ ამთავითვე ცნობილია — სოკ-ს თავისი მხცოვანი ბაბუ გასაშვებად არ ემეტება. იგი ხომ ჩინებულად ასრულებს გინებამრიდის როლს! „სამარანჩი კრისტალია... იგი უნდა დარჩეს“ — ამბობენ ერთნი. „უკუნითი უკუნისამდე“ — ამბობენ მეორენი. „ამინ“ — ვამბობთ ჩვენც...

# სოკ-ის მუწუკები
# PRO & CONTRA
## სამარანჩი კრისტალია, იგი უნდა დარჩეს!
## სამარანჩის კანტორა დამპალია, ძმებო!



**ლოზანასა და მთელ მის ოლიმპიურ შემოგარენში ამ ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში დიდი ფაციფუცია მოსალოდნელი: სოკ-ელი დიდმახვშები საგანგებო სესიას მართავენ და ბარე არა ერთი მუწუკივით მომწიფებული პრობლემის გამორწყვასაც ლამობენ.**



REUTERS ლოზანიდან

სოკ-ის წევრებს თავიანთი ბაბუ — ხუან ანტონიო სამარანჩი გადასაყენებლად არ ემეტებათ



REUTERS სიდნეიდან

ბრალდებული და ბრალმდებელი: სიდნეი 2000-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე მაიკლ ნაითი (მარცხნივ) და ტომ შერიდანი

### მუწუკი №4
### ბოიკოტი 2000

2000 წლის ზაფხულის ოლიმპიადა სიდნეიში გაიმართება. თქვენ, ალბათ, უსათუოდ გაინტერესებთ, თუ როგორ მოიპოვეს მისი მასპინძლობის უფლება ავსტრალიელებმა. დამოუკიდებელ-დემოკრატიული მოკვლევი ტომ შერიდანი ამაზე გპასუხობთ: „ავსტრალიელებმა ეს ისევე ბინძურად მოახერხეს, როგორც სოლტლეიკელებმა, ატლანტელებმა...“ კითხვაზე, „მოგეპოვებათ თუ არა ამის დამამტკიცებელი საბუთები“, მისტერ შერიდანი ამბობს — „არა, რადგანაც სიდნეიში უმაღლეს დონეზე, ანუ ყოველგვარი სამხილის გარეშე გაკეთდა“.

ერთი სიტყვით, თუკი თქვენ ფერადი ტელევიზორის შეძენას სწორედ საგაისოლიმპიადოდ გეგმავდით, გირჩევთ თავი შეიკავოთ, რადგანაც შერჩება თუ არა სიდნეის იმ დროისთვის რაგინდარა ფერი, ეგ ჯერ დანამდვილებით არავინ იცის.

მაგრამ, სამაგიეროდ, გერმანიის შსს მინისტრმა, ოტო შილიმ, რომელიც თანვე ქვეყნის სპორტულ ბიუჯეტსაც მეურვეობს, დანამდვილებით იცის ის, რომ თუკი სოკ-ი თავის ნაწლავებს საჩქაროდ არ დაცლის და ბოსლებს ბრწყინვალებამდე არ გააპრიალებს, ევროკავშირის 15 ქვეყნის წარმომადგენლები სიდნეი 2000-ს შეუვალ ბოიკოტს გამოუცხადებენ. „სპორტულმა სამყარომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა იგრძნოს, რომ ჩვენ არავის მივცემთ უფლებას, მოქალაქეთა გადასახადები თავისი ბებერი მუცლის ქარს გაატანოს“. აი, ასე უთქვამს ჰერ შილის.

ერთი ეგაა, რომ მის ამ სიტყვებს ვერც გერმანელთა ოლიმპიური თავკაცის, ვალტერ ტრიოგერისთვის უსიამოვნებია — პოლიტიკოსებს სპორტში არაფერი ესაქმებათო — რომ თქვა და — გერმანელი სპორტსმენები სადმე მიიღებენ თუ არა მონაწილეობას, ეგ მაგათი საქმე არააო — რომ დაამატა. მეორეც და, სათანადო ზეგავლენა შილის განცხადებას ვერც სიდნეი 2000-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეზე, მაიკლ ნაითზე მოუხდენია. „ეგ ყველაფერი ყურადღების მიპყრობის ბითური და უნამუსო ხერხია“ — შეუნიშნავს ნაითს და, ყურებზე ხახვიც ვერავინ დაგვათალოსო — ბოლოს ასეც დაუატებია.

### მუწუკი №5
### დოპინგი 6000

კანადის სახელიანმა სპორტსმენებმა ამ დღეებში ფრიადი ანტისოკური კამპანია გააჩაღეს. კამპანიის დედააზრი ისაა, რომ ხსენებულ კანტორას დოპინგის წინააღმდეგ წარმატებულად ბრძოლა არც აქამდე შეეძლო და — საქმეს ისეთი პირი უჩანს — რომ ვერც ამის შემდეგ შეძლებს. „არა ძმაო, მაგათ მე ვერ ვენდობი. თუკი არაფერი გაკეთდა, ჩათვალეთ, რომ ოლიმპიზმს ბოლო მოეღო“ — უთქვამს 100 მეტრზე ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიო რეკორდსმენს, კანადელ დონოვან ბეილის. „ანდა როგორ უნდა ვენდო, როცა რომელ სპორტსმენსაც რა მოუნდება, იმას ყლაპავს და უკანაც იმასაც იკეთებს. თანაც ისე, რომ კაცი არაა გამკითხავი“.

„ჰო, ეგ მართლაც ეგრეა“ — საუბარს ბეილის შერისხული თანამემამულე, სწორედ დოპინგზე გამოჭერილი ბენ ჯონსონიც უერთდება, — „თქვენ გგონიათ, რომ მარტო ჩემი შარდი ჰყარდა?! არა გენაცვალეთ, ჩემამდეც, ჩემს დროსაც და ჩემს მერეც, ყველა თუ არა, ათლეტთა 95 პროცენტი მაინც იღებდა სტიმალუტორებს. მე თქვენ გეტყვით და, ან ძნელი საშოვნელია — ბაზარზე 6000 სახის წამალი იყიდება, ანდა ვინმე გამოგიჭერს. მე?! ეჰ, ეგ ამბავი მოინდომეს, თორემ...“

მოკლედ — „კანტორა ჩამპალია, ძმებო და სანამ იქ ყველაფერი მხოლოდ ერთი კაცი იქნება, ანაც სანამ ხალხს მის საკუჭნაოში შეხედვისა და ხელების ფათურის უფლება არ მიეცემა, ეგ ყველაფერი — აი, ის, რაც ამ დღეებში ლოზანაში ხდება — სულ ტყუილი ბაზარია“. ეს სამართლიანი სიტყვები მსოფლიოს ექსჩემპიონს, სოკ-ის ექს-წევრს, მოცურავე მარკ ტიუკსბერის ეკუთვნის.

**ლევან ძელაურაძე**

ველორბოლა



REUTERS ნიციდან

მაიკლ ბუგერდი

## რაბობანკი პედლებს ფულივით ატრიალებს

**პარიზიდან** ნიცისაკენ მიმავალი შვიდდღიანი რბოლა „რაბობანკის“ ჰოლანდიელი მესაჭის, მაიკლ ბუგერდის გამარჯვებით დასრულდა. ვერც „კრედი აგრიკოლელმა“ და ვერც „ლოტოელმა“ მრბოლებმა, რომელთაც, შესაბამისად, პირველ ეტაპებზე ნალიდერები ავსტრალიელი სტიუარტ ოგრეიდი და ბელგიელი ანდრეი ჩმილი მოთავეობდნენ, ვერ შეძლეს რბოლის მეორე ნახევარში მომძლავრებული რაბობანკელების გაჩერება. ბუგერდმა და კომპანიამ ხუთშაბათს მითვისებული სათავეები ზედ ნიცამდე ხელიდან აღარ გაუშვეს და მოსაგებიც კაცურად მოიგეს. „აკი ხუთშაბათსვე მოგახსენეთ — მოსაყომარებელი დღესვე მოვაყომარეთ და აწი ჩვენი მჯობნი აღარავინაა მეთქი?! ისე თქვენ ყველაფერი კარგად აგიხდეთ, როგორც ჩვენ ეგ ამბავი აგვიხდა“ — მაიკლ ბუგერდის ამ ნარბოლევ სიტყვებს გამარჯვებულისთვის დამახასიათებელი ამპარტავნების გემო გადაჰკრავდა... ვნახოთ როდემდე გაძლებს იგი ბუგერდის პირში.

საბოლოო ათეული კი აი ამგვარად გამოიყურებოდა:

**მაიკლ ბუგერდი — 36სთ.46წთ.13წმ; მარკუს ცბერგი (შვეიცარია, რაბობანკი) — ჩამორჩენა წუთი და 38 წმ; სანტიაგო ბოტერო (კოლუმბია, კელმე) — 2.10; ფრანკ ვანდერბრუკი (ბელგია, კოფიდისი) — 2.13; მარკ ვოუტერსი (ბელგია, რაბობანკი) — 2.14; დარიო ფრიგო (იტალია, სეკო) — 2.30; ვლადიმირ ბელი (იტალია, ფესტინა) — 2.32; იენს ვუა (გერმანია, კრედი აგრიკოლი) — 2.37; გერტ ფერჰაიენი (ბელგია, ლოტო) — 2.58**

მაგიდის ჩოგბურთი

## ბელგრადი სახიფათო ქალაქია

**იუგოსლავიის** დედაქალაქს 26 აპრილიდან 9 მაისამდე მაგიდის ჩოგბურთში მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უნდა ემასპინძლა. ეგ ამბავი, ადამიანმა რომ შენიშნოს, ჩაშლილად ჯერ არც არავის გამოუცხადებია, მაგრამ რაღაც მაგდაგვარი კი უნდა ხდებოდეს. საქმე ისაა, რომ თავიანთი მოთამაშეების უსაფრთხოებაზე მზრუნავმა ამერიკელებმა და გერმანელებმა ბელგრადში ჩასვლაზე მტკიცე უარი განაცხადეს. არასტაბილურ ქვეყანაში ორი კვირით ჩასვლის განსაკუთრებულ სურვილს არც დანარჩენი ქვეყნები გამოხატავენ. ამის გამო მსოფლიო მეპინგპონგე დედ-მამებსაც შუბლები შეუკრავთ და წარბებიც ფინთად შეუჭმუხნიათ. თუკი ერთ-ერთ მათგანს ვენდობით, ვითარება ახლა მართლაც მურდალია და საბოლოო გადაწყვეტილებას მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია 25 მარტს მიიღებს.



მსოფლიოს თასის მფლობელები: მაგდალენა ფორსბერგი და სვენ ფიშერი

# ისროლეს და ისრიალეს

**გაზაფხულის** დადგომა სპორტის ზამთრის სახეობების ასპარეზობათა დასასრულს მოასწავებს. ახლახან იყო ესპანურ სიერა ნევადაში სამთომოთხილამურეებმა მსოფლიოს თასის ბოლო ეტაპებზე რომ ისრიალეს და თასის მფლობელნიც გამოავლინეს. რთული სეზონის ფინიშის ხაზი ბიატლონისტებმაც გადაკვეთეს. ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გამართულმა მსოფლიოს თასის ბოლო შეჯიბრებებმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვიეს და უაღრესად დაძაბულ ბრძოლებშიც ჩაიარეს, ეს გამორჩევით ქალთა ასპარეზობაზე ითქმის.

უკრაინელმა ალიონა ზუბრილოვამ, შეიძლება ითქვას, გმირობის ტოლფასი საქციელი ჩაიდინა. დარჩენილ სამ დისტანციაზე (7,5 კმ სპრინტი, 12,5 კმ, 10 კმ გამოდევნებით) იმარჯვა, მაგრამ შვედ მაგდალენა ფორსბერგს ამით მაინც ვერაფერი დააკლო, საერთო ჩათვლაში თერთმეტი ქულით ჩამორჩა და ოქროს მედალი და მსოფლიოს თასიც სკანდინაველ ქალბატონს გადაულოცა.

კაცებში პირველობას ერთმანეთს გერმანელები სვენ ფიშერი, ფრანკ ლუკი და ნორვეგიელი ოლე ბიორნდალენი ეცილებოდნენ. ოსლოში ყველაზე უკეთ ფიშერმა იასპარეზა, ჯერ ათკილომეტრიანი სპრინტი მოიგო, მერე კიდევ თხუთმეტკილომეტრიან დისტანციაზეც იმარჯვა. საერთო ჩათვლაში 443 ქულა დააგროვა, უახლოესი მდევარი ბიორნდალენი 46 ქულით ჩამოიტოვა და მსოფლიოს თასიც ირგუნა.

**სოსო კოტორეიშვილი**

### ოსლო. ნორვეგია.

**ბიატლონი. მსოფლიოს თასი**

**საერთო ჩათვლა**

**ქალები**

1. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) 478
2. ალიონა ზუბრილოვა (უკრაინა) 467
3. უში დიზლი (გერმანია) 420
4. კორინ ნიოგრე (საფრანგეთი) 375
5. გრეტ სკიელბრეიდი (ნორვეგია) 313

**კაცები**

1. სვენ ფიშერი (გერმანია) 443
2. ოლე ბიორნდალენი (ნორვეგია) 397
3. ფრანკ ლუკი (გერმანია) 390
4. რიგო გროსი (გერმანია) 367
5. რაფაელ პიორე (საფრანგეთი) 365

### ფალუნი. შვედეთი.

**სათხილამურო კროსი. მსოფლიოს თასი**

**ქალები**

**15 კმ. კლასიკური სტილი**

1. ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) 42:18.8
2. სვეტლანა ნაგეიკინა (რუსეთი) 42:36.8
3. ნატალია ბარანოვა (რუსეთი) 43:14.1

**საერთო ჩათვლა**

1. ბენტე მარტინსენი (ნორვეგია) 768
2. სტეფანია ბელმონდო (იტალია) 701
3. ნინა გავრილიუკი (რუსეთი) 665
4. კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი) 615
5. ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) 612

**კაცები**

**30 კმ. კლასიკური სტილი**

1. ანდერს ბერგსტრომი (შვედეთი) 1:17:03.6
2. მიხაილ ბოტვინოვი (ავსტრია) 1:17:09.5
3. მიკა მულულა (ფინეთი) 1:17:21.9

**საერთო ჩათვლა**

1. ბიორნ დალი (ნორვეგია) 805
2. მიხაილ ბოტვინოვი (ავსტრია) 585
3. მიკა მულულა (ფინეთი) 527
4. მატიას ფრედრიკსონი (შვედეთი) 484
5. პერ ელოფსონი (შვედეთი) 465



# რას არ გაიგებ კაცი...

## ლიგამ ნიგერიელის გოლიც იხილა

ამიერიდან 15 მარტი აფრიკაში ჰოკეის ეროვნულ დღესასწაულად იქცევა. შავი კონტინენტის პირველმა წარმომადგენელმა, წარმოშობით ნიგერიელმა რუმუნ ნდურმა ნჰლ-ში პირველი გოლი გაიტანა და მშობლიურ ქალაქ ზარიაში, სადაც აქამდე ჰოკეის არსებობის შესახებაც კი არაფერი იცოდნენ, თვისტომთა გულები სიამაყითა და სიხარულით აავსო.

**ფინიქსი — კაროლინა 5:5**

**3:1 1:1 1:3 0:0**

1:0 რენიკი 0'40 (21); 2:0 ტკაჩუკი 1'12 (28); 2:1 ფრენსისი 20'28 (14); 3:1 კორკამი 19'15 (9); 4:1 ქუინტი 34'13 (4); 4:2 შეპარდი 39'16 (22); 5:2 კარნი 48'09 (1); 5:3 ფრენსისი 49'28 (15); 5:4 ონეილი 55'25 (13); 5:5 ჟელინა 58'26 (12)

ეს მატჩი კეიტ ტკაჩუკის ბენეფისად უნდა ქცეულიყო. ფინიქსელთა კაპიტანმა, ბუნებრივია, ყველაზე ახლოს მიიტანა გულთან გუნდის ბოლოდროინდელი წარუმატებლობა და შაბათს ანაჰაიმთან რის ვაი-ვაგლახით მოგების შემდეგ კიდევ ერთი გამარჯვება მოიწადინა. ტკაჩუკმა აქამდე მისთვის უჩვეულო, საპლეიმეიკერო საქმესაც გაართვა თავი, ერთ შაიბას სამი პასიც დაამატა, მაგრამ ჟელინას ერთობ საეჭვო გოლის შემდეგ (ფორვარდი კარის მოედანზე იმყოფებოდა) თამაში ოვერტაიმში გადავიდა, სადაც კეიტს ბედმა ორჯერ უმტყუნა.

**ბუფალო — აილენდერსი 2:1**

**1:0 0:0 1:1**

1:0 შატანი 7'55 (30); 2:0 შატანი 46'40 (31); 2:1 სმოლინსკი 48'11 (14)

როგორც იქნა, ბუფალოს ნამდვილი სნაიპერი ელირსა. სლოვაკი მიროსლავ შატანი ბოლო სამ სეზონში პირველია, რომელმაც 30-შაიბიან ზღვარს მიაღწია (ბოლოს ამას 1995-96 წლების სეზონში ბრწყინვალე პეტ ლაფონტენმა მიაღწია).

**ლოს ანჯელესი — ოტავა 4:0**

**0:0 2:0 2:0**

1:0 ბლეიკი 34'38 (9); 2:0 ბუშე 37'22 (2); 3:0 ოდეტი 44'56 (15); 4:0 მიურეი 45'40 (16)

**რეინჯერსი — ვაშინგტონი 1:1**

**1:0 0:0 0:1 0:0**

1:0 ნდური 13'33 (1); 1:1 ჩიკონე 51'44 (3)

სამწუხაროდ, ნდურის ისტორიულმა გოლმა რეინჯერსს, სადაც ნიგერიელი წლის დასაწყისში გადაბარგდა, გამარჯვება ვერ მოუტანა. ბოლო ხანებში ოვერტაიმებში იღბლიანად მოასპარეზე ნიუიორკელებმა (კერძოდ, ფორვარდმა მარკ სავარმა) დამატებითი დროის უკანასკნელ წამებზე ჩინებული მომენტი გაუშვეს ხელიდან.

**ვანკუვერი — ნიუ ჯერსი 1:2**

**0:0 0:1 1:1**

0:1 მაკეი 22'04 (15); 0:2 ელიაში 52'44 (12); 1:2 მოგილნი 58'4 (9)

მას შემდეგ, რაც ALL STAR WEEKEND-ზე დომინიკ ჰაშეკმა ერთ-ერთ კონკურსში გოლი გაიტანა, მისმა კოლეგამ მარტინ ბროდომ მოსვენება დაკარგა. ნიუ ჯერსის მეკარეს, რომელიც მანამდე რეგულარულ ჩემპიონატში ერთხელ უკვე გამოირჩა, ამ კომპონენტში მაინც უნდა სახელოვანი თანაამპლუელის დაჩაგვრა, მაგრამ მისი მორიგი ცდა ლამის ტრაგედიით დამთავრდა. ბორტისკენ გასრიალებულმა ბროდომ პირველმა მიუსწრო შაიბას და მისი ვანკუვერის კარში (მასპინძელთა მეკარე მეექვსე მოთამაშით იყო შეცვლილი) გაგზავნა სცადა, მაგრამ ალექსანდრ მოგილნიმ შაიბას გზა გადაუღობა და საპირისპირო მიმართულებით გაუშვა. ბროდომ კარში დაბრუნება ველარ მოასწრო... კიდევ კარგი, რომ მანამდე სტუმრები 2:0-ს იგებდნენ, თორემ ბროდოს ოინბაზობით დამსახურებულ ქულასაც დაკარგავდნენ.

**სამველ ღარიბიანი**



აილენდერსელებთან გაწევ-გამოწევაში ბუფალოელ პოლ კრუზს თანაკლუბელი რობ რეიც შემოელახა

**სეზონის** დასაწყისში, როდესაც ნჰლ-ის მესვეურები თამაშის რამდენიმე წესს ცვლიდნენ, ვერც წარმოიდგენდნენ, რომ ორი მთავარი არბიტრის სისტემის შემოღებას მოთამაშეებიც და მსაჯებიც ერთსულოვნად დაუჭერდნენ მხარს. ანაჰაიმელ ტეემუ სელიანესა და ჩიკაგოელ ჩალ კილგერის თქმით, ამ სიახლემ სრულიად უცვალა სახე ჰოკეის, რადგან ერთ არბიტრს შეიძლება ბევრი მნიშვნელოვანი მომენტი გამოეპაროს, ხოლო როცა ორი წყვილი თვალი მოგჩერებია, სრულიად გეკარგება მალულად უხეშობის ხალისი. კარგია, როცა შენს წინადადებას კეთილგანწყობით ხვდებიან, ჰოდა, ლიგამაც არ დააყოვნა და ეს წესი არა მარტო ჩემპიონატში (ამ სისტემით ყველა გუნდს 20-20 თამაში უწევდა), პლეი ოფშიც დანერგა. მართალიცაა — ნამდვილად საჭიროა ორი მსაჯი სათასო ბატალიების დროს, როდესაც უკიდურესად იძაბება სიტუაცია.

* * *

ნჰლ-ის მესვეურები ამას არ დასჯერდნენ და შედეგიანობის გაზრდის მიზნით კიდევ ერთ ექსპერიმენტს გვთავაზობენ, თუმც მას ქვედა ლიგაში, AHL-ში გამოსცდიან. აქამდე განხორციელებული ცვლილებებისგან განსხვავებით, იგი გაცილებით რადიკალური იქნება — ოვერტაიმში გუნდები არა 5, არამედ 4 მოედნის მოთამაშით იასპარეზებენ. ცხადია, ასეთ ვითარებაში თამაში გაცილებით გაიხსნება, გოლის გატანის შესაძლებლობაც გაიზრდება და მაღალოსტატურ მოთამაშეებს გაალაღებინებს. თუმც შემცირებული შემადგენლობით ასპარეზობა, თუნდაც მოკლე, ხუთწუთიან მონაკვეთში, სულ სხვაა. ასე რომ, დაველოდოთ ექსპერიმენტის შედეგებს.

* * *

**„ნიუ იორკ რეინჯერსის“** თავკაცებმა ახალი, ხანგრძლივი ხელშეკრულება გააფორმეს ფორვარდ ადამ გრეივსთან, რომელიც ზაფხულში თავისუფალი აგენტი იყო. 30 წლის ჰოკეისტმა არცთუ ხეირიანად დაიწყო ჩემპიონატი, მაგრამ მას შემდეგ, რაც კლუბს უეინ გრეცკი გამოაკლდა, პეტრ ნედველსა და მაიკ რიხტერთან ერთად ლიდერობა იტვირთა და რამდენიმე გადამწყვეტი გოლით ნიუიორკელები სანატრელ ოქტეტს მიუახლოვა. აღსანიშნავია, რომ გრეივსის მიერ შეგდებული 33 შაიბიდან შვიდმა „რეინჯერებს“ გამარჯვება მოუტანა.

* * *

**გასულ** უქმეებზე პირადი მიღწევებით სამმა ცნობილმა მოთამაშემ გამოიჩინა თავი. პიტსბურგის ლიდერმა იარომირ იაგრმა კარიერაში მე-500 პასი მიითვალა, ტორონტოელმა მატს სუნდინმა 700-ქულიან ზღვარს მიაღწია, მაგრამ ყველაზე გამორჩეული მაინც კალგარის ვეტერან ფილ ჰაუსლის მიღწევაა — „ალების“ მცველმა ვაშინგტონთან შეხვედრაში ერთბაშად სამი პასი გაახერხა და აშშ-ში დაბადებულ ჰოკეისტთა შორის პირველი ბომბარდირი გახდა! ჰაუსლიმ, რომელიც ამჟამად 1066 (299+767) ქულით მცველთა შორის ლიგის ისტორიაში მხოლოდ პოლ კოფის (1485), რეი ბურკს (1445) და ლარი მერფის (1145) ჩამორჩება, თავის თანამემამულე ჯო მულენს (1063) გაუსწრო, რომელიც 1997 წელს გამოეთხოვა ჰოკეის.

### სატურნირო ვითარება

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 66 | 38 | 8 | 20 | 196:141 | 84 |
| ნიუ ჯერსი | 66 | 37 | 8 | 21 | 196:165 | 82 |
| კაროლინა | 68 | 30 | 14 | 24 | 177:167 | 74 |
| ტორონტო | 67 | 37 | 5 | 25 | 212:191 | 79 |
| პიტსბურგი | 65 | 34 | 9 | 22 | 203:177 | 77 |
| ფილადელფია | 68 | 30 | 17 | 21 | 198:162 | 77 |
| ბუფალო | 67 | 31 | 13 | 23 | 177:150 | 75 |
| ბოსტონი | 66 | 29 | 10 | 27 | 171:155 | 68 |
| რეინჯერსი | 68 | 29 | 9 | 30 | 189:188 | 67 |
| ფლორიდა | 66 | 25 | 17 | 24 | 168:173 | 67 |
| მონრეალი | 67 | 27 | 9 | 31 | 160:175 | 63 |
| ვაშინგტონი | 67 | 27 | 6 | 34 | 175:179 | 60 |
| აილენდერსი | 69 | 19 | 9 | 41 | 158:206 | 47 |
| ტამპა | 66 | 16 | 5 | 45 | 142:239 | 37 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 65 | 42 | 11 | 12 | 193:130 | 95 |
| კოლორადო | 67 | 34 | 8 | 25 | 186:167 | 76 |
| დეტროიტი | 67 | 33 | 6 | 28 | 196:170 | 72 |
| ფინიქსი | 67 | 32 | 11 | 24 | 165:161 | 75 |
| ანაჰაიმი | 67 | 30 | 10 | 27 | 176:163 | 70 |
| სენტ ლუისი | 66 | 28 | 10 | 28 | 188:176 | 66 |
| სან ხოსე | 67 | 25 | 14 | 28 | 151:156 | 64 |
| კალგარი | 66 | 25 | 10 | 31 | 178:188 | 60 |
| ედმონტონი | 67 | 25 | 10 | 32 | 187:184 | 60 |
| ლოს ანჯელესი | 67 | 26 | 5 | 36 | 156:175 | 57 |
| ნეშვილი | 67 | 24 | 6 | 37 | 161:217 | 54 |
| ვანკუვერი | 68 | 20 | 11 | 37 | 163:209 | 51 |
| ჩიკაგო | 67 | 19 | 9 | 39 | 152:210 | 47 |

*ბომბარდირები:* იაგრი (პიტსბურგი) 102(32+70); ლინდროსი (ფილადელია) 89(38+51), სელიანე (ანაჰაიმი) 83(37+46), ლეკლერი (ფილადელფია) 81(38+43), კარია (ანაჰაიმი) 81(29+52), ფორსბერგი (კოლორადო) 80(22+58), იაშინი (ოტავა) 78(38+40), მოდანო (დალასი) 73(30+43), საკიკი (კოლორადო) 71(32+39), დემიტრა (სენტ ლუისი) 71(30+41), სტრაკა (პიტსბურგი) 70(34+36), ფლერი (კოლორადო) 70(31+39), სუნდინი (ტორონტო) 68(24+44)

კონფერენციებიდან პლეი ოფში 8-8 გუნდი გადის. კონფერენციათა ცხრილებში პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან

## უეფას თასი. მეოთხედფინალი
### საპასუხო მატჩები. 16 მარტი

UEFA CUP

**ლიონი (საფრანგეთი) — *ბოლონია (იტალია)* 2:0 (0:3)**

1:0 კავეგლია (16), 2:0 ჟობი (39)

ლიონი: კუპე, კარტერონი (ბრაზატი 88), ლავილი, ფურნიე, დელმოტი, მალბრანკი (ლინარესი 65), ვიოლო (ბაკი 84), დორასო, კოკარდი, ჟობი, კავეგლია

ბოლონია: ანტონიოლი, რინალდი, ბია, მანგონე (პაგანინი 26), პარამატი, ბინოტო (ბოზელი 46), ინგესონი, მაროკი, ნერვო (კაპიოლი 46), სინიორი, ანდერსონი

**რომა (იტალია) — *ატლეტიკო (ესპანეთი)* 1:2 (1:2)**

1:0 დელვეკიო (32), 1:1 აგილერა (59), 1:2 ფრესნედოსო (89)

რომა: კიმენტი, ვომე, ალდაირი, ძაგო, კაფუ, დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო (ფაბიო ჟუნიორი 78), ალენიჩევი, პაულო სერჟიო (კანდელა 35, ტომაზი 78), ტოტი, დელვეკიო

ატლეტიკო: მოლინა, შამოტი (გონსალესი 65), სანტი, ტონი, აგილერა, სერენა, იუგოვიჩი, მენა (ფრესნედოსო 57), ბარახა (ნიეგუსი 57), ხოსე მარი, ჟუნინიო

გაძევება: ვომე (28), ტოტი (90)

***პარმა (იტალია)* — ბორდო (საფრანგეთი) 6:0 (1:2)**

1:0 კრესპო (37), 2:0 კიეზა (43), 3:0 ვერონი (48), 4:0 კიეზა (59), 5:0 კრესპო (66), 6:0 ბალბო (893)

პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარო, ფუზერი, დ. ბაჯო, ბოგოსიანი (ასპრილია 81), ვანოლი, ვერონი, კრესპო (ფიორე 72), კიეზა (ბალბო 69)

ბორდო: რამე, ალიკარტე, საველიჩი, გრენე, მესტრი, მიკუ, პავონი, დიაბატი (მუსამპა 68), ბენარბია, ვილტორდი, ლასლანდი

**სელტა (ესპანეთი) — *მარსელი (საფრანგეთი)* 0:0 (1:2)**

სელტა: დუტრუელი, სალგადო, კასერესი, ჯოროვიჩი, ვალესი (პერვასი 73), მაკელელე, მაზინიო, კარპინი (სანჩესი 64), მოსტოვოი, რევივო, პენევი (გუდელი 62)

მარსელი: პორატო, გალასი, ბლანი, დომორო, ლუსინი, პირესი, ისა (და სილვა 80), ბრანდო, დუგარი (კამარა 87), ბრავო, მორისი (გუელი 77)

## ინგლისი

თასის მეოთხედფინალი

**ბარნსლი 0:1 ტოტენჰემი**

0:1 ჟინოლა (68)

### პირველი დივიზიონი

**ბერი 0:0 ვულვერჰემპტონი**

**ქრიუ 0:0 გრიმსბი**

## ავსტრია

XXIII ტური

**ავსტრია 1:1 რაპიდი**

**ლუსტენაუ 2:1 გრაცერი**

**რიდი 1:1 ზალცბურგი**

**შტურმი 5:0 შტაირი**

**ლინცერი 0:1 ტიროლი**



REUTERS მოხმობა

რომა — ატლეტიკო 1:2. ხოსე მარის (ბურთით) „ატლეტიკომ“ ალდაირის (მარჯვნივ) „რომას“ ესპანეთის და იტალიის დედაქალაქში ერთნაირი ანგარიშით მოუგო

## შოტლანდია

თასის გადათამაშება.

**დანდი იუნაიტედი 2:1 აირი**

1:0 მიურეი (42), 1:1 უოქერი (46), 2:1 სკოლდმარკი (51)

## გერმანია

გადადებული მატჩი

**ბოხუმი 2:0 ჰამბურგი**

1:0 ფიშერი (21ს.კ.), 2:0 მაჰდავიკია (81)

## ჰოლანდია

გადადებული მატჩი

**მაასტრიხტი 1:4 აიაქსი**

0:1, 0:2 გრონკიაერი (13, 26), 0:3 ლიტმანენი (43), 1:3 პერესი (76), 1:4 გრონკიაერი (84)



REUTERS მეხიკოდან

# ენა, რომელიც ტერორისტებმაც იციან

ეს ნილბიანი ხალხი საპატისტები არიან. ისინი მექსიკაში ცხოვრობენ და ადგილობრივ ინდიელთა უფლებებისთვის იბრძვიან. რა დასამალია და, მათ ეს საქმე ხშირად მთლად მოხდენილად და მისალები ფორმით ვერ გამოსდით ხოლმე. ნილბები და სიფათების გამოუაშკარავებლობაც აქედან მოდის... 21 მარტს მექსიკაში საყოველთაო რეფერენდუმი იმართება. ქვეყნის მოსახლეობამ პასუხი უნდა გასცეს კითხვას, თუ რამდენი და რა სახის დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოთ ინდიელებს... მოსახლეობასთან დაძაბული ურთიერთობის შესარბილებლად და საკუთარი იდეებისადმი სიმპათიის გასაღვივებლად საპატისტებმა ფეხბურთს მიმართეს. ფეხბურთი ხომ — დამახინჯებულ ინგლისურს თუ არ ჩავთვლით — მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ენაა.

# შუმის კოჭი ალჩუზე არ დაუჯდა

*„ფერარის“ გერმანელ მძღოლსა და ა.შ. მიხაელ შუმახერს ბარსელონაში სალაღობო ძუნძულისას კოჭი გადაუტრიალებია და ამ მოულოდნელი ტრავმის გამო ვერც სამშაბათს უვლია მანქანით და ვერც ოთხშაბათს. თუმცა როგორც შუმის მაყანმა წარმომადგენელმა განაცხადა, ზიანი უაღრესად უმნიშვნელოა და მრბოლს 11 აპრილს სან პაულუში ბრაზილიის დიდი პრიზისთვის სარბოლოდ ხელს ვერაფრით შეუშლის. აი, ეგრე!*



სარბიელის არქივიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვამეკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე ინფორმაციის განყოფილება ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29